მასწავლებელი

ვაუჩერი

მასწავლებლის
პროფესიული განვითარებისთვის

ვასწავლით საქართველოსთვის

სასერტიფიკაციო ტესტები მათემატიკაში

საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების
საბინისტრო

მასწავლებლის
პროფესიული განვითარების
ცენტრი

N5, 2009

ISSN 1987-6149



ჟურნალი

მასწავლებელი

აცხადებს კონკურსს!

ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებისთვის

ჩაერთეთ კონკურსში! გაგვიზიარეთ თქვენი გამოცდილება!

გამოგვიგზავნეთ გაკვეთილის გეგმა, თვალსაჩინოებები და სავარჯიშოები!

საუკეთესო გაკვეთილების ავტორები საჩუქრად მიიღებენ **ჟურნალ „მასწავლებლის“ ერთწლიან ხელმოწერას** და **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის გამოცემების სრულ კომპლექტს!**

კონკურსის დასკვნით ეტაპზე სამი საუკეთესო გაკვეთილი გამოვლინდება.
გაკვეთილების გეგმები ჟურნალ „მასწავლებლის“ მომდევნო ნომრებში დაიბეჭდება!





საკონკურსო მასალა მოგვაწოდეთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე ან გამოაგზავნეთ ელ.ფოსტის საშუალებით:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი
თბილისი 0102, დიმიტრი უზნაძის 52, ტელ: (+995 32) 95 13 95, ფაქსი: (+995 32) 95 58 36 ელ. ფოსტით: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

რედაქტორისგან

ოქტომბერში მასწავლებლის დღეს აღვნიშნავთ: 5 ოქტომბერი მასწავლებლის პროფესიული დღეა – უფრო სიმბოლურად, ისე კი, ცხადია, ჩვენს ცხოვრებაში თითოეული დღე თქვენს სახელსა და პროფესიას უკავშირდება.

ვიხსენებ: სკოლაში თავისუფალი თემა დავწერეთ – „ჩემი მასწავლებელი“.

ძნელი იყო მაშინ სიტყვების პოვნა. ძირითადად, პათეტიკურები ვიყავით და მხოლოდ სიყვარულის გამოხატვით შემოვიფარგლებოდით.

დღეს კიდევ უფრო მიძნელდება სიტყვების პოვნა. პათეტიკურობაც აღარ მეპატიება. ამიტომ, ყველაზე უბრალო სიტყვებით გეტყვით: გილოცავთ მასწავლებლის დღეს! ყველა მოსწავლის სახელით, ვინც სკოლის კიბე უკვე ჩამოვირბინეთ, ბოლო ზარიც დავრეკეთ და მათი სახელითაც, ვისაც ახლა აპურებთ ცოდნით, მადლობას გიხდით ამაგისათვის!

ჩვენი ჟურნალი თქვენთან ერთად ზრუნავს, რომ საზოგადოებას უკეთესი სკოლა და მასწავლებელი ჰყავდეს. ვცდილობთ, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები ყურადღების მიღმა არ დაგვრჩეს.

ჩვენს მოსაზრებებს იმ იმედით გიზიარებთ, რომ გამოგვეხმაურებით, მოგვწერთ, მოგვიწონებთ ან დაგვიწუნებთ. დაგვეთანხმებით, რომ სათქმელი და გასაზიარებელი ბევრია.

დღეს განათლების სფეროში დასაქმებულ ადამიანებს ბევრი გვაქვს სასაუბრო იმ ღირებულებებსა და სწავლა-სწავლების მეთოდებზე, რომელთა დამკვიდრებაც გვსურს. ეს პროცესი, თქვენი აზრის გათვალისწინების გარეშე, ბუნებრივია, შედეგს ვერ გამოიღებს. განათლების სფეროს წარმატებას, სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის გარდა, თითოეული ჩვენგანის თანამონაწილეობა განაპირობებს.

ჟურნალი ჩვენი შეხვედრის ადგილია. რეფორმების რთულ და საინტერესო გზაზე ის თქვენი სტუმარიც იქნება და მასპინძელიც. ჩვენ ჟურნალის თითოეული გვერდიდან მოგწერთ, თქვენც მოგვწერეთ.

„წერა სიყვარულის ახსნას ნიშნავს“, – ამბობდა ჰანს ქრისტიან ანდერსენი. საქმის სიყვარულით კი ყველაზე რთული პრობლემის დაძლევა შეიძლება.

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი

ჩვენი მიზანია მასწავლებლის პროფესიული ზრდის ხელშეწყობა ინფორმირების, დისკუსიის წახალისებისა და გამოცდილების გაზიარების გზით. ჟურნალი ხელს უწყობს მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას.

მასწავლებელი
N5, 2009
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის გამოცემა
პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ

რედკოლეგია:
სოფო გორგოძე
პაატა სირგილაძე
თამარ მოსიაშვილი
პაატა პაპავა
ნათია ნაცვლიშვილი
თამარ ონოფრიენკო

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორი: ირაკლი კაკაბაძე

სტილისტი: ირმა ტაველიძე

დიზაინი: გესიკ დანელია

ფოტო: გელა გედიანაშვილი

მხატვარი: მამუკა ტყეშელაშვილი

ჟურნალისტები:
თეა თოფურია, გელა ჩეკურიშვილი, შორენა გურდილაძე, ნელი პაპასკირი, ალეკო ცქიტიშვილი, ირმა კახურაშვილი, ეკა ქევანიშვილი

ფოტო გარეკანზე: მალხაზ რაზმაძის

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი
მისამართი: თბილისი, 0102
დიმიტრი უზნაძის 52
ტელ: (+995 32) 95 13 95
ფაქსი: (+995 32) 95 58 36
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

ISSN 1987-6149 UDC 371.1 / მ-374

გამოიწერეთ პროფესიული ჟურნალი
მასწავლებელი
დარეკეთ:
შპს „წიგნის სამყარო“: 45 33 79
სს. „მაცნე“: 37 47 49, 22 64 58

შინაარსი

სტატიები

ექსპერტი

მანანა რატიანი

7 **გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება დაწყებით კლასებში**

ადამიანის გარემოსდაცვითი ცნობიერების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი სკოლამ და მასწავლებელმა უნდა ითამაშოს. როგორ უნდა გამოვუმუშაოთ ახალგაზრდებს გარემოსადმი პასუხისმგებლობა დაწყებითი კლასებიდან?

მოსაზრება

თამარ მოსიაშვილი

10 **ინტეგრირებული გაკვეთილის სინამდვილე**

დღევანდელობის მოთხოვნაა, მოსწავლემ არა მხოლოდ ცოდნა დააგროვოს, არამედ პრაქტიკაში მისი გამოყენება შეძლოს. ინტეგრაცია იმ პროცესს გულისხმობს, როდესაც სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში „გადანაწილებული“ ცოდნა ერთიანდება, მთლიანდება.
როგორია ინტეგრირების სინამდვილე?

გამოცდილება

ალუდა გოგლიჩიძე

13 **სკოლის ბიუჯეტი და მისი მართვა**

ბიუჯეტის გამჭვირვალედ და რაციონალურად მართვა აუცილებელი ფაქტორია სკოლების, ხოლო საბოლოო ჯამში საზოგადოების დემოკრატიზაციისათვის.

ექსპერტი

ნინო ელბაქიძე

20 **დისციპლინა გაკვეთილზე**

მოსწავლეთა უდისციპლინობამ შეიძლება ყველაზე მონდომებულ და საგნის საუკეთესოდ მცოდნე მასწავლებელსაც კი წაართვას ეფექტური გაკვეთილის ჩატარების სურვილი, ხოლო, მეორე მხრივ, როდესაც მოსწავლე წესრიგს არღვევს, მას ყოველთვის აქვს ამის მიზეზი. როგორ დავაღწიოთ თავი პრობლემას?

ექსპერტი

სოფო გარამიძე

33 **სკოლის ფსიქოლოგი**

რაც უფრო ადრე დავიწყებთ ბავშვის პიროვნულ თავისუფლებაზე ზრუნვას, მით მეტად ვიქნებით დარწმუნებული, რომ იგი ადრეული ასაკიდანვე შეძლებს ცხოვრების რთულ სიტუაციებში სწორად ორიენტირებას.

პრობლემა

ალეკო ცქიტიშვილი

36 **ქართული ტელესივრცე და განათლება**

ჩვენი მიზანი უნდა იყოს, შევქმნათ ზოგადი განწყობა, რათა მოსწავლეები ცოდნას დაეწაფონ. ეს განწყობა უნდა გავაღვიძოთ და უარი ვთქვათ მშრალად მიწოდებულ ინფორმაციაზე.

ინტერვიუ

ნატო ინგოროყვა

39 **როცა შენი საქმე გიყვარს**

პედაგოგობა რთულიც არის და ადვილიც

მწერალი და მთარგმნელი გიორგი ლობჟანიძე „მასწავლებლის“ სტუმარია და თავის პედაგოგებს, სიყვარულში კიდევ ერთხელ გამოუტყდა.

რუბრიკები

მრგვალი მაგიდა

შორენა ბურდილაძე

16 **ვაუჩერი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის**

როგორ განხორციელდა ვაუჩერიზაციის ექსპერიმენტული მოდელი, რა დადებითი და უარყოფითი ტენდენციები გამოიკვეთა ამ პროცესში და რამდენად დაკმაყოფილდა მასწავლებლების პროფესიული ინტერესი? ამის შესახებ პედაგოგებმა, ტრენინგ-ცენტრების წარმომადგენლებმა და პროგრამის ხელმძღვანელებმა მრგვალი მაგიდის ირგვლივ იმსჯელეს.

პორტრეტები

ეკა ქევანიშვილი

23 **ეროვნული გამოცდების შედეგების კვალდაკვალ**

მათთვის სკოლა და აბიტურიენტობა უკვე დამთავრდა, ისინი, გახარებული არიან და ამაყობენ, რომ განათლება სკოლამ მისცა. ცოდნას კი – თავისუფლების მოპოვება შეუძლია.

ჩვენი პროექტები

თეა თოფურია

31 **ვასწავლით საქართველოსთვის**

ნინო გორგილაძე აჭარელია, მაგრამ მასწავლებლად წალკის რაიონში მუშაობს. „ასწავლე საქართველოსთვის“ – ის ამ პროგრამის მონაწილეა და წალკაში, სულ ცოტა, ერთი წელი მაინც დარჩება. პროგრამამ საქართველოს მაღალმთიან, სირთულეებით გამორჩეულ რეგიონებში ორმოცდასამი პედაგოგი დაასაქმა.

ისტორია

გელა ჩეკურიშვილი

42 **სკოლა და ისტორიული შენობები**

როდესაც ჩვენი წინაპრები, გიმნაზიებსა და პანსიონებს აშენებდნენ, ამ საქმეს საუკეთესო არქიტექტორებს ანდობდნენ და სასწავლებლებში ამაღლებული განწყობის შექმნას ცდილობდნენ.

რესურსი

ნინო ლაღიძე

45 **სამოქალაქო განათლება და ეკოლოგია**

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება, ადამიანი და გარემოა. ამ მიმართულების მეშვეობით მოსწავლეები სამოქალაქო განათლების უნარ-ჩვევებს იძენენ და უყალიბდებათ პასუხისმგებლობა გარემოს დაცვის საქმეში.

კლასი

პრაქტიკული დანართი მასწავლებლებისათვის

1. ინტეგრირებული გაკვეთილი: ეკოსისტემა. ადამიანის ზემოქმედება ეკოსისტემაზე
2. სასერტიფიკაციო გამოცდა მათემატიკის მასწავლებლებისთვის – ტესტის ნიმუშები
3. კროსვორდი – გეოგრაფია

25-30

ისტორია

ირმა კახურაშვილი

47 **განათლების მეცენატები**

საქართველოში ყოველთვის არსებობდნენ მოქალაქეობრივი პოზიციით გამორჩეული მეცენატები, რომელთა საქველმოქმედო საქმეებიც ჩვენი ისტორიის განუყოფელ ნაწილად იქცა.

რეგიონი

გელა ჩეკურიშვილი

49 **რამდენი მოსწავლეცაა, იმდენი მარგალიტი აქვს სკოლას და სოფელს**

ჟურნალი „მასწავლებელი“ ახალქალაქის რაიონის, სოფელ ბარალეთის სკოლას ეწვია. სამასაწავლებლო ოთახში, მაგიდაზე ჩვენი ჟურნალებია გაშლილი. აქ ყველაფერი ახარებთ და სჭირდებათ, რაც კი განათლებას ეხება...

სახელმწიფო პროგრამა

თეა თოფურია

52 **ქართული, როგორც მშობლიური**

სახელმწიფო პროგრამა „ასწავლე ქართული, როგორც მეორე ენა“ სექტემბერში დაიწყო. შეირჩა ორმოცდაათი პედაგოგი, რომლებსაც მაღალი ხელფასი დაენიშნათ და ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში ქართულის სწავლება დაევალათ.

ერთი მასწავლებლის ისტორია

ნელი პაპასკირი

55 **ცოდნით დამპურებელი**

„მასწავლებელი მუდამ უნდა სწავლობდეს“, – ამბობს ქალბატონი ბაბუცი და გადამზადების აუცილებლობის, სწავლების ახალი მეთოდებისა და მიდგომების შესახებ საინტერესოდ და დამაჯერებლად საუბრობს...

საქართველოს პრეზიდენტმა პედაგოგები დააჯილდოვა

მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, ავლაბრის რეზიდენციაში, ღვაწლმოსილი პედაგოგები მიიღო, რომლებსაც ღირსების ორდენები გადასცა.

26 ღვაწლმოსილი პედაგოგი საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საჯარო სკოლაში ასწავლის. თითოეული მათგანი 50 წელზე მეტია, რაც პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა.

„საქართველოს ხელისუფლება ვერასოდეს ამოვა თქვენი ვალიდან, ქვეყანა ვერასოდეს გადაიხდის თქვენს ღვაწლს. ჩვენთვის დიდი პატივია თქვენი მიღება, მრავალი ადამიანი ყოფილა აქ, მათ შორის უცხოელი სტუმრებიც, მაგრამ არ მახსოვს, რომ ასეთი განსაკუთრებული სტუმრები მოსულიყვნენ.

პირველ რიგში, მინდა მოგილოცოთ მასწავლებლის დღე და ქვეყნის სახელით მადლობა გითხრათ იმ გმირული სამსახურისთვის, რომელსაც ეწევით ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. ჩვენ მასწავლებლებს საკადრის მადლობას ვერასდროს ვერ ვეტყვით“, – მიმართა პრეზიდენტმა პედაგოგებს.

ოფიციალური შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტმა პედაგოგებთან არაოფიციალური მიღება გამართა და რეზიდენციის ვერანდაზე შამპანიურით გაუმასპინძლდა. რეზიდენციიდან კი მასწავლებლები მისი მიწვევით ფილარმონიაში, ნანი ბრეგვაძის კონცერტზე დასასწრებად გაემგზავრნენ.

მზრუნველობა და საპატიო სტუმრობა

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამია და ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი ვიგაუდას უშაცკასი სოფელ წეროვანის ახლადაშენებულ სკოლას ეწვივნენ.

სკოლაში, რუსეთის აგრესიის შედეგად ოკუპირებული ტერიტორიებიდან დროებით გადაადგილებული 1 000-მდე მოსწავლე სწავლობს. აქედან – 75 პირველკლასელია. სამინისტროს მიერ წეროვანის სკოლა ახალი მერხებით, 40 პერსონალური კომპიუტერით და უკაბელო ინტერნეტით აღიჭურვა.

ახალი სასწავლო წლისთვის სულ 67 500 ცალი ინდივიდუალური სასკოლო მერხისა და სკამის კომპლექტის შესყიდვაზე საერთაშორისო ტენდერში ლიტვურმა კომპანიამ „მინიიოს ბალდაიმ“ გაიმარჯვა. ბატონმა ნიკა გვარამიამ ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრს წეროვანის ახლადგახსნილი სკოლა დაათვალიერებინა.

„ჩვენს მიერ შესყიდული მერხების რაოდენობა მსოფლიოში უპრეცედენტოა. ამის შესაძლებლობა ლიტვურმა მხარემ მოგვცა, რომელმაც მაღალი ხარისხი დაბალ ფასად შემოგვთავაზა“, – აღნიშნა ნიკა გვარამიამ.

ვიგაუდას უშაცკასი: „მოხარული ვარ, რომ აქ ბავშვები თავს კომფორტულად გრძნობენ. სახელმწიფომ ნამდვილად იზრუნა როგორც მოსწავლეებზე, ასევე მასწავლებლებზე. ამ მასწავლებლების ღვაწლი შეუფასებელია, რადგანაც ისინი დევნილ ბავშვებს განათლების გარდა, თავის სითბოსა და მზრუნველობას გადასცემენ“.

ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა წეროვანის საჯარო სკოლის მასწავლებლებს საჩუქრად ლიტვის ღირშესანიშნაობების ამსახველი წიგნი გადასცა.

მასწავლებლის ეთიკის სახელმძღვანელო

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა გამოსცა ახალი დამხმარე სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის „მასწავლებლის ეთიკის სახელმძღვანელო“.

სახელმძღვანელო პრაქტიკული სახისაა, მასში აღწერილია საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სკოლების ცხოვრებიდან სიტუაციები, რომლებიც მასწავლებლებმა, მშობლებმა და მოსწავლეებმა მოგვაწოდეს. თითოეული სიტუაცია განხილულია მასწავლებლის, ფსიქოლოგისა და განათლების სპეციალისტის მიერ, ისინი აანალიზებენ მოცემულობას და ერთობლივად ეძებენ სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალს. თითოეული მაგალითის შემდგომ დატოვებულია მასწავლებლის შენიშვნებისათვის ადგილი, რათა მასწავლებელმა თავისი ან კოლეგების მოსაზრება დააფიქსიროს და მუშაობა შეძლოს სახელმძღვანელოში.

„სახელმძღვანელოს შექმნის იდეა მასწავლებლის ეთიკის კოდექსზე მუშაობისას გაჩნდა. ცენტრმა სკოლებში მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვა და სამუშაო შეხვედრები ჩაატარა, რათა გავცნობოდით, რა სახის ეთიკური პრობლემები არსებობს მათ ურთიერთობებში. ჩვენ ვთხოვეთ მასწავლებლებს, მშობლებსა და მოსწავლეებს, აღეწერათ ისეთი შემთხვევები სასკოლო ცხოვრებიდან, რომლებიც ერთგვარ ეთიკურ პრობლემას წარმოადგენდა მათთვის. შევაგროვეთ უამრავი მასალა და ამის შემდეგ გავაკეთეთ პრობლემური საკითხების ნუსხა რაც ეთიკის კოდექსის პირველი ვერსიის შექმნის საფუძველი გახდა. სკოლიდან აღებული რეალური მაგალითები შესანიშნავ რესურსი აღმოჩნდა ეთიკის სახელმძღვანელოს შესაქმნელადაც, ჩავთვალეთ რომ მსგავსი სახელმძღვანელო დაინტერესებდათ მასწავლებლებს, რადგან კონკრეტული სიტუაციები უფრო ნათლად დაანახებს მათ თუ როგორ უნდა გაუმკლავდნენ წარმოქმნილ პრობლემებს და ზოგადად რა მნიშვნელობა აქვს მასწავლებლისათვის პროფესიულ ეთიკას“ აცხადებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორი სოფო გორგოძე.

ვინაიდან სახელმძღვანელო არამარტო მოსწავლის, არამედ მასწავლებლის და მშობლების მიერ მოწოდებულ მაგალითებზე დაყრდნობით შეიქმნა, ვფიქრობთ ის მშობლებისთვისაც საინტერესო იქნება და მათ დაეხმარებას გაუწევს სკოლაში არსებული ეთიკური პრობლემების კარგად გააზრებაში და მათ მოსაგვარებლად სკოლასთან თანამშრომლობაში.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი სიამოვნებით მიიღებს მასწავლებლების მიერ შემოთავაზებულ მოსაზრებებსა და შენიშვნებს სახელმძღვანელოსთან ან ცალკეულ მაგალითებთან დაკავშირებით.

კვლევა – ეფექტური და მიზანმიმართული საქმიანობისთვის

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დაკვეთით, „განათლების პოლიტიკის, დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტმა“ 2009 წლის მაის-აგვისტოში კვლევა ჩაატარა. კვლევა მიზნად ისახავდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის საქმიანობის შესახებ მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა ინფორმირებულობისა და განწყობა-დამოკიდებულებების შესწავლას. ის ცენტრის საქმიანობის ყველა მიმართულებასა და ინოვაციას ეხებოდა. კვლევა ორ ძირითად ეტაპად განხორციელდა და როგორც თვისობრივ, ისე რაოდენობრივ კომპონენტებს მოიცავდა. სულ გამოიკითხა 1372 პედაგოგი და 323 დირექტორი. კვლევა საქართველოს ქართულენოვან და არაქართულენოვან საჯარო და კერძო სკოლებში ჩატარდა.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ცენტრის საქმიანობის შესახებ დირექტორებისა და მასწავლებლების ინფორმირებულობის დონე და მისი პროდუქციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. გამოკითხულთა უმრავლესობისთვის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი მისაღებია, ნაწილი კი თვლის, რომ სტანდარტის მოთხოვნები სასწავლო გეგმის მოთხოვნებს აღემატება. ეს ბუნებრივია, რადგან სასწავლო გეგმა – მოსწავლის, ხოლო მასწავლებლის სტანდარტი პედაგოგის კომპეტენციას განსაზღვრავს.

უკვე მეორე წელია, ცენტრი მაძიებლობის საპილოტე პროგრამას ახორციელებს. დირექტორებისა და მასწავლებლების უმრავლესობას მიაჩნია, რომ საქართველოში მენტორ-მაძიებლობის ინსტიტუციონალიზაცია უნდა მოხდეს.

პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“ მიზნად ისახავს მაღალმთიან რეგიონებში განათლების ხარისხის გაუმჯობესებას და სკოლებში მასწავლებლის ვაკანტური ადგილების კვალიფიციური კადრებით შევსებას. როგორც აღმოჩნდა, ამ პროექტს რესპონდენტები ნაკლებად იცნობენ.

დირექტორებისა და პედაგოგების უმრავლესობა ინფორმირებულია მასწავლებელთა სერტიფიცირების თაობაზე და ამ ინიციატივის მომხრეა. მასწავლებელთა უმრავლესობა სასერტიფიკაციო გამოცდებზე გასვლას აპირებს: 2010 წელს გამოცდის ჩაბარებას მასწავლებელთა 40.1% გეგმავს, 2011 წლისთვის – 20.4%, 2012 წლისთვის – 16.1%, 2013 – წლისთვის 6.2%, ხოლო 2014 წლისთვის – 11.4%.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი პედაგოგთათვის სხვადასხვა დამხმარე სახელმძღვანელოს ამზადებს და გამოსცემს. მასწავლებელთა უმრავლესობის განცხადებით (70%), ცენტრის მიერ გამოცემული მასალები მათთვის ხელმისაწვდომია.

დამხმარე სახელმძღვანელოების გარდა, ცენტრში მომზადებულ ჟურნალ „მასწავლებელს“ გამოკითხულ დირექტორთა 52% და მასწავლებელთა 16% სისტემატურად კითხულობს.

მასწავლებელთა ვაკანსიების ვებ-გვერდის არსებობის შესახებ გამოკითხულ პედაგოგთა 53%-მა, ხოლო დირექტორთა 88%-მა იცის. აქედან ვებ-გვერდს პედაგოგთა 31% და დირექტორთა 47% იყენებს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

ცენტრის ვებ-გვერდს კი მასწავლებელთა და დირექტორთა უმრავლესობა არ იცნობს, რისი მიზეზიც შესაძლოა ინტერნეტის ხელმიუწვდომლობა იყოს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი მომავალშიც გეგმავს ასეთი ტიპის კვლევის განხორციელებას, რათა საკუთარი საქმიანობა უფრო ეფექტური გახადოს.

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა ახალი სახელმძღვანელო გამოსცა: „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში“. სახელმძღვანელო დაიბეჭდა მასწავლებელთა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) ტრენინგ-პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ცენტრი 2009 წლიდან ახორციელებს. პროგრამა მიზნად ისახავს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას (ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესწავლისა და გამოყენების კუთხით), ასევე სასწავლო პროცესში ისტ-ის ინტეგრირების ხელშეწყობას, ეროვნული სასწავლო გეგმისა და მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის შესაბამისად.

სახელმძღვანელო ორ ნაწილად არის გაყოფილი და ტექნიკური ინსტრუმენტების აღწერასთან ერთად მეთოდოლოგიურ ნაწილსაც მოიცავს: როგორ უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა ტექნოლოგიები გაკვეთილის და სასწავლო პროექტის დაგეგმვის, მომზადების, განხორციელებისა და შეფასების დროს, სასწავლო რესურსების მოსამზადებლად, კოლეგებთან, მოსწავლეებთან კომუნიკაციისა და პროფესიული თვითგანვითარებისთვის. აქვე მოცემულია პრაქტიკული რჩევები: როგორ უნდა მიაღწიოს პედაგოგმა მეტ შედეგს ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორ უნდა აუმაღლოს მოსწავლეებს მოტივაცია მრავალფეროვანი თვალსაჩინოებების შეთავაზებით, განსხვავებული სასწავლო აქტივობებით. სახელმძღვანელოს თან ახლავს დისკი, სადაც სასწავლო დისციპლინებისთვის შექმნილი სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფაა მოცემული. ამ პროგრამების ქართული შინაარსით შევსება ფონდმა „ირმის ნახტომმა“ განახორციელა.



სახელმძღვანელო ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეორე დონის ტრენინგ-კურსის მონაწილე ყველა მასწავლებელს საჩუქრად გადაეცემა.

მეორე დონის ტრენინგ-კურსთან ერთად ცენტრი მასწავლებლებს ისტ-ის საბაზო კურსის გავლასაც სთავაზობს. 2009 წლიდან კი ტრენინგების ორგანიზატორი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრია. წელს ასეთი ტრენინგები იმ საჯარო სკოლებისთვის განხორციელდება, სადაც არცერთი ან მასწავლებელთა მინიმალური რაოდენობაა მომზადებული. მომავალი წლიდან ცენტრი სახელმძღვანელოს საბაზო კურსისთვისაც დაამუშავებს და გამოსცემს.

ცენტრის მიერ ორგანიზებული ისტ-ის ტრენინგ-კურსები და სახელმძღვანელო „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში“ ხელს შეუწყობს სკოლებში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, ტექნოლოგიებით გამდიდრებული სასწავლო გარემოს შექმნას.

მასწავლებელთა რეგისტრაციის მართვის საინფორმაციო სისტემა – საიმედო გზამკვლევი

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2008-2009 წლებში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა შეიმუშავა და დანერგა მასწავლებელთა რეგისტრაციის მართვის საინფორმაციო სისტემა, რომლის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაშიც მასწავლებლების შესახებ საიდენტიფიკაციო, საკვალიფიკაციო და სხვა სახის ოფიციალური მონაცემებია დაცული. ბაზაში 2 450 სკოლისა და დაახლოებით 74 000-მდე მასწავლებლის სხვადასხვა მონაცემია შეყვანილი, ისინი 70 რესურს-ცენტრის მიხედვით არის განაწილებული.

მასწავლებელთა რეგისტრაციის მართვის საინფორმაციო სისტემა ერთ-ერთი უპრეცენდენტო პროექტია. ინტერნეტის გამოყენებით ყველა რესურს-ცენტრს, საჯარო სკოლას და დარეგისტრირებულ მასწავლებელს საშუალება ეძლევა, სისტემაში ორგანიზებული მონაცემები შეიყვანოს, ინფორმაცია მოიძიოს და განაახლოს. მონაცემების გარკვეულ ნაწილზე პასუხისმგებელი სკოლა იქნება. მონაცემთა იმ ნაწილს, რომელიც მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგებს შეეხება, სისტემა გამოცდების ეროვნული ცენტრიდან მიიღებს. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების შესახებ ინფორმაციაზე პასუხისმგებლობას შესაბამისი აკრედიტებული პროგრამები აიღებენ, რომლებიც სერტიფიკატს გასცემენ. თითოეულ მასწავლებელს შეეძლება პირადი მონაცემები გადაამოწმოს და სკოლის კომპიუტერული ცენტრის ან რესურს-ცენტრებში სპეციალური ფორმის შევსების შემდეგ, ცვლილებები და დამატებები განახორციელოს. სისტემა მასწავლებლებს საშუალებას მისცემს, მაქსიმალურად მარტივი და მოსახერხებელი ფორმით დარეგისტრირდნენ სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის.

დღეისთვის რესურს-ცენტრებსა და სკოლებთან თანამშრომლობით მოწმდება ბაზა შესაძლო შეცდომებისა და უზუსტობების გამოსავლენად. რეგისტრაციის მართვის საინფორმაციო სისტემაში საქართველოს ყველა კერძო თუ საჯარო სკოლის შესახებ ინფორმაციაა მოთავსებული.

სისტემა ავტომატურად ადგენს მასწავლებლის რეზიუმეს, რომლის ამობეჭდვაც ახლო მომავალში შესაძლებელი იქნება სკოლებისა და მასწავლებლებისთვის. ამჟამად მუშავდება ანალიტიკური ანგარიშის რამოდენიმე ფორმა, რომლებიც სისტემის მომხმარებელს საშუალებას მისცემს, სხვადასხვა ჭრილში დაინახოს მისთვის საინტერესო სტატისტიკური თუ ანალიტიკური ინფორმაცია.

გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება დაწყებით კლასებში

ადამიანის გარემოსდაცვითი ცნობიერების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი სკოლამ და მასწავლებელმა უნდა ითამაშოს. როგორ უნდა გამოვუმუშაოთ ახალგაზრდებს გარემოსადმი პასუხისმგებლობა? რა თქმა უნდა, იდეალურია, როდესაც ოჯახი, სკოლა, თემი თუ ადგილობრივი მმართველობა თანაბრად მონაწილეობს ამ პროცესში. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ასეთი იდეალური თანხვედრა არ გვაქვს. ამიტომ უნდა ვეცადოთ, გავააქტიუროთ მოსწავლეები და მათ საკუთარი ქმედებების მნიშვნელობა გავაცნობიერებინოთ.

მანანა რატიანი

გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის ექსპერტი

ჩვენს მიერ შემოთავაზებულ აქტივობას დიდი რესურსი არ სჭირდება. სასურველი შედეგი სწორი დაგეგმვითა და თანმიმდევრულობით მიიღწევა. დაწყებითი კლასების მოსწავლეები სიამოვნებით ერთვებიან საგანმანათლებლო გარემოსდაცვით ინიციატივებში, რაც მათზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს და სწავლების პროცესს სახალისოს ხდის.

სასურველია, ეს აქტივობა მე-3-4-ე კლასელებთან ჩატარდეს, თუმცა მასწავლებელს, საკუთარი შეხედულებისამებრ, მისი გამოყენება სხვა კლასებთანაც შეუძლია.

აქტივობის მიზანია: ვასწავლოთ მოზარდებს:

- რას ნიშნავს გარემოზე მავნე ზემოქმედება
- როგორ შეამცირონ მავნე ზემოქმედება გარემოზე
- როგორ გაზარდონ დადებითი ზემოქმედება გარემოზე
- გამოიმუშავონ ლიდერის თვისებები
- იქცნენ გარემოს ქომაგებად

მოცემული აქტივობა ხანგრძლივია და რამდენიმე კვირა გრძელდება. თუმცა მასწავლებელს უფლება აქვს, თავად განსაზღვროს მისი ხანგრძლივობა. არ არის აუცილებელი, თითოეული გაკვეთილი აღნიშნულ აქტივობას მიეძღვნას. მთავარი მოსამზადებელი ნაწილის ჩატარება და საბოლოო შეჯამებამდე მასთან პერიოდულად მიბრუნებაა.

თავდაპირველად ლექციის ფორმით უნდა აიხსნას, თუ რა ახდენს უარყოფით ზემოქმედებას ჩვენს გარემოზე. ისეთ მავნე ფაქტორებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება, რომლებიც ამ ასაკის ბავშვებისთვის ხილული და ადვილად აღსაქმელია. აუცილებელად უნდა გავითვალისწინოთ, რამდენად შეძლებს მოსწავლე თავად, ან უფროსების დახმარებით, ამ მავნე ზემოქმედების შემცირებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს აქტივობა საგანმანათლებლო მნიშვნელობას დაკარგავს.

თემების წარდგენა

უნდა განვიხილოთ შემდეგი თემები:

ადამიანის გარემოსდაცვითი ცნობიერების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი სკოლამ და მასწავლებელმა უნდა ითამაშოს.

1. ჭარბი მოხმარება
   ა. ენერგიის
   ბ. პროდუქციის
2. ტრანსპორტი
3. ნარჩენები
4. მეორადი გადამუშავება

ჭარბი მოხმარება – ყველასთვის გასაგებია, თუ რა იგულისხმება, მაგალითად, ენერგიის ჭარბ მოხმარებაში. როდესაც ბუნებრივი სინათლე საკმარისია, ნათურა არ უნდა ავანთოთ. ვარვარიანი ნათურებიდან ენერგოდამზოგავ სახეობებზე უნდა გადავიდეთ (სხვათაშორის, ევროკავშირის ქვეყნებმა მხოლოდ უარი კი არ თქვეს ამ ენერგოშთანმთქმელ ნათურებზე, არამედ 1 სექტემბრიდან მათი გამოყენება აკრძალეს კიდეც). ასევე, დენის წყაროდან უნდა გამოვრთოთ ნებისმიერი ნივთი, თუ მისით აღარ ვსარგებლობთ (მაგალითად, კომპიუტერის ეკრანი ოთახიდან გასვლისას), ჩავაქროთ სინათლე და ა.შ. ღამით არ უნდა დავტოვოთ დენის წყაროს შეერთებული ჩამრთველები, რაც ენერგიას მცირედ, მაგრამ მაინც მოიხმარს.

მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს ავუხსნათ, რამდენად სასარგებლოა სახელმძღვანელოების გაფრთხილება. თუ მომავალ წელს მათ გამოყენებას სხვა მოსწავლეებიც შეძლებენ, ეს, საბოლოო ჯამში, ტყის საფარის შენარჩუნებას შეუწყობს ხელს.

სათამაშოები, რომლებიც კარადაში ან ყუთში ყრია და მოზარდი მათით აღარ თამაშობს, შეიძლება მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს გადაეცეს. ამ პროდუქციის წარმოებისას ხომ, ელექტროენერგიასთან ერთად, არაერთი რესურსი იხარჯება.

ტრანსპორტი – ნავთობპროდუქტებზე მომუშავე სახეობები გარემოზე მეტად მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს. საქართველოს ქალაქების ძირითადი დაბინძურების წყარო სწორედ ტრანსპორტია. მოსწავლეებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის უპირატესობა უნდა ავუხსნათ და გადაადგილების უფრო უსაფრთხო სახეობების მნიშვნელობაზეც ვესაუბროთ. უქმეებზე ოჯახური დასვენების დაგეგმვისას შეუძლიათ ავტომობილით გასეირნების ნაცვლად ლაშქრობა აირჩიონ და ა.შ.

ნარჩენები – საქართველოში ნარჩენების გადამუშავება, ფაქტობრივად, არ ხდება. არადა, არსებობს ისეთი ნარჩენები, რომლებიც შეუქცევადად აბინძურებს გარემოს, რადგან მათ დაშლას არაერთი ათწლეული სჭირდება. ასეთია პლასტიკატისგან დამზადებული ბოთლები, კონტეინერები თუ ერთჯერადი „ცელოფნები“.

მეორადი გადამუშავება – ამ პუნქტს ყველა ვერ გამოიყენებს. ეს სკოლის ადგილმდებარეობაზეა დამოკიდებული. თუ თქვენს დასახლებაში აღნიშნული სერვისი ხელმისაწვდომია, მაშინ პერიოდულად აქციების მოწყობა შეგიძლიათ. იქ, სადაც ქაღალდის მეორადი გადამუშავება ხდება, ქაღალდების შესაგროვებლად და ჩასაბარებლად, გარკვეული ღონისძიებები დაგეგმეთ, რომლებიც მომავალში მუდმივ ხასიათს მიიღებს.

საკუთარი ქმედებების მონიტორინგი

ამის შემდეგ მოსწავლეებს ურიგდებათ კითხვარები, რომელთა საშუალებითაც გამოითვლიან, როგორია მათი მავნე თუ დადებითი ზემოქმედება გარემოზე.

დადებითი ზემოქმედება მწვანედ შეფერილი ნაკვალევით აღინიშნება, მავნე ზემოქმედება კი – შავი ფერის ნაკვალევით. ქულების მიხედვით, სიმბოლოს ზომა შეიძლება გაიზარდოს ან დაპატარავდეს.

საბოლოოდ, თითოეული მოსწავლე, კვირების მიხედვით, დროის შკალას ადგენს, სადაც გამოჩნდება, თუ როგორ შეამცირა გარემოზე მავნე ზეგავლენა და გაზარდა დადებითი (იხ. ნახ.1).

ნახ.1 გარემოზე ზემოქმედების დროის შკალა

შავი ნაკვალევის დასათვლელად მოსწავლე ავსებს პირველ კითხვარს:

კითხვარი 1

ელექტრო-ხელსაწყოებს მოვიხმარ არაეკონომიურად	1	ნაგავს ყოველთვის ურნაში არ ვყრი	1	გარემოსადმი მეგობრების უდიერ დამოკიდებულებას ყურადღებას არ ვაქცევ, ვცდილობ, ყველგან ავტომანქანით მატარონ	1
ონკანი მოშვებული მრჩება ხოლმე	1	მცენარეებზე არ ვზრუნავ, ვაზიანებ თუ განსაკუთრებულად არაფერს ვაკეთებ მცენარეების „სასარგებლოდ?“	1	საყიდლებზე ჩანთა არ დამაქვს, მაინც პარკში ჩამიწყობენ	1
რვეულებს ხშირად ვცვლი ისე, რომ ბოლომდე არ ვავსებ	1	ცხოველებზე არ ვზრუნავ	1	ბუნებაში ყოფნას კომპიუტერის თამაში ან ტელევიზორის ყურება მირჩევნია	1
ჩემი ნახმარი სახელმძღვანელოები მოსახმარად უვარგისია	1	ხშირად ვყიდულობ პლასტიკატით შეფუთულ საკვებს/სასმელს	1		

მწვანე ნაკვალევის დასათვლელად მოსწავლე ავსებს მეორე კითხვარს:

კითხვარი 2

ელექტრო-ხელსაწყოები მხოლოდ მაშინ მაქვს ჩართული, როცა მათ ვიყენებ	1	ვუვლი მცენარეებსა და ცხოველებს	1	სკოლაში ფეხით/საზოგადოებრივი ტრანსპორტით დავდივარ	1
ონკანს ყოველთვის ვკეტავ და წყალს ეკონომიურად მოვიხმარ	1	დავრგე ხე, გავახარე ქოთნის მცენარე	1	ოჯახის წევრებს მოვუწოდებ, მეტად იარონ ფეხით	1
ბოლომდე ვავსებ რვეულებს და ფურცლის ორივე მხარეს ვიყენებ	1	მიყვარს ბუნებაში ყოფნა და მასზე დაკვირვება	1	უარი ვთქვი ერთჯერად პარკებზე, მაღაზიაში ჩანთით ჩავდივარ	1
სახელმძღვანელოებს ვუფრთხილდები	1	ვცდილობ, პლასტიკატით შეფუთული საკვები ნაკლებად გამოვიყენო	1	ოჯახთან ერთად ვგეგმავ, კიდევ რისი გაკეთება შეგვიძლია გარემოსთვის	1
არ ვანაგვიანებ გარემოს	1	თუ მეგობარი გარემოს აზიანებს, მიყენებული ზიანის მნიშვნელობას ვუხსნი	1		

ყოველი კვირის ბოლოს მოსწავლეები ქულებს ითვლიან და განსაზღვრავენ თუ როგორი კვალი დატოვეს გარემოზე.

0-2 ქულა	3-4 ქულა	5-6 ქულა	7-8 ქულა	9-10 ქულა	11 და მეტი

თამარ მოსიაშვილი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სერტიფიცირების კოორდინატორი

ინტეგრირებული გაკვეთილის სინამდვილე

სასწავლო პროცესის ინტეგრაციის დონეები

სიტყვა „ინტეგრირება“ უცხო სიტყვათა ლექსიკონში განმარტებულია, როგორც ნაწილების მთლიანობაში მოქცევა. ცოდნის ერთიანობის შესახებ შეხედულებებს კომენსკისა და პესტალოცის ნაშრომებში ვხვდებით. პესტალოცი ამტკიცებდა, რომ სწავლების პროცესში საგნები გამიჯნულია, მაგრამ მოსწავლეს საკითხების გაგება, გაერთიანება და საკუთარი შეხედულებების მკაფიოდ ჩამოყალიბება უნდა შეეძლოს.

ამ წერილის მთავარი მიზანი ინტეგრირებული გაკვეთილების არსებული პრაქტიკისა და საგანთა ინტეგრაციის შესაძლებლობების განხილვაა. ეროვნული სასწავლო გეგმა მასწავლებლებს სხვადასხვა საგნობრივი ცოდნისა და უნარების დაკავშირების საშუალებას აძლევს, თუმცა საჯარო სკოლების პედაგოგები თავადაც ცდილობენ საგანთა ინტეგრაციის სხვა გზების პოვნას.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში პედაგოგები ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმებს გზავნიან. მათ სურთ, კოლეგებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარონ. ეს გაკვეთილები მიზნად ისახავს ისტორიის, სამოქალაქო განათლებისა და ისტ-ის, ინგლისური ენის, გეოგრაფიის, მუსიკისა და ისტ-ის; მათემატიკის, ბუნების, ხელოვნებისა და ისტ-ის; ისტორიისა და ქიმიის ინტეგრირებას. მასწავლებლები ინტეგრირებულ გაკვეთილებს სწავლების სამივე საფეხურზე ატარებენ. მათ მიერ მომზადებული გეგმები, შესაძლოა, შემდეგ კატეგორიებად დაიყოს:

1. მასწავლებელი მოსწავლეებს რამდენიმე საგანს ასწავლის და შემოთავაზებულ გეგმაში კოლეგებს ამ საგნების ინტეგრაციის შესაძლებლობას აჩვენებს. ის სხვა საგნის მასწავლებლებთან ერთად ატარებს გაკვეთილს ან სხვადასხვა საგანში შესაბამისი ცოდნა აქვს და ინტეგრირებულ გაკვეთილს თავად უძღვება.
2. სხვადასხვა საგნის მასწავლებლები ერთად გეგმავენ გაკვეთილს და მას, საგნების სპეციფიკის გათვალისწინებით, ერთობლივად ატარებენ.
3. ისტ-ის გამოყენება მასწავლებლებს საშუალებას აძლევს, გაკვეთილი უფრო „თვალსაჩინო“ გახადონ, საგანმანათლებლო რესურსებით გაამდიდრონ, ასევე მოსწავლეებს ინფორმაციის მოძიების ის უნარ-ჩვევები განუვითარონ, რომლებიც 21-ე საუკუნის ადამიანისთვის მეტად მნიშვნელოვანია. სასწავლო პროცესში ისტ-ის ინტეგრირების საკითხს ამ წერილში არ განვიხილავთ.

> **დღევანდელობის მოთხოვნაა, მოსწავლემ არა მხოლოდ ცოდნა დააგროვოს, არამედ პრაქტიკაში მისი გამოყენებაც შეძლოს. ინტეგრაცია იმ პროცესს გულისხმობს, როდესაც სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში „გადანაწილებული“ ცოდნა ერთიანდება, მთლიანდება.**

მასწავლებლების მიერ შემოთავაზებულ გაკვეთილის გეგმებში ეროვ-

ნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის სხვადასხვა გზაა ასახული. პედაგოგები მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს, სამოტივაციო აქტივობებსა და ჯგუფურ სამუშაოებს მიმართავენ. ბევრი მათგანისთვის ხელმიუწვდომელია ის ლიტერატურა, რომელიც ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვისა და ჩატარების შესახებ რჩევებს მოიცავს. საგანმანათლებლო ლიტერატურაში საგანთა ინტეგრირების 10 დონეა აღწერილი (Fogarty, "The Mindful School").

I დონე: საგანი და საგნით გათვალისწინებული შესასწავლი თემები იზოლირებულად ისწავლება.

უპირატესობა: მოსწავლემ იცის საგანი და მისი შემადგენელი თემები.

ნაკლი: მოსწავლე ვერ ხედავს თემებს შორის კავშირს, არ შეუძლია ერთ საგანში ნასწავლი მასალის მეორე საგანთან დაკავშირება.

II დონე: საგანი ისე ისწავლება, რომ შესასწავლი თემები ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული.

უპირატესობა: მოსწავლეებს შეუძლიათ, ერთი საგნის ფარგლებში, ძირითადი იდეებისა და კონცეფციების ერთმანეთთან დაკავშირება და განხილვა.

ნაკლი: მოსწავლე ვერ ხედავს სხვა საგნებთან კავშირს, არ შეუძლია ერთ საგანში ნასწავლი მასალის მეორე საგანთან დაკავშირება.

III დონე: სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საგნისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური უნარ-ჩვევების განვითარებას.

უპირატესობა: ყურადღება გამახვილებულია ერთდროულად რამდენიმე საკითხზე, მოსწავლეები იღებენ მრავალფეროვან ინფორმაციას სხვადასხვა საკითხის შესახებ, სწავლების პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლე ცოდნას იძენს და უნარ-ჩვევებს ივითარებს.

ნაკლი: მოსწავლეებს, შესაძლოა, გამორჩეთ (ან სწორად ვერ განსაზღვრონ) საგაკვეთილო აქტივობისა თუ გაკვეთილის ძირითადი მიზანი, რადგან სწავლების პროცესში აქცენტირებულია საგნის სპეციფიკური უნარ-ჩვევების განვითარება.

IV დონე: სხვადასხვა საგნის კონცეფციები ერთმანეთს უკავშირდება.

უპირატესობა: ხდება ცოდნის, შინაარსის გადატანა ერთი საგნიდან მეორეში.

ნაკლი: საჭიროა მასწავლებელთა მუდმივი თანამშრომლობა. ისინი ვალდებულნი არიან, მიაღწიონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგებს, მათ კურიკულუმის შეცვლის უფლება არ აქვთ. სახელმძღვანელოში მოცემულ საკითხთა თანმიმდევრობის შეცვლა კი რთულია, რადგან შეიძლება ერთი საგნის ფარგლებში შესასწავლი საკითხების ლოგიკური თანმიმდევრობა დაირღვეს.

V დონე: გაკვეთილს გეგმავს ორი ან სამი მასწავლებელი, დაგეგმვის პროცესში ხდება საერთო კონცეფციებისა და განსავითარებელი უნარების განსაზღვრა ორი ან სამი საგნის ფარგლებში.

უპირატესობა: ორი-სამი მასწავლებლის თანამშრომლობა სირთულეს არ წარმოადგენს.

ნაკლი: ითხოვს დამატებით დროს თანამშრომლობისათვის.

VI დონე: თემატური სწავლება – რამდენიმე საგანში მოსწავლე სწავლობს ერთ საკითხს (მაგალითად, ცილების სწავლება ბიოლოგიასა და ქიმიაში, ან საზოგადოებრივ მეცნიერებებში შესასწავლი საკითხის „მუსიკა საქართველოსა და მსოფლიოში უძველესი დროიდან დღემდე" ინტეგრირება მუსიკაში შესასწავლ საკითხთან – „ფრაგმენტები სხვადასხვა ეპოქის კომპოზიტორთა ცნობილი ნაწარმოებებიდან და ქართული ხალხური და პროფესიული ნაწარმოებების მოსმენა და ამოცნობა")

უპირატესობა: ამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას, ეხმარება საგანთშორისი კავშირის განსაზღვრაში.

ნაკლი: თემის შერჩევისას, მნიშვნელოვანია სხვადასხვა საგანში შესასწავლი საკითხების შინაარსობრივი შესაბამისობა, სახელმძღვანელოში მოცემულ საკითხთა თანმიმდევრობის შეცვლამ კი, შესაძლოა, თემების ლოგიკური თანმიმდევრობა დაარღვიოს.

VII დონე: სხვადასხვა საგნის სწავლებისას, მსგავსი უნარების განვითარება ხდება (წერის, კითხვის, დისკუსიის, ჯგუფში მუშაობის უნარი და სხვა).

უპირატესობა: მოსწავლეები სწავლას სწავლობენ (ანუ იმას, თუ როგორ უნდა ისწავლონ), საკუთარი სწავლის სტილს აცნობიერებენ.

ნაკლი: საგნები იზოლირებულად ისწავლება.

VIII დონე: სწავლების დროს გამოკვეთილია სხვადასხვა საგნის საერთო პრიორიტეტები, კონცეფციები და სპეციფიკური უნარ-ჩვევეები.

უპირატესობა: სასწავლო პროცესი ისეა ორგანიზებული, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ, საგანთშორისი თემატური კავშირები დაინახონ, განივითარონ სპეციფიკური უნარ-ჩვევები. სწავლების პროცესი წინასწარაა დაგეგმილი, არსებობს ინტეგრირე-

ბული ეროვნული სასწავლო გეგმა ან სასკოლო კურსი/პროგრამა.

ნაკლი: სხვადასხვა საგნობრივი კათედრის წევრ მასწავლებელთა თანამშრომლობისთვის საჭიროა დრო.

IX დონე: მოსწავლეს შეუძლია ნასწავლი საკითხების ინტეგრირება მისთვის საინტერესო სფეროსთან, მასწავლებელი მხოლოდ ფასილიტატორის როლს ასრულებს, რაც იმას გულისხმობს, რომ მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს, დაგეგმოს ინტეგრაციის პროცესი, განსაზღვროს საქმიანობის მიზანი, გადაჭრას პრობლემა და უპასუხოს დასმულ კითხვას.

უპირატესობა: ინტეგრირებას ახორციელებს მოსწავლე, შემუშავებული გეგმის შესაბამისად (საგანმანათლებლო პროექტში მონაწილეობა, დაგეგმილი კვლევის შესრულება და მისი ანალიზი, რეფერატის/თემის მომზადება მასწავლებელთან ერთად შემუშავებული გეგმის მიხედვით).

ნაკლი: აქტივობის მიზანი შეიძლება რთული აღმოჩნდეს მოსწავლისთვის და დავალებამ ყველა მოსწავლის ინტერესის სფერო ვერ მოიცვას.

X დონე: მოსწავლე თავად გეგმავს სხვადასხვა საგანში ნასწავლი საკითხების ინტეგრირებას, თავად ირჩევს ექსპერტთა ჯგუფსა და საჭირო რესურსებს (მაგ. საგანმანათლებლო პროექტის დაგეგმვა და განხორციელება, მცირე კვლევის დაგეგმვა და განხორციელება, თემის/რეფერატის მომზადება).

უპირატესობა: აქტიური პროცესია, რადგან მოსწავლე დამოუკიდებლად იძენს ახალ ცოდნას და ივითარებს უნარებს. ახდენს შესწავლილი მასალის ანალიზს, სინთეზსა და შეფასებას.

ნაკლი: საგანმანათლებლო აქტივობის მიზანი, შესაძლოა, მეტად რთული იყოს და მოსწავლის მცდელობა უშედეგო აღმოჩნდეს.

მოსწავლეების საჭიროებებიდან გამომდინარე, მასწავლებელმა თავად უნდა განსაზღვროს ინტეგრირების დონე და საგაკვეთილო პროცესი სათანადოდ დაგეგმოს.

საქართველოს სკოლებში არსებული „ინტეგრირებული გაკვეთილების“ პრაქტიკა, შეიძლება, პოზიტიურ მოვლენად ჩაითვალოს. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან:

> **მოსწავლეების საჭიროებებიდან გამომდინარე, მასწავლებელმა თავად უნდა განსაზღვროს ინტეგრირების დონე და საგაკვეთილო პროცესი სათანადოდ დაგეგმოს.**

- ხელს უწყობს მასწავლებელთა თანამშრომლობას (ისინი ერთად გეგმავენ და განიხილავენ გაკვეთილებს);
- საგნობრივი კათედრების საქმიანობა უფრო ნაყოფიერი ხდება;
- ვითარდება თანამშრომლობა სხვადასხვა კათედრას შორის.
- იცვლება სასწავლო პროცესი.

სწავლება ისეა ორგანიზებული, რომ მოსწავლეს უვითარდება მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, შეუძლია საგნობრივად „გადანაწილებული“ ცოდნის გაერთიანება/გამთლიანება.

საგანმანათლებლო სფერო ყველა ეპოქაში იცვლება. დღევანდელობის მოთხოვნაა, მოსწავლემ არა მხოლოდ ცოდნა დააგროვოს, არამედ პრაქტიკაში მისი გამოყენებაც შეძლოს. ინტეგრაცია იმ პროცესს გულისხმობს, როდესაც სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში „გადანაწილებული“ ცოდნა ერთიანდება, მთლიანდება. ინტეგრირებული გაკვეთილი შეიძლება ითვალისწინებდეს ერთი საგნის ფარგლებში თემების ინტეგრირებას, სხვადასხვა საგნის ინტეგრირებას, სხვადასხვა საგანში მსგავსი უნარ-ჩვევების განვითარებას, ან მოსწავლის მიერ რომელიმე თემის ირგვლივ შესწავლილ საკითხთა ინტეგრირებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა თავად განსაზღვროს ინტეგრაციის დონე და სხვა პედაგოგებთან თანამშრომლობის ფორმები შეიმუშავოს. თანამშრომლობაში მოიაზრება, როგორც გაკვეთილის ერთობლივად ჩატარება, ასევე სახელმძღვანელოში პარაგრაფების თანმიმდევრობის გადანაცვლებაც. ასევე ინტეგრაციის მნიშვნელოვანი პროდუქტი შეიძლება გახდეს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შექმნილი კურსი, რომელშიც საგანმანათლებლო წყაროდ გამოყენებული იქნება სახელმძღვანელო, სამეცნიერო ჟურნალი, საგანმანათლებლო ფილმი, მულტიმედია, ინტერნეტ-რესურსი. აღნიშნული კურსი გათვლილი უნდა იყოს დროის გარკვეულ პერიოდზე და მისაღწევი შედეგებიც წინასწარ უნდა განისაზღვროს.

სკოლის ბიუჯეტი
და მისი მართვა

საქართველოს განათლების სასკოლო სისტემის რეფორმირების ძირითადი ორიენტირი დემოკრატიზაცია და დეცენტრალიზაციაა, რასაც შედეგად სკოლების ავტონომიურობის ხარისხის ზრდა და სკოლის მართვის პროცესში, სამეურვეო საბჭოს საშუალებით, მშობლისა და პედაგოგის გააქტიურება მოჰყვა. სამეურვეო საბჭოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია ბიუჯეტის დამტკიცება და ფინანსური რესურსების განკარგვაზე კონტროლის განხორციელებაა. შესაბამისად ბიუჯეტის მართვა სკოლის მენეჯმენტისათვის ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს.

ალუდა გოგლიჩიძე

თბილისის 42-ე საჯარო სკოლის დირექტორი

საქართველოს განათლების სასკოლო სისტემის რეფორმირების ძირითადი ორიენტირი დემოკრატიზაცია და დეცენტრალიზაციაა, რასაც შედეგად სკოლების ავტონომიურობის ხარისხის ზრდა და სკოლის მართვის პროცესში, სამეურვეო საბჭოს საშუალებით, მშობლისა და პედაგოგის გააქტიურება მოჰყვა.

მკაცრად ცენტრალიზებული მმართველობითი სისტემიდან დემოკრატიული მართვის სისტემაზე გადასვლისას, ბიუჯეტირების პროცესის განვითარების გზაზე, გარკვეული დაბრკოლებები შეიძლება შექმნას სათანადო ღირებულებებისა და ტრადიციების, საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე კადრების, ფინანსური და მატერიალური რესურსების ნაკლებობამ, წარმატებული პრაქტიკის დეფიციტმა და ა.შ. მიუხედავად ამისა რეფორმები სისტემაში შეუქცევადი უნდა იყოს და კიდევ უფრო მეტი სითამამით უნდა გაგრძელდეს.

განვიხილავთ 2 წლის განმავლობაში ქ. თბილისის №42 საჯარო სკოლაში ბიუჯეტის მართვის პროცესში დაგროვილ პრაქტიკულ გამოცდილებას:

ბიუჯეტის მართვის პროცესში უმთავრესია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დამკვიდრება. ამ მოტივით სკოლაში პირველი ნაბიჯი იყო ყველანაირი ფინანსური ოპერაციის მხოლოდ საბანკო გადარიცხვების გზით განხორციელებაზე გადასვლა. ასევე მნიშვნელოვანია ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაქსიმალურად გაზრდა, მაგალითად სკოლაში ხელმისაწვდომ და თვალსაჩინო ადგილზე ნაბეჭდი სახით ინფორმაციის გავრცელება. უმჯობესია ეს რამდენიმე ადგილზე გაკეთდეს.

მართალია, კანონით ბიუჯეტის დამტკიცებისათვის დირექტორს მაქსიმუმ 12 ადამიანთან შეთანხმება სჭირდება, მაგრამ ბიუჯეტის წარმატებულად დაგეგმვა ნიშნავს არა უბრალოდ კარგი დოკუმენტის შექმნას, არამედ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მისი შექმნის პროცესში იმ ინტერესთა ჯგუფების (მოსწავლეები, მშობლები, პედაგოგები) წარმომადგენლთა მაქსიმალურ მონაწილეობას ვისაც, ის შეეხება.

იმისათვის, რომ ბიუჯეტი ნათლად გამოხატავდეს სკოლის მიზნებსა და მთავარ პრიორიტეტებს, 2007-2008 სასწავლო წელს შევეცადეთ შეგვეცვალა ბიუჯეტის სტრუქტურა, როგორც შემოსავლების, ასევე ხარჯების კუთხით. მაგალითად, თუ წინა წლებში სკოლის შემოსავლები მხოლოდ ვაუჩერითა და შემოწირულობებით განისაზღვრებოდა, განახლებული ბიუჯეტი დაფინანსების მეტი წყაროების მობილიზებაზე გახდა ორიენტირებული (იხილეთ დიაგრამა №1).

დღევანდელი რეალობისათვის აქტუალური ტერმინებია „მცირე კონტინგენტიანი“ და „დეფიციტური სკოლა“. გვხდება შემთხვევები, როდესაც სკოლები თავს იწონებენ

დიაგრამა №1. სკოლის შემოსავლების საერთო სტრუქტურა (2007-2008 სასწავლო წელი)



მოსწავლეთა რაოდენობის ზრდით და რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს არის სკოლის წარმატების ერთადერთი ინდიკატორი. სინამდვილეში კი შეიძლება ყველაფერი პირიქით იყოს. ჯერ ერთი, საინტერესოა რის ხარჯზე ხდება მოსწავლეთა კონტინგენტის ზრდა და ხომ არ აქვს ადგილი „სასათბურე“ პირობების შექმნას მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების, ცოდნის შეფასების ან სხვა კუთხით და მეორეც, ხშირად მოსწავლეთა კონტინგენტის სიმცირე ან ბიუჯეტის დეფიციტურობა სხვადასხვა ობიექტური მიზეზებით შეიძლება იყოს განპირობებული, კერძოდ: გეოგრაფიული, დემოგრაფიული, ბიოლოგიური, სოციალური, შენობის ზომისა და სხვა ფაქტორებით. რა თქმა უნდა ზოგჯერ შეიძლება სუბიექტური ხასიათის პრობლემებიც არსებობდეს.

მაგალითად 2007-2008 სასწავლო წელს მოსწავლეთა კონტინგენტი 600-დან 700 მოსწავლემდე გაიზარდა, მაგრამ გარკვეულ პერიოდში სკოლის ბიუჯეტი მაინც დეფიციტური იყო. ხოლო მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდა შენობის სიმცირის გამო ვერ ხერხდება. ზოგადად კი სკოლის მენეჯმენტისათვის უფრო სასურველია მოსწავლეთა კონტინგეტის 500-მდე შემცირება და თუ სტანდარტული ვაუჩერი სკოლას არ ყოფნის (ამ ეტაპზე ძირითადად ხელფასებზე), მას შეუძლია სტანდარტზედა დაფინანსების მოთხოვნა, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა ფორმალურად იყოს დაფიქსირებული, ხელფასების გარდა, ბიუჯეტის თუ რა ხარჯებს უნდა ფარავდეს სახელმწიფო აუცილებლობის სახით.

2007-2008 სასწავლო წელს არასაბიუჯეტო სახსრების უკეთ მობილიზების მიზნით შევქმენით და სხვადასხვა სერვისები შევთავაზეთ როგორც საკუთარ მოსწავლეებს (ლოგიკა, მენეჯმენტი, ჟურნალისტიკა, პროგრამირება), ასევე სხვა სკოლის მოსწავლეებსაც (საშაბათო სკოლის ფარგლებში ფიზიკისა და მათემატიკის კურსები). ასევე, მიზნად დავისახეთ გრანტების მოპოვება, შენობის გაქირავებით თანხების მობილიზება და სოციალური შენატანების უზრუნველყოფა.

შევცვალეთ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის სტრუქტურაც, რომელიც შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

- შრომის ანაზღაურება; საოფისე ხარჯები;
- ტექნიკური აღჭურვილობა და სამეურნეო ხარჯები;
- პროფესიული განვითარება;
- სასწავლო გარემო; ფონდების მოძიება და წარმომადგენლობითი ხარჯები;
- უსაფრთხო სკოლა; პროგრამები და პროექტები; კაპიტალური ხარჯები;
- სხვადასხვა ხარჯები და სერვისები (იხილეთ დიაგრამა №2).

სკოლის ბიუჯეტის სტრუქტურის მიხედვით საოფისე ხარჯებში შედის:

- კომუნალური ხარჯები;
- საკანცელარიო აღჭურვილობა;
- ადმინისტრაციული ხარჯი და მომსახურება;
- საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი.

ეკონომიკური საქმიანობის წარმართვის შემთხვევაში, სკოლა ვალდებულია კომუნალური გადასახადების წილი, შენობის დატვირთვის პროპორციულად, მიღებული თანხებიდან გადაიხადოს. მაგალითად, 2007-2008 სასწავლო წელს სკოლამ კომუნალური ხარჯების 44% საბიუჯეტო, ხოლო 56% არასაბიუჯეტო სახსრებიდან დაფარა.

დიაგრამა №2. 2007-2008 სასწავლო წლის ხარჯების სტრუქტურა



ტექნიკური აღჭურვილობისა და სამეურნეო ხარჯებში მოიაზრება შემდეგი პუნქტები:

- კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა;
- კომპიუტერული ტექნიკის აქსესუარები;
- საყოფაცხოვრებო ტექნიკა;
- სამეურნეო ინვენტარი და ხარჯები.

პროფესიული განვითარება:

- სასწავლო მასალები და გამოცემები;
- პედაგოგთა, ადმინისტრაციის წევრთა, კათედრის ხელმძღვანელთა, კლასის დამრიგებლების, სამეურვეო საბჭოს წევრთა ტრენინგებსა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

სასწავლო გარემო შედგება შემდეგი პუნქტებისაგან:

- სასწავლო ინვენტარი და თვალსაჩინოებები;
- ბიბლიოთეკის განვითარება;
- ფიზიკური აღზრდის ინვენტარი;
- ლაბორატორიების აღჭურვა/განახლება.

ფონდების მოძიება და წარმომადგენლობითი ხარჯები შედგება შემდეგი პუნქტებისაგან:

- ფონდების მოძიება;
- წარმომადგენლობითი ხარჯები;
- საერთაშორისო და ადგილობრივი მივლინებები.

უსაფრთხო სკოლა:

- სკოლის უსაფრთხო გარემო;
- სანიტარულ-ჰიგიენური უსაფრთხოება;
- სახანძრო უსაფრთხოება;
- სამედიცინო უსაფრთხოება.

სკოლა ვალდებულია ხარჯების დაგეგმვის დროს გაითვალსინინოს ისეთი საკანონმდებლო მოთხოვნები, როგორიცაა, მაგალითად საქართველოს კანონი სახანძრო უსაფრთხოების შესახებ.

პროგრამებისა და პროექტების მუხლი ითვალისწინებს 2 ტიპის პროექტების შექმნას და განხორციელებას, ესენია სტრატეგიული და მიმიდნარე პროექტები. სკოლისათვის სტრატეგიულია მათემატიკის, ფიზიკისა და ინფორმატიკის წრეების პროექტები.

კაპიტალური ხარჯები 2007-2008 სასწავლო წელს შედგებოდა გათბობის სისტემის მონტაჟის, საკონტროლო ჯიხურის, სააქტო დარბაზის ჭერის, ელექტრო გაყვანილობის, რემონტის, კარების გამოცვლის, სანტექნიკური სამუშაობების პროექტებისაგან.

ენიჭება. აუცილებელია სკოლაში შესყიდვების კოორდინატორის დანიშვნა, რომელიც უზრუნველყოფს საქონლის, მომსახურების თუ სამუშაოს ყველაზე ოპტიმალური მომწოდებლების შერჩევას და საშუალებას მისცემს სკოლას ყაირათიანად ხარჯოს სახსრები.

გარკვეული შესყიდვების განხორციელება პრინციპული ხასიათის მატარებელია. მაგალითად პედაგოგთა სამუშაო გარემოს გაუმჯობესებისათვის აუცილებელია სკოლამ შეიძინოს ისეთი ატრიბუტები, როგორიცაა ცარცი, ქაღალდი, მარკერები, მაგნიტური დაფები და სხვა. თუ პედაგოგი მათ საკუთარი სახსრებით იძენს, ხელფასის დაბეგვრის გათვალისწინებით, ის სულ მცირე 20%-ს ზედმეტს იხდის, რამაც ჩვენს

დიაგრამა №3. წლის ხარჯვის ანალიზი თვეების მიხედვით 2006-07 და 2007-08 სასწავლო წლების შედარება



სხვადასხვა ხარჯებისა და სერვისების შესახებ მუხლი შედგება შემდეგი პუნქტებისაგან: ფინანსური სერვისები და საბანკო მომსახურება; კონსულტაციები; გაუთვალისწინებელი ხარჯები.

ხარჯების ეკონომიის უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში მნიშვნელოვანია მონიტორინგის სისტემის დანერგვა. ასეთი სისტემის შემოღებამ საშუალება მოგვცა, წინა წელთან შედარებით წყლის ხარჯვა 3-ჯერ შეგვემცირებინა (დიაგრამა №2), ხოლო ელექტროენერგიის ხარჯვა 30%-ით.

ბიუჯეტის მართვის პროცესში საკვანძო ადგილი სახელმწიფო შესყიდვების მოთხოვნების დაცვას

შემთხვევაში, გასულ წელს, ზოგადი გათვლებით დაახლოებით 200 ლარი შეადგინა. და რაც მთავარია, თუ პედაგოგი დამოუკიდებლად იძენს ცარცს, ქაღალდს, თავისი ხარჯით აკეთებს მასალების ასლებს და თავად ზრუნავს საკუთარი შემოსავლის გაზრდაზე, ძნელია მას ჰქონდეს სახელმწიფო დაკვეთის შემსრულებლის საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების განცდა.

ბიუჯეტის გამჭვირვალედ და რაციონალურად მართვა აუცილებელი ფაქტორია სკოლების, ხოლო საბოლოო ჯამში საზოგადოების დემოკრატიზაციისათვის.

ვაუჩერი

– მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ვაუჩერული დაფინანსების პროგრამა პედაგოგებს პროფესიული ზრდისთვის საჭირო ტრენინგებს ახალი ფორმატით სთავაზობს. მასწავლებელს საშუალება ეძლევა, თავად შეარჩიოს სასურველი პროგრამა და, განსაზღვრული კრედიტების ფარგლებში, კურსი უფასოდ გაიაროს. როგორც აღმოჩნდა, სახელმწიფოს მიერ პროფესიული განვითარების ვაუჩერული დაფინანსების პრაქტიკა პირველად საქართველოში განხორციელდა და მსოფლიოში მას ანალოგი არ მოეძებნება. როგორ განხორციელდა ვაუჩერიზაციის ექსპერიმენტული მოდელი, რა დადებითი და უარყოფითი ტენდენციები გამოიკვეთა ამ პროცესში და რამდენად დაკმაყოფილდა მასწავლებლების პროფესიული ინტერესი? ამის შესახებ პედაგოგებმა, ტრენინგ-ცენტრების წარმომადგენლებმა და პროგრამის ხელმძღვანელებმა მრგვალი მაგიდის ირგვლივ იმსჯელეს.

შორენა გურდილაძე

შეხვედრაში მონაწილეობდნენ:

სოფო გორგოძე
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორი;

ეკა ჟვანია
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ვაუჩერული დაფინანსების პროგრამების კოორდინატორი;

გიორგი ურჩუხიშვილი
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ვაუჩერული დაფინანსების მონიტორინგის უფროსი სპეციალისტი;

ირაკლი კაკაბაძე
ჟურნალ „მასწავლებლის“ რედაქტორი;

მაია ინასარიძე
საგანმანათლებლო ორგანიზაცია „დიდაქტიკას“ ხელმძღვანელი;

თამარ მიდელაშვილი
საგანმანათლებლო ორგანიზაცია „ლიბოს“ ხელმძღვანელი;

ნანა ვაშაკიძე
თბილისის 170-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;

ლუიზა გოჩაშვილი
რუსთავის მე-5 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი;

რუსუდან მეგრელიშვილი
თბილისის 21-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;

ნანა ახობაძე
თბილისის 245-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;

ლუიზა ლომჯარია
თბილისის 51-ე სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი.

შეხვედრას უძღვებოდა ჟურნალ „მასწავლებლის“ მთავარი რედაქტორი ნატო ინგოროყვა

ვაუჩერი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროცესში კიდევ ერთი სიახლეა და სახელმწიფოს მხრიდან პროფესიული ზრდის მხარდაჭერას გამოხატავს. რა მიზანი და ამოცანა აქვს ვაუჩერიზაციას, როგორ ხორციელდება მასწავლებელთა ინფორმირება და რა ეტაპებს მოიცავს ეს პროცესი?

ეკა ჟვანია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ვაუჩერული დაფინანსების პროგრამა მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობას გულისხმობს. სახელმწიფომ აღნიშნული პროგრამა ორი მიმართულებით განავითარა: დაინტერესებულ პედაგოგებს აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების გავლის შესაძლებლობა მისცა და, ამასთანავე, აკრედიტებული პროგრამების განმხორციელებელ ორგანიზაციებს დაეხმარა, საკუთარი რესურსები მაქსიმალურად გამოეყენებინათ. მინდა აღვნიშნო, რომ სახელმწიფოს მიერ პროფესიული განვითარებისთვის ვაუჩერული დაფინანსების პრაქტიკა დღემდე არ არსებობდა.

საინტერესოა, რა საშუალებებით მოახერხეს პროვაიდერებმა პედაგოგებს შორის საკუთარი პროგრამების პოპულარიზაცია და რომელ რაიონებში განხორციელდა ტრენინგები?

მაია ინასარიძე: ამ ეტაპზე ჩვენს ორგანიზაციაში სატრენინგო კურსი 747 მასწავლებელმა გაიარა. შევეცადეთ, პროგრამები მათი საჭიროებებისთვის მოგვერგო. დიდი ხანია, პედაგოგებთან ვმუშაობთ და მათ

სოფო გორგოძე

პრობლემებს კარგად ვიცნობთ. ტრენინგები ჩავატარეთ თბილისში, ქარელში, აბაშაში, გურჯაანში, საგარეჯოში, ამბროლაურში, ონში, ქუთაისსა და ჩოხატაურში. დაკვეთა გვაქვს ადიგენშიც.

თამარ მიდელაშვილი: ჩვენი პროგრამა, დაახლოებით, 300-მდე პედაგოგმა გაიარა. ამ ეტაპზე პროგრამაში 100-მდე მასწავლებელია ჩართული, დეკემბრამდე კი მას 500-600 პედაგოგი გაივლის. რაც შეეხება რეკლამას, რა თქმა უნდა, ის ანოტაციები დაგვეხმარა, რომლებიც სკოლებში დარიგდა. ისეთი სკოლებიც იყო, რომელთა პედაგოგებს ტრენინგების შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ. ამის მიზეზებს ალბათ მონიტორინგი გამოააშკარავებს. რაც შეეხება რეგიონებს, დავიწყეთ რაჭით, რადგან იქ ძალიან დიდი მოთხოვნა იყო. ტრენინგები ჩატარდა ქუთაისში, ფოთსა და რუსთავში. იგეგმება ზუგდიდში, მარტვილსა და აბაშაში. მასწავლებელთა მხრიდან დაინტერესება და ჩართულობის დონე ძალიან მაღალია.

შეხვედრაზე ის პედაგოგებიც გვესწრებიან, რომლებმაც ტრენინგები უკვე გაიარეს. საინტერესოა, საიდან მიიღეთ პროგრამების შესახებ ინფორმაცია და შეგხვდათ თუ არა რაიმე სირთულე?

ლუიზა ლომჯარია: პროგრამების ჩამონათვალს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ვებ-გვერდზე გავეცანი. ამის შემდეგ დასახმარებლად ინგლისური ენის მასწავლებელთა გაერთიანებას მივმართე. ამიხსნეს, როგორ უნდა მოვქცეულიყავი. რესურს-ცენტრში ვაუჩერი ავიღე. გადავწყვიტე, ოთხივე კრედიტი საგნობრივ მეთოდიკაში გამევლო, პროფესიულ უნარებში კი თავად მოვმზადებულიყავი. შეუძლებელია მასწავლებელს ყველაფერი ასწავლო. თუ პედაგოგი მაძიებელია და ცოდნის გაღრმავებას ცდილობს, ტრენინგები მას ნამდვილად დაეხმარება.

ლუიზა გოჩაშვილი: ინფორმაციას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ვებ-გვერდზე გავეცანი. არჩევანი „ლიბოზე“ შევაჩერე. ძალიან კმაყოფილი ვარ. წიგნების საშუალებით ინფორმაციის მიღებას ასე სწრაფად ვერ მოვახერხებდი. ბუნებრივია, ცოდნის გაღრმავება კომპეტენტური პიროვნებების დახმარებით გვირჩევნია. გვინდა, მეტი ვიცოდეთ და უკეთ ვასწავლოთ. ტრენინგები კი საამისოდ ეფექტური საშუალებაა.

რუსუდან მეგრელიშვილი: ინფორმაცია სკოლიდან და რესურს-ცენტრიდან მივიღეთ. სატრენინგო კურსი პროფესიულ უნარ-ჩვევებში გავიარეთ. კმაყოფილი ვარ არა მხოლოდ იმით, რომ ინფორმაცია ლაკონურად და გასაგებად მოგვაწოდეს, თავად პროცესიც სასიამოვნო იყო. საკუთარ თავს გამოვუტყდი, რომ ამ კურსის გავლას მაინც ვისურვებდი, თუნდაც სასერტიფიკატო გამოცდა არ მქონდოდა ჩასაბარებელი. ცხადია, რომ ტრენინგი წარმატებული იყო.

ტრენინგებით განებივრებული არ ვართ. წლების განმავლობაში, დაგროვილი გამოცდილებით ვხელმძღვანელობდით და ინტუიციაზე ვიყავით დამოკიდებული – პედაგოგიკა ხომ საჭირო დონეზე არასდროს ისწავლებოდა. უკეთესი მდგომარეობა არც დღეს არის... ტრენინგებმა უფრო თავდაჯერებული გაგვხადა. თურმე ის, რასაც წლების განმავლობაში ვაკეთებდით, დადგენილიც ყოფილა, აპრობირებულიც და მის მიღმა ავტორიტეტული პიროვნებებიც მდგარან.

ნანა ვაშაკიძე: ჩვენმა კათედრამ პროფესიული უნარების პროგრამა „ლიბოში“ გაიარა. ბევრი რამ ახლებურად დავინახეთ, ბევრი გაუგებარი რამ უცებ ნათელი გახდა. ყველა ტრენერი საუბარს იწყებდა ფრაზით: „თქვენ ეს იცით, თქვენ ეს შეგიძლიათ“. ამას მოაქვს რწმენა, რომ გამოცდაში რთული და საშიში მართლაც არაფერია. წლების განმავლობაში ბევრი ტერმინი თუ სიახლე გროვდება, რაშიც მასწავლებელი უცებ ვერ გაერკვევა. ამ დროს პედაგოგს კვალიფიციური დახმარება სჭირდება.

ნანა ახობაძე: ინფორმაცია ჩვენც რესურს-ცენტრიდან მივიღეთ. ჩვენმა კათედრამ ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტი აირჩია და ტრენინგი საგნობრივ მეთოდიკაში გავიარეთ... მადლიერი ვართ სახელმწიფოსი, რომელმაც ცოდნის

რუსუდან მეგრელიშვილი

ლუიზა ლომჯარია

გაღრმავების შესაძლებლობა მოგვცა. ტრენინგის ფორმაც მოგვეწონა: პრეზენტაციის თანამედროვე საშუალებები იყო გამოყენებული. ტრენინგის არც ერთი ეტაპი მომაბეზრებელი არ ყოფილა. ბევრი რამ შევიძინეთ, რასაც პრაქტიკაში გამოვიყენებთ.

პედაგოგები ნამდვილად კმაყოფილები ჩანან. აკრედიტებული პროგრამების გარდა, რას შესთავაზებთ დანარჩენი საგნების მასწავლებლებს, ან მათ, ვისაც სხვა მოთხოვნებიც აქვთ? დაფინანსდება თუ არა სხვა პროგრამებიც?

სოფო გორგოძე: სახელმწიფო მხოლოდ აკრედიტებულ პროგრამებს აფინანსებს. დაფინანსება დაგეგმილია ყველა საგნის აკრედიტებული პროგრამისთვის, რადგან, ადრე თუ გვიან, ყველა მასწავლებელს მოუწევს სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარება. მართალია, ტრენინგის გავლა გამოცდაზე გასვლის აუცილებლობას არ გულისხმობს, მაგრამ ფაქტია, რომ თითქმის ყველა მასწავლებელი, რომელიც ტრენინგებს გადის, გამოცდაზე გასვლასაც აპირებს. შეზღუდული რესურსების გამო, თავდაპირველად, იმ საგნებში გადაწყდა ტრენინგების დაფინანსება, რომლებშიც მომავალ წელს იწყება სერტიფიცირება (ქართული, მათემატიკა, უცხო ენა და პროფესიული უნარები). ეტაპობრივად სხვა საგნებიც დაფინანსდება. წელს ქართულის, უცხო ენის და მათემატიკის ყველა მასწავლებელი ტრენინგის გავლას ვერ მოასწრებს, მაგრამ პროცესი მანამ გაგრძელდება, სანამ ყველა მასწავლებელს არ მოვამზადებთ არა მარტო ამ სამ საგანში, არამედ ყველა საგანში. სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება ამ ეტაპზე 4 კრედიტით შემოიფარგლება და, სერტიფიცირებამდე ერთხელ მაინც, ყველა მასწავლებლისთვის აკრედიტებული ტრენინგის სახელმწიფო ხარჯით გავლას ითვალისწინებს. თუ კურსებზე დიდი მოთხოვნა იქნება, შეიძლება დამატებითი კრედიტებიც გამოიყოს. თუმცა ამ ეტაპზე მთავარი ამოცანაა, ყველა მასწავლებელმა ერთხელ მაინც გაიაროს ტრენინგი მოცემული კრედიტების ფარგლებში.

საინტერესოა, ჩვენი შეხვედრის მონაწილე ორგანიზაციებმა თუ წარადგინეთ ისეთი პროგრამები, რომლებიც სახელმწიფომ არ დააფინანსა და მასწავლებლებმა თავისი ხარჯით ისურვეს მათი გავლა.

მაია ინასარიძე: ასეთი პროგრამები არსებობს. როცა საჭიროებაა, დაკვეთაც მომენტალურად ჩნდება. როგორც კი სადამრიგებლო პროგრამა მოვამზადეთ, ამ ტრენინგზე დაკვეთაც მივიღეთ. ბევრმა მასწავლებელმა გამოთქვა მისი გავლის სურვილი, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა აკრედიტებული არ არის.

თამარ მიდელაშვილი: ჩვენს ორგანიზაციას კათედრის გამგეების პროგრამა აქვს, რაც კარგად მუშაობს. გვაქვს შემთხვევები, როცა კერძო სკოლის მასწავლებლები თავად იხდიან თანხას ტრენინგების გასავლელად.

რაიმე სახის რეკომენდაციებს თუ გთავაზობენ მასწავლებლები ტრენინგ-პროგრამებთან დაკავშირებით?

ლუიზა ლომჯარია: ნებისმიერი ტრენინგი მხოლოდ გზამკვლევია და სრულად ვერასდროს დააკმაყოფილებს იმ საჭიროებებს, რაც მასწავლებელს სასწავლო პროცესში ექნება. ბუნებრივია, გვინდა, რომ კურსი უფრო ხანგრძლივი იყოს, უკმარისობის გრძნობა გვრჩება და ეს ჩავწერეთ კიდეც შეფასების სქემაში. თუმცა, ამ ეტაპზე, რასაც სახელმწიფო აკეთებს, ნამდვილად დასაფასებელია. ჩვენი ტრენერები მსოფლიოს ნებისმიერ უმაღლეს სკოლას დაამშვენებდნენ. როცა ასეთი კურსის გავლის შესაძლებლობა გაქვს, იგი ხელიდან არ უნდა გაუშვა, თუნდაც სასერტიფიკატო გამოცდისთვის არ ემზადებოდე.

ნანა ვაშაკიძე: ვფიქრობ, უკეთესი იქნება, თუ პროგრამებში მეტ სიტუაციურ ამოცანებს ჩართავენ. მათი საშუალებით ნებისმიერი სიახლე ადვილად აღსაქმელი და დასამახსოვრებელი ხდება. კარგი იქნება, თუ სიტუაციური ამოცანების კრებულიც გამოვა.

ნანა ვაშაკიძე, მაია ინასარიძე

თამარ მიდელაშვილი

მასწავლებელთა მოსაზრებების გარდა, მათ მიერ გავლილი ტრენინგ-პროგრამების ხარისხზე მონიტორინგის შედეგებიც მეტყველებს. ეს კვლევა პროფესიული განვითარების ცენტრმა ჩაატარა. რა იყო მონიტორინგის მიზანი და რა სურათი გამოიკვეთა კვლევის შედეგად?

გიორგი ურჩუხიშვილი: მონიტორინგის მიზანი ტრენინგების ეფექტურობის გაზრდა და ტრენინგ-ცენტრებისთვის კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა იყო. მონიტორინგის შედეგად, შემუშავდება ის რეკომენდაციები, რომლებსაც სკოლები, პროგრამის განმხორციელებელი ორგანიზაციები და რესურს-ცენტრები გაითვალისწინებენ.

მონიტორინგის სპეციალისტები 11 რეგიონში გვყავს. რაჭაში პროცესი მიწისძვრის გამო შეწყდა, მაგრამ მონიტორინგი სატელეფონო კავშირის დახმარებით მაინც ჩავატარეთ.

კვლევის შედეგად მიღებული შედეგები კი ასეთია: ანოტაციები ყველა პედაგოგისთვის ხელმისაწვდომი იყო, თუმცა თითოეულ სკოლაში ამ დოკუმენტის მხოლოდ ერთი ეგზემპლარია და ამან შეიძლება პრობლემა შექმნას. დადებითი შედეგია ისიც, რომ სკოლისა და რესურს-ცენტრის ხელმძღვანელები საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან რაიმე სახის კორუფციულ გარიგებაში შესვლას არ ცდილობენ. რესურს-ცენტრებმა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან კარგად ითანამშრომლეს და ვაუჩერების ადმინისტრირებაც კარგად მოხერხდა. გამოკითხულებს რესურს-ცენტრებთან პრეტენზია არ ჰქონიათ.

რაც შეეხება უარყოფით მხარეს, უნდა აღინიშნოს ის მწირი ინფორმაცია, რომელიც პედაგოგებს აკრედიტებული პროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების შესახებ აქვთ. ზოგიერთ რეგიონში ისინი არ აქტიურობენ და მასწავლებელს მრავალფეროვანი არჩევანის საშუალება არ ეძლევა. პროგრამის რეგიონული

ეკა ჟვანია, გიორგი ურჩუხიშვილი

დაფარვის თვალსაზრისით, სოფლად მცხოვრები მასწავლებლებისთვის რაიონულ ცენტრში ჩამოსვლა და ტრენინგზე დასწრება ძალიან რთულია. მიუხედავად ამისა, ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უნდა იაქტიურონ და ძალისხმევა გაიღონ, რათა რეგიონის მასწავლებლებმაც შეძლონ სრულფასოვნად მომზადება.

ვფიქრობ, ჩვენი შეხვედრა დასასრულისკენ მიდის. ხომ არ დაგრჩათ შეკითხვები საუბრის თემასთან დაკავშირებით?

ლუიზა ლომჯარია: მე მაინც გამოცდაზე ვარ ორიენტირებული და მაინტერესებს, ახალი სახელმძღვანელოს გამოცემა თუ იგეგმება პროფესიული განვითარების ცენტრში. დაინტერესებული ვარ როგორც პროფესიული უნარების სახელმძღვანელოთი, ასევე ახალი კრებულით ინგლისურ ენაში.

სოფო გორგოძე: უცხო ენაში არაფერი იგეგმება, რადგან თქვენ სახელმძღვანელოებით ყველაზე „განებივრებულები“ ხართ. ტესტების ნიმუშები შეიძლება კიდევ გამოიცეს, მაგრამ მასში ძირეული ცვლილებები არ შევა. ამჯერად ვმუშაობთ ვიდეომასალაზე, რომელიც, კლასის მართვის პრობლემების თვალსაზრისით, ძალიან საინტერესოა. ვიდეომასალას ახლავს სახელმძღვანელოც. ასევე, მომზადდა ეთიკის სახელმძღვანელოც, რომელშიც სასკოლო ცხოვრებიდან აღებული რეალური ამბებია მოცემული და მას ფსიქოლოგებისა და განათლების სპეციალისტების კომენტარები ახლავს. ეს ნაშრომიც უნარების დამხმარე სახელმძღვანელოდ შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან პროფესიული ქცევა პროფესიული უნარების ნაწილია.

დისციპლინა გაკვეთილზე

ნინო ელბაქიძე

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) დისციპლინისა და ხარისხიანი სწავლა-სწავლების შესახებ საერთაშორისო კვლევა (TALIS – Teaching and Learning International Survey) ჩაატარა, რომელშიც მასწავლებლები 23 ქვეყნიდან მონაწილეობდნენ, მათ შორის: ავსტრიიდან, იტალიიდან, მექსიკიდან, ნოვერგიიდან, პოლონეთიდან, თურქეთიდან, ავსტრალიიდან. კვლევის მთავარ მიზანს სასწავლო გარემოს ორი ასპექტი წარმოადგენდა: 1. როგორ წყვეტს მაღალკვალიფიციური მასწავლებელი სწავლებისას წარმოქმნილ პრობლემებს; 2. რა გავლენას ახდენს მოსწავლეთა დისციპლინა სწავლების ხარისხზე.

კვლევამ აჩვენა, რომ მასწავლებლის თავდაჯერებულობა მის მიერ მიღწეულ შედეგს უკავშირდება და მოსწავლეთა ქცევაზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენს. როდესაც პედაგოგს მიაჩნია, რომ ხარისხიანი სწავლება ისეთი უნარ-ჩვევაა, რომლის შესწავლაც შესაძლებელია, იგი სასწავლო პროცესის დროს წარმოქმნილ სიძნელეებს გაცილებით იოლად უმკლავდება. თუ მასწავლებელი თვლის, რომ ეფექტური სწავლება მხოლოდ ცალკეულ პედაგოგებს შეუძლიათ, ეს განცდა მასში უიმედობას იწვევს და იგი პრობლემებს გადაუჭრელ სირთულეებად აღიქვამს.

მასწავლებლები, რომლებიც სისტემატურად მონაწილეობენ პროფესიული გავითარების ტრენინგებში,

უფრო თავდაჯერებულები არიან და სამუშაო პროცესში წარმოქმნილ პრობლემებსაც უფრო იოლად სძლევენ. ტრენინგები მათ სწავლების სხვადასხვა მეთოდისა და მიდგომის გამოყენებაში, ეფექტურ სწავლებასა და დისციპლინური პრობლემების მოგვარებაში ეხმარება. გამოკითხულ პედაგოგთა ნახევარზე მეტმა გამოთქვა სურვილი, რომ უფრო მეტ ტრენინგში მიეღო მონაწილეობა. რასაკვირველია, მათი ჩატარების დრო და ადგილი სამუშაო გრაფიკთან შეთანხმებული უნდა ყოფილიყო.

მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ პოზიტიური სასკოლო გარემო, პედაგოგთა შორის კოლეგიალური დამოკიდებულება და ურთიერთთანამშრომლობა დიდ გავლენას ახდენს სამუშაო განწყობასა და სწავლების ხარისხზე. იმ სკოლებში, რომელთა დირექციებიც სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვას დიდ ყურადღებას უთმობენ, მასწავლებელთა თანამშრომლობა ნაყოფიერია და მოსწავლეებთან მათ ურთიერთობებზე აისახება, რაც, თავის მხრივ, კლასში დისციპლინის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. პედაგოგის თავდაჯერებულობაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს დირექციის, კოლეგების, მოსწავლეებისა და მშობლების შეფასება. მასწავლებელი, რომელიც გაწეული საქმიანობისათვის დადებით შეფასებას იღებს, უფრო თავდაჯერებული ხდება, რაც გარკვეულწილად მის პროფესიულ განვითარებაზეც ზემოქმედებს. იმ ქვეყნებში, სადაც აღნიშნულ პროფესიას საზოგადოებრივი აღიარება აქვს (მაგალითად, ავსტრია, ბელგია, ესტონეთი, იტალია, უნგრეთი, მალტა, ესპანეთი...), პედაგოგები მაღალი თავდაჯერებულობით გამოირჩევიან.

სწავლების სხვადასხვა სტილის გამოყენება დისციპლინას უშუალოდ უკავშირდება. ის მასწავლებლები, რომლებიც ავტორიტარულ სტილს ირჩევენ (უმთავრესად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ბრაზილიასა და მალაიზიაში), უფრო მეტ დროს ხარჯავენ დისციპლინურ პრობლემებზე, ვიდრე ის პედაგოგები, რომლებიც დემოკრატიულ სტილს ანიჭებენ უპირატესობას.

დისციპლინა გავლენას ახდენს მოსწავლეთა მიერ მიღწეულ შედეგებზე. კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხული მასწავლებლებიდან ყოველი მეოთხე საგაკვეთილო დროის 30%-ს დისციპლინაზე ან სხვა ორგანიზაციულ საკითხებზე ხარჯავს. ამავე კვლევის თანახმად, დისციპლინური სახის სირთულეები სწავლებისათვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ამ უკანასკნელში მასწავლებლები გაკვეთილზე მოსწავლის დაგვიანებით შესვლას, გაკვეთილის უმიზეზოდ გაცდენას, მოსწავლის მიერ თანაკლასელის შეურაცხყოფას ან მოსწავლის უყურადღებობას გულისხმობენ. მექსიკაში, იტალიაში, სლოვაკეთში, ესტონეთსა და ესპანეთში გამოკითხულ პედაგოგთა 70 %-ზე მეტი აღნიშნავს, რომ დისციპლინური პრობლემები ხელს უშლის გაკვეთილის ხარისხიანად ჩატარებაში.

საერთაშორისო კვლევის შედეგების გაცნობის შემდეგ გადავწყვიტეთ, რამდენიმე მასწავლებლისთვის შეკითხვით მიგვემართა: გაკვეთილის რა დროს ხარჯავთ დისციპლინური პრობლემების მოგვარებაზე?

დალი კილაძე, ოზურგეთის სოფელ სილაურის საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი: ჩემს კლასში საშუალოდ 10-12 მოსწავლეა, დისციპლინური პრობლემების მოგვარებაზე, ფაქტობრივად, დროს არ ვკარგავ. სოფლის ბავშვები თავაზიანები არიან, პატივისცემით ექცევიან მასწავლებელსაც და ერთმანეთსაც. VIII-IX კლასებში მოზარდებთან ურთიერთობა შედარებით ჭირს, მოგეხსენებათ, გარდატეხის ასაკია. შესაბამისად, ამ ასაკის მოსწავლეებთან უდისიცპლინობა უფრო ხშირია, მაგრამ ამას სასწავლო პროცესის ხელისშემშლელ ფაქტორად ვერ დავასახელებ, ალბათ იმიტომ, რომ სოფლის სკოლის მასწავლებელი ვარ.

ნანა გიგნაძე, თბილისის 99-ე საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი: კლასში საშუალოდ 30 მოსწავლეა. ადვილი არ არის ამხელა კლასის მართვა. ყოველთვის მოიძებნება ერთი ან რამდენიმე მოსწავლე, რომელიც სიტუაციის „არევას“ ცდილობს. უდისციპლინობის წინააღმდეგ ყველაზე ეფექტური მეთოდია, მოსწავლეებს პატივისცემით მოეპყრო. ბავშვები სიყვარულს გრძნობენ და სიყვარულითვე გპასუხობენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მასწავლებელი სამართლიანი იყოს, როგორც ნიშნის წერისას, ისე ზოგადად, ურთიერთობაში. პედაგოგი თუ საგნის კარგი მცოდნეა, მოსწავლეთა დაინტერესება შეუძლია და ბავშვებს პატივისცემით ეპყრობა, გაკვეთილზე მას დისციპლინური პრობლემები არ შეექმნება.

ჟანა კვაჭაძე, ფსიქოლოგი: დისციპლინის საკითხები მნიშვნელოვნად უკავშირდება მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობას. კლასში, სადაც ბავშვებს მრავალფეროვან და საინტერსო გაკვეთილებს სთავაზობენ, სადაც ისინი აქტიურად არიან ჩართული საკლასო აქტივობებში, აქვთ მასწავლებლის მხარდაჭერის იმედი და თავს წარმატებულად გრძნობენ, დისციპლინური გადაცდომის არსებობა ნაკლებად სავარაუდოა. მნიშვნელოვანია, მასწავლებლებმა გაითვალისწინონ, რომ გაკვეთილზე მოსწავლის უდისციპლინობის მიზეზი საგანმანათლებლო სირთულეებია, რაც მასში წარუმატებლობის განცდას იწვევს. შესაბამისად, ამ მიზეზების გამოძიება და მოგვარება დისციპლინის საკითხების არაპირდაპირი გზით გადაჭრას ნიშნავს.

როგორ უნდა დაამყაროს მასწავლებელმა გაკვეთილზე დისციპლინა?

– ამ შეკითხვას ერთი და მოკლე პასუხი არ აქვს. გაკვეთილზე დისციპლინის დარღვევის მრავალი მიზეზი შეიძლება არსებობდეს: მოსწავლეთა გადაჭარბებული რაოდენობა კლასში, ძნელადაღსაზრდელი მოსწავლე, მოსწავლეთა ინტერესების შეუსაბამო სასწავლო გარემო და სხვა. ასეთი ფაქტორები სასწავლო პროცესის საინტერესოდ და ხარისხიანად წარმართვაზე დიდ გავლენას ახდენს.

ერთი მხრივ, მოსწავლეთა უდისციპლინობამ შეიძლება ყველაზე მონდომებულ და საგნის საუკეთესოდ მცოდნე მასწავლებელსაც კი წაართვას ეფექტური გაკვეთილის ჩატარების სურვილი, ხოლო, მეორე მხრივ, როდესაც მოსწავლე წესრიგს არღვევს, მას ყოველთვის აქვს ამის მიზეზი.

დისციპლინის დამყარების მთავარი საფუძველი მოსწავლეებისა და მასწავლებლის ურთიერთპატივისცემაა. პედაგოგმა ხელი უნდა შეუწყოს საკლასო ერთობის შექმნას. ის ერთნაირად უნდა მოეპყროს ყველა მოსწავლეს და „გამორჩეული“ ბავშვები არ უნდა ჰყავდეს. მოსწავლეები ხედავენ მათ მიმართ პედაგოგის დამოკიდებულებას და ყველაფერს აფასებენ. თუ ასეთი, ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობაა მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის, ეს ნიშნავს, რომ გაკვეთილზე დისციპლინის დამყარებისა და ხარისხიანი გაკვეთილის ჩატარებისათვის აუცილებელი ფუნდამენტი უკვე არსებობს.

უდისციპლინობა, შესაძლოა, მასწავლებლის წინააღმდეგ მოსწავლის ერთგვარი პროტესტი იყოს. მაგალითად, როდესაც მოსწავლე მისი თანატოლის მიმართ მასწავლებლის განსაკუთრებულ ყურადღებას ხედავს, იგი თავს დაჩაგრულად გრძნობს. გარდატეხის ასაკში მოზარდები თვითდამკვიდრებას და სხვების წინაშე საკუთარი მნიშვნელობის დამტკიცებას ცდილობენ. თუ მასწავლებლის მხრიდან სათანადო ყურადღებასა და აღიარებას ვერ მიიღებს, იგი უარყოფითი ქცევით შეეცდება მის გამოწვევას. დაბალი აკადემიური მოსწრების ბავშვი ისევე უნდა იყოს სასწავლო პროცესში ჩართული, როგორც მისი ძლიერი თანატოლები. ის თავს არ უნდა გრძნობდეს სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსწავლეს პროტესტის განცდა გაუჩნდება და შეეცდება, როგორმე ჩაშალოს ის პროცესი, რომელიც მას არ აღიარებს.

- პედაგოგი, რომელიც საკუთარ იდენტობაში გარკვეულია, და ბოლომდე აცნობიერებს თავის როლსა და პასუხისმგებლობებს, გაცილებით იოლად ართმევს თავს კონფლიქტურ სიტუაციას საკლასო ოთახსა თუ ზოგადად, საკუთარ პროფესიაში.[1]
- ის მასწავლებელი, რომელიც საინტერესო და მრავალფეროვან გაკვეთილებს ატარებს, ასაკისა და კლასის შესაფერის აქტივობებს ირჩევს და მოსწავლეებს მოტივაციას უმაღლებს, ნაკლებად დგება დისციპლინური პრობლემების წინაშე.[2]

[1] დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლის იდენტობაზე იხილეთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოში: ჯ.თერნბული, „პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელი“, ნაწილი I, გვ. 12-26.

[2] დამატებითი ინფორმაცია მოსწავლის მოტივაციის ამაღლებაზე იხილეთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოში: „სწავლება და შეფასება“, გვ. 3-29.

ეროვნული გამოცდების
შედეგების კვალდაკვალ

აბიტურიენტობის დაძაბული წლის შემდეგ, ღამენათევი და გადაღლილი უცებ სტუდენტი რომ გახდები, ნამდვილად სასიამოვნოა. ორმაგად სასიამოვნო, თუ უმაღლეს ქულებს მიიღებ და პირველ ათეულში მოხვდები. 2009 წლის ეროვნულ გამოცდებზე 29 000 აბიტურიენტიდან, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტი 20 000-ზე მეტი აბიტურიენტი გახდა, პირველი, პირველებს შორის მხოლოდ რამდენიმეა და, აი, ისინიც.

ეკა ქევანიშვილი

დუშეთიდან ი-ეს-ემ-ში

გურანდა მირზიაშვილმა მათემატიკაში 96 ქულა მიიღო, ინგლისურში – 99, ქართულში – 95 და ზოგად უნარებში – 92. ის ი-ეს-ემ-ში, ბიზნესის მართვა-ადმინისტრირების ფაკულტეტზე ისწავლის. მერვე კლასამდე დუშეთის სკოლაში დადიოდა, შემდეგ კი სწავლა ი-ეს-ემ-ის სკოლა-ლიცეუმში განაგრძო. ამბობს, დუშეთში სწავლების ისეთი მაღალი დონე იყო, თბილისში პროგრამის დაძლევა საერთოდ არ გამჭირვებიაო: „ჩემმა სკოლამ დუშეთში საკმაოდ კარგი საფუძველი მომცა. ლიცეუმში კი გარკვეულ საგნებს გაძლიერებულად ვსწავლობდით, მაგალითად, ინგლისურს და მათემატიკას“. ახლა, როცა ყველანაირი მღელვარება ჩავლილია, გურანდა აბიტურიენტობის წელს იხსენებს. მას რეპეტიტორებთან არ უვლია. ერთდერთი იმედი სკოლაში მიღებული ცოდნა იყო. „დილით სკოლა, შემდეგ სახლი, ორი საათი – მეგობრები. ვცდილობდი, რომ თავისუფალი დროც დამეტოვებინა. ძალიან მძიმე წელი არ ყოფილა, თუმცა ბევრი ვიშრომე“, – ამბობს გურანდა. მისი აზრით, შესაძლოა, რეპეტიტორთან მომზადების შემთხვევაში, სწავლის პროცესი უფრო გამარტივდებოდა, თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია. გურანდას თეატრი და ლიტერატურა უყვარს. აი, მისი ავტორებიც: კოელიო, მარკესი, დოჩანაშვილი, გრანელი, გალაკტიონი... წინ დიდი გეგმები და სტუდენტობაა.

„პრომეთეს“ – პრომეთე

ლაშა ქავთარაძე მუხიანელია. ის ბოლო სამი წელი თავის უბანში, ლიცეუმ „პრომეთეში“ სწავლობდა. ამ ლიცეუმიდან აბიტურიენტებს ეროვნულ გამოცდებზე ყოველთვის კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ, მაგრამ ლაშა პირველია, ვინც უმაღლესი ქულები აიღო და პირველ ათეულში მოხვდა. წერა განსაკუთრებულად უყვარს, ჟურნალისტობას აპირებდა, თუმცა ბოლოს გადაიფიქრა და დიპლომატია აირჩია. ლაშა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩაირიცხა. კერძო მასწავლებელთან არც მას უვლია: „პირობები არ გვქონდა ოჯახში, რომ თუნდაც ორი თვე მოვმზადებულიყავი, ლიცეუმის ცოდნით ჩავაბარე. სიმართლე რომ ვთქვა, თავიდან არც მეგონა, ასეულში თუ მოვხვდებოდი და უცებ ყველაზე მაღალი ქულები! კარგი შეგრძნებაა“. ლაშას მეგობრების უმრავლესობა რეპეტიტორებთან ემზადებოდა, თან რამდენიმე საგანში. ამბობს, სულ ვფიქრობდი, რამე ხომ არ დავაკელი ჩემს მეცადინეობასო: „ხანდახან თავისუფალი დრო რომ მრჩებოდა, ეგეც მიკვირდა. აბიტურიენტობისას ხომ გათენებამდე მეცადინეობენ“. დატვირთული წელი იყო. შუადღის სამი საათიდან საღამოს ცხრამდე დავალებებს ასრულებდა, ზოგჯერ სახელმძღვანელოებს ღამის პირველამდეც შერჩენია. მაგრამ ღამეები არ უთენებია. თავისუფალი დროც რჩებოდა – მეგობრებისა და მხატვრული ლიტერატურისთვის. ლიცეუმში წელიწადში 1100 ლარს იხდიდა. რეპეტიტორთნ მომზადების შემთხვევაში, ეს თანხა მხოლოდ ერთ საგანში უნდა გადაეხადა. ამ ფასად კი ყველა საგანში მოემზადა. სკოლაში თურმე სტიპენდიაც კი ჰქონია, როგორც

წარმატებულ მოსწავლეს. ახლა, როცა რთული დრო ჩავლილია, უნარების გამოცდის ვერბალურ ნაწილს ხალისით იხსენებს: „ასეთი სირთულის ტესტები მომზადების პერიოდში არ შემხვედრია. ვმეცადინეობდით, მაგრამ ამ ტიპის ანალოგიებს არ ველოდით“. ქართულის გამოცდაზე ძალიან ღელავდა, მაგრამ დავალებას თავი იოლად გაართვა. დღეს ლაშას სჯერა, რომ თუ სკოლაში შესაბამისი დისციპლინა და კარგი პედაგოგებია, აბიტურიენტს დამატებითი მომზადება აღარ სჭირდება.

„მინდოდა და გავხდი სტუდენტი“

ეს ანა ნუსხელაძის სიტყვებია. პირველივე წინადადებას ისეთი თავდაჯერებული ამბობს, რომ სხვანაირად წარმოუდგენელია – ეს გოგო სტუდენტი უნდა გამხდარიყო. ქართულში 90 ქულა აიღო და ამის გამო ძალიან ბრაზობს, ამბობს, მეტი შემეძლოო. უნარებში 95 ქულა დააგროვა, მათემატიკაში – 97 და ინგლისურში – 99. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩაირიცხა. მანამდე თბილისის ი. ვეკუას სახელობის 42-ე საჯარო სკოლა დაამთავრა. სკოლაში ათოსანი იყო და მისაღებ გამოცდებზეც მაღალ ქულებს ელოდა. მოსამზადებელ პერიოდზე ისე მსუბუქად ჰყვება, არ დაიჯერებთ, რომ აბიტურიენტის სასწავლო წელს აღწერს. უბრალოდ, ვსწავლობდი და განსაკუთრებულად არ მიმეცადინიაო: „მინდოდა, სტუდენტი გავმხდარიყავი, დარწმუნებული ვიყავი, რომ შევძლებდი და რა ფაკულტეტიც მინდოდა, პირველიც ის ჩავწერე. ინგლისურში ვმეცადინეობდი, ოღონდ გამოცდებისთვის არა – ისე, ენის შესასწავლად. არც მათემატიკასა და ქართულში მიმეცადინია განსაკუთრებულად. უნარებში კიდევ მთავარი ლოგიკური აზროვნებაა – რა აზრი ჰქონდა დაზეპირებას?“ ანას ცხოვრებაში სკოლამ საკმაოდ დიდი როლი შეასრულა. გვეუბნება, ისეთი მასწავლებლები მყავდა, საქართველოში საუკეთესოებად რომ დავასახელებდიო. მასწავლებელმა საგანი და ბავშვებთან მიდგომა კარგად უნდა იცოდეს, ამაზე ბევრია დამოკიდებული. ანას საყვარელი მწერალი ვაჟა ფშაველაა.

ნინო – ქუთაისიდან

ქუთაისელი ნანო მამაგეიშვილი, რომელიც, ქულების მაჩვენებლის მიხედვით, ასევე ერთ-ერთი პირველია, მშობლიურ ქალაქს არ ღალატობს და სწავლას ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბიზნესის მართვის ფაკულტეტზე განაგრძობს. მეშვიდე სკოლელი ნანო სამ საგანში ემზადებოდა – ქართულში, ინგლისურსა და მათემატიკაში. გამოცდებს ახლა ისიც ხალისიანად იხსენებს: „ტესტები ისეთი სირთულის იყო, როგორსაც ველოდი. ყველაზე უსიამოვნოდ კი მათემატიკის ორქულიანი ამოცანა მახსენდება – სწორედ ის ორი ქულა დამაკლდა. გული მწყდება, რადგან ადვილი იყო და იმ წუთებში ვერ გავაკეთე“. ნანოს აზრით, რეპეტიტორები მას მასალის გადამეორებასა და ცოდნის განმტკიცებაში დაეხმარნენ. მისი ვარაუდით, მხოლოდ სკოლის ცოდნით, ყველა საგანში 80 ქულამდე ექნებოდა.

ხშირად გაიგონებთ, რომ წლევანდელ ეროვნულ გამოცდებზე განსაკუთრებულად ძნელი ტესტები იყო. მართლაც გართულდა თუ არა რამე? – ეს შეკითხვა გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორს, ქალბატონ **მაია მიმინოშვილს** დავუსვით. როგორც ის ამბობს, სირთულის თვალსაზრისით, წლევანდელი ტესტები შარშანდელისგან არ განსხვავდებოდა. უბრალოდ, მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა გაცილებით მეტმა აბიტურიენტმა ვერ მოახერხა. ამის მიზეზი მარტივია – მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გაიზარდა. თუ წინა წლებში ქვედა ზღვარს 15 ქულა წარმოადგენდა, წელს ის 25 ქულამდე ავიდა. გამონაკლისი უცხო ენა იყო, რომლისთვისაც მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულით განისაზღვრა. ქალბატონ მაია მიმინოშვილის ინფორმაციით, წელს უმაღლეს სასწავლებლებში მოხვედრას 29 000 აბიტურიენტი ცდილობდა. პირველადი ჩარიცხვის შედეგებით, მათგან 20 000 სტუდენტი გახდა. 5 000 აბიტურიენტმა სავალდებულო საგნებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა ვერ მოახერხა.

რა იყო იმის მიზეზი, რომ პირველადი ჩარიცხვის შემდეგ 7000 თავისუფალი ადგილი დარჩა? როგორც ირკვევა, მიზეზი საკონკურსო ადგილების რაოდენობის ზრდა ყოფილა. შარშან ამ ადგილების საერთო რაოდენობა 19 000 იყო, წელს კი – 27 000-ზე მეტი. შევსების მიხედვით, უმაღლესი სასწავლებლებიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ლიდერობს. შემდეგ ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტი, აგრარული და ტექნიკური უნივერსიტეტები მოდის. არასახელმწიფო უმაღლესებში კი პირველი კვლავ ი-ეს-ემ-ია. რაც შეეხება პროფესიებს, ქალბატონი მაია მიმინოშვილის თქმით: „ჩვენი აბიტურიენტები ტრადიციას არ ღალატობენ. როგორც წინა წლებში, წელსაც პოპულარულია ეკონომიკა, ბიზნესი, სამართალი. ამ მიმართულებებზე ყველაზე დიდი კონკურსი იყო“. თუ რეგიონების მაჩვენებლებს გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ თავი იმერეთის რეგიონს გამოუჩენია.

როცა ციხეში წაკითხულ წიგნებს თავისუფლება მოაქვს

წლევანდელი ეროვნული გამოცდები ცოტა განსხვავებული იყო. მასში მონაწილეობა პატიმრებმაც მიიღეს. შვიდიდან ექვსმა ქულების საჭირო რაოდენობა დააგროვა, რის შედეგადაც, პრეზიდენტმა ოთხი მათგანი (გიორგი შელია, ბაკურ გამისონია, კოკა ლებანიძე, ალექსანდრე ჯორჯაძე) შეიწყალა.

მსგავსი პრეცედენტი ეროვნული გამოცდების ისტორიაში პირველად მოხდა, სტუდენტის მოწმობასთან ერთად, სამმა მსჯავრდებულმა ნაწილობრივი დაფინანსებაც მიიღო.

მაია გაბუნია, *გამოცდების ეროვნული ცენტრი*: „მშობლები იყვნენ მოსულები, ბავშვები ეროვნული გამოცდებისთვის როგორ მოვამზადოთო. ჩვენ 2008 წლის ტესტების ნიმუშები ვაჩვენეთ, დავაკვალიანეთ. ადვოკატის დახმარებით ციხეში წიგნების შეგზავნა მათ თავისუფლად შეეძლოთ. ბავშვები თვითონაც მონდომებულები იყვნენ და გაუმართლათ“.

კლასი

პრაქტიკული დანართი მასწავლებლებისათვის

გაკვეთილის თემა:

ეკოსისტემა. ადამიანის ზემოქმედება ეკოსისტემაზე

მასწავლებელი: მედეა ობოლაძე, ნანა კიკაბიძე.
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნარუჯის საშუალო სკოლა
ინტეგრირებული საგნები: ბიოლოგია, ისტორია, გეოგრაფია
სწავლების საფეხური და კლასი: საბაზო, VII კლასი
მოსწავლეთა რაოდენობა: 25
განსაკუთრებული მიდგომების საჭიროებების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა და პროფილი: 0

გაკვეთილის სასწავლო მიზნები
(საგნების მიხედვით)

ბიოლოგია

1) გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს ეცოდინებათ, რამდენად მნიშვნელოვანია ეკოლოგიური პრობლემის გადაჭრის საკითხი; მოსწავლეებს განუვითარდებათ ბუნების დაცვისა და მისი შენარჩუნების უნარ-ჩვევა.
2) მოსწავლეები შეძლებენ აღწერონ ადგილობრივ პირობებში გავრცელებული მცენარეები და ცხოველები.
3) ეცოდინებათ, რომელი მცენარეები და ცხოველებია შეტანილი წითელ წიგნში.
4) მოსწავლეები შეძლებენ გაანალიზონ ადამიანის ზემოქმედება ეკოსისტემაზე და იმსჯელონ შედეგების შესახებ.

ისტორია-გეოგრაფია

მოსწავლეები, წყაროების საშუალებით, შეძლებენ ახსნან, რით იყო გამოწვეული „ეკოლოგიური კრიზისი“, იმსჯელებენ ეკოლოგიური პრობლემის გამომწვევ მიზეზებზე და მისი გადაჭრის გზებზე, წარმოადგენენ საკუთარ შეხედულებებს ლოკალური გარემოს მაგალითზე: რა შეუძლიათ გააკეთონ „ეკოლოგიური მდგომარეობის“ გაჯანსაღებისთვის.

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგი/ინდიკატორები

ბუნ. VII2

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე ნაცნობ გარემოში გამოყოფს ეკოსისტემებს და მათ ცალკეულ კომპო-

ნენტებს ბუნებაში /ან ილუსტრაციაზე/, მცენარის და ცხოველის ზოგიერთი სახეობის მიხედვით ამოიცნობს საქართველოს ტიპობრივ ეკოსისტემებს.

ბუნ. VII3

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე ქმნის მარტივ ხელოვნურ ეკოსისტემას (მაგალითად, აკვარიუმში), ასაბუთებს თითოეული კომპონენტის მნიშვნელობას და გეგმავს, თუ როგორ უნდა შეინარჩუნოს იგი.

აგროვებს ინფორმაციას ლოკალურ გარემოში ეკოსისტემაზე ადამიანის ზემოქმედების შესახებ, მსჯელობს შედეგებზე და გამოთქვამს მოსაზრებას პრობლემის გადაჭრის გზების შესახებ.

ისტორია-გეოგრაფია

ძირითადი ცნებები და ოპერაციები

თანმიმდევრობა

(აქტივობა და დრო)

აქტივობა I, დრო 3 წთ.

გაკვეთილზე შედის ორი პედაგოგი. ორგანიზაციული მხარის მოგვარების შემდეგ ბიოლოგიის მასწავლებელი, განწყობის შესაქმნელად, სლაიდების ჩვენებას იწყებს. ეკრანზე ჩანს საქართველოს ბუნების ამსახველი სლაიდები. მასწავლებელი აკეთებს მოკლე შესავალს საქართველოს ბიომრავალფეროვნების შესახებ, მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას და მიზნებს.

აქტივობა II, დრო 6 წთ.
გონებრივი იერიში

კითხვა: განსაზღვრეთ ეკოლოგიის მთავარი დანიშნულება თანამედროვე მსოფლიოში? ეკრანზე ჩანს ერნესტ ჰეკელის სლაიდი.

კითხვა: რას შეისწავლის ეკოლოგია?

კითხვა: საიდან წარმოდგება სიტყვა „ეკოლოგია“?

მასწავლებელი მიმართავს კლასს: „თქვენ აღნიშნეთ, რომ ეკოლოგია შეისწავლის ურთიერთდამოკიდებულებას. რით იწყება ამ ურთიერთდამოკიდებულების შესწავლა?“

ეკრანზე ჩანს ეკოსისტემების სლაიდები (ტყე, მდელო, ჭაობი, უდაბნო, მდინარე, ზღვა). გეოგრაფიის მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაათვალიერონ ეკოსისტემები და აჩვენონ რუკაზე, საქართველოს რომელ კუთხეში მდებარეობს ისინი.

აქტივობა III, დრო 6 წთ.

მასწავლებელი კლასს უსვამს შეკითხვებს.

კითხვა: რა ფორმით მჟღავნდება ცოცხალ ორგანიზმებს შორის ურთიერთდამოკიდებულება?

კითხვა: საიდან წარმოდგება სიტყვა „კონკურენცია“ და „სიმბიოზი“?

(მოსწავლეები ამ სიტყვების მნიშვნელობას იწერენ)

კითხვა: რა არის დღეს ეკოლოგიური კვლევის ძირითადი საგანი?

კითხვა: როგორ გესმით გამოთქმა „ჩვენ ვერ დაველოდებით ბუნების წყალობას, ჩვენი ვალია, გამოვტაცოთ იგი მას“.

იმართება მოკლე დისკუსია მიჩურინის გამონათქვამისა და გოეთეს გამონათქვამის შესახებ – „ბუნება ყოველთვის მართალია, შეცდომებს მხოლოდ ადამიანები უშვებენ“.

აქტივობა IV, დრო 4 წთ.

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს შემდეგი აქტივობის მიზანს: მათ უნდა შეადარონ ბუნებრივი და ხელოვნური ეკოსისტემები. მასწავლებელი მთელ კლასთან მუშაობს, დასკვნას მოსწავლეები აკეთებენ. მოსწავლეები „აკვარიუმს“ ადარებენ ბუნებრივ და ხელოვნურ ეკოსისტემებს, აღნიშნავენ განსხვავებებს.

აქტივობა V, დრო 10 წთ.
T-დიაგრამა. მუშაობა წყვილებში

მასწავლებელი აწყვილებს მოსწავლეებს, წყვილებს ურიგებს თაბახის ფურცლებზე დახაზულ T-დიაგრამას და დავალებას აძლევს: ჩამოწერონ ბუნებაზე ადამიანის ზემოქმედების დადებითი და უარყოფითი მაგალითები.

დადებითი	უარყოფითი
1.	1.
2.	2.
3.	3.

ამ ეტაპზე დაწყვილებული მოსწავლეები შესრულებულ სამუშაოს ერთმანეთს აცნობენ. ბიოლოგიის მასწავლებელი რამდენიმე მოსწავლის პასუხს ისმენს, ისტორიის მასწავლებელი კი ნამუშევრებს აგროვებს და მოსწავლე-

ებს ახალ წყაროებს უთითებს „ეკოლოგიურ კრიზისებთან“ დაკავშირებით.

აქტივობა VI დრო, 10 წთ.
ჯგუფური მუშაობა

კლასი 3 ჯგუფად იყოფა. მასწავლებელი ჯგუფებს ავალებს, იმუშაონ თემაზე „ტყე და ეკოლოგია“, სთხოვს, ყურადღება გაამახვილონ წითელ წიგნში შეტანილ ადგილობრივ მცენარეებსა და ცხოველებზე, ასევე დაბის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე და დაწერონ მცირე კომენტარები. ჯგუფი მუშაობს შეთანხმებულად, ყველა მოსწავლე ჩართულია მუშაობაში. სამუშაოს დასრულების შემდეგ ჯგუფები ნამუშევრებს წარმოადგენენ, მოსწავლეები თავად აფასებენ საკუთარ ნამუშევარს. შეფასების წინ მასწავლებელი მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებს შეახსენებს. თითოეული მოსწავლე ასახელებს, რა კრიტერიუმებით შეაფასა პრეზენტაცია (ჩამოყალიბებული აზრი, ორიგინალური გადაწყვეტა, მხატვრული გაფორმება, შთამბეჭდავი გამოსვლა და ა.შ.) მასწავლებელი აღნიშნავს, რომ ყველამ საინტერესოდ იმუშავა. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, შეკითხვები დაუსვან ჯგუფის წევრებს.

აქტივობა VII, დრო 2 წთ.
გაკვეთილის შეჯამება

მოსწავლეები ინიციატივით გამოდიან, თეორიული ცოდნა პრაქტიკულად განახორციელონ და თხოვნით მიმართავენ დაბის ადგილობრივ ხელისუფლებას, დაეხმაროს მათ ნერგების შეძენა-შემოტანაში, რათა ქარსაფარი ზოლის გაახალგაზრდავდეს. მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: „ამ სასწავლო წელს, ტრიმესტრული სწავლებიდან გამომდინარე, ბიოლოგიაში ბოლო გაკვეთილი გვაქვს, ამიტომ ამ საკითხებზე მუშაობას ნორჩ ბიოლოგთა კლუბში გავაგრძელებთ“. იგი მათ სთავაზობს ვიდეო-მასალას ნორჩ ბიოლოგთა კლუბის განვლილი მუშაობის შესახებ. მასწავლებელი საშინაო დავალებას აძლევს მოსწავლეებს, იმის დასადგენად, თუ რა შედეგი მიიღო: „ავტომანქანა, როგორც ტექნიკური პროგრესის მაგალითი“.

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე ეკონომიკასა და ბუნებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით გამოწვეულ ცვლილებებს აანალიზებს, წერს თემას, რომელშიც კონკრეტული მაგალითის განხილვის საფუძველზე მსჯელობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის როგორც დადებით, ასევე უარყოფით მხარეებზე.

ინტერესის გასაღვივებლად მასწავლებელი მოსწავლეებს წარმოუდგენს წინა წლებში შექმნილი DVD დისკებიდან მცირე ამონარიდს. კლუბის წევრებს საშუალება მიეცემათ, ვიდეომასალა სრულად ნახონ. შეფასება 2 წთ.

შეფასება

მოსწავლეთა შეფასება ხდება მიმდინარე განმავითარებელი შეფასებით. წინასწარ ვინიშნავთ იმ უნარებს, რომლებსაც მუშაობის პროცესში ვაკვირდებით. ყველა აქტივობის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აფასებს შეფასების რუბრიკის მიხედვით.

ტექნიკა და ინსტრუმენტები:

1) კომპიუტერი, 2) პროექტორი, 3) ციფრული ფოტოაპარატი, საქართველოს ფიზიკური რუკა.

„ბიოლოგია“ – ლ. ბურდილაძე; „დედა ბუნება“ – ა. გეგჭკორი; „ბიოსფერო და საზოგადოება“ – გ. ქაჯაია; „გარემო და ადამიანი“ – გ. ქაჯაია; „ეკოლოგია“ – მ. დუმბაძე.

გაკვეთილი ჩატარდა ბიოლოგიის კაბინეტში, სადაც გამოფენილი იყო მოსწავლეთა ნამუშევრები, კედლის გაზეთი: „ბუნება ჩვენი დიდი წიგნია“, ფოტომასალა: „ჩვენი თვალით დანახული ბუნება“, მოსწავლეთა ნახატები თემაზე: „დავიცვათ დედა ბუნება“.

- კონკრეტულ თემაზე შექმნილი თვალსაჩინოება უფრო გასაგებს ხდის არა მხოლოდ სასწავლო მასალას, არამედ იმ გზებსაც, რომლის საშუალებითაც ის სასწავლო გეგმის სხვადასხვა საგნობრივ სფეროს უკავშირდება.
- თვალსაჩინოება შეკითხვების სურვილს აღძრავს, რაც მოცემული თემისადმი მოსწავლეთა ინტერესს აღვივებს.
- თვალსაჩინოება მოსწავლეების მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების შესაძლებლობას იძლევა.
- თვალსაჩინოება მოსწავლეების ინტერესს გვიჩვენებს.

ელექტრონული პროგრამები და რესურსები

გამოვიყენეთ კომპიუტერული პროგრამები: **OpenOffice.Org Presentation. OpenOffice.Org spreadsheet, gimp.**

ვებ საიტები: **www.google.com; www.wikipedia.com. www.altavista.com**

პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდა მათემატიკაში

ტესტურ დავალებათა ნიმუშები მოგვაწოდა გამოცდების ეროვნული ცენტრის მათემატიკის ჯგუფის ხელმძღვანელმა ზაზა თევდორაძემ

როგორც ცნობილია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, მათემატიკის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდა ჩატარდება. პედაგოგთა კვალიფიკაციის შემოწმების შემდეგ შესაბამისი სერტიფიკატი გაიცემა.

რატომ გახდა აუცილებელი პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარება?

- შემუშავდა და სკოლაში დაინერგა ახალი სასწავლო გეგმა.
- შეიქმნა მასწავლებლის ახალი საგნობრივი პროფესიული სტანდარტები (კერძოდ, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი მათემატიკაში).
- სკოლაში ინერგება სწავლებისა და შეფასების ახალი მეთოდები.

სასერტიფიკაციო გამოცდის მიზანი

შემოწმდება, თუ რამდენად აკმაყოფილებს მასწავლებელი მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საგამოცდო პროგრამა

მათემატიკაში საგამოცდო პროგრამა შედგენილია გამოცდების ეროვნული ცენტრის მათემატიკის ჯგუფისა და ცენტრთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს მიერ. მის შემადგენლობაში შედიოდნენ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების, კვლევითი ინსტიტუტების, სასწავლო პროგრამების და შეფასების ეროვნული ცენტრისა და საჯარო სკოლების წარმომადგენლები.

საგამოცდო პროგრამა ეფუძნება საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს მათემატიკაში.

მათემატიკაში საგნობრივი ცოდნის შესაფასებელი ტესტის სავარაუდო სტრუქტურა

საგამოცდო ტესტი შედგება დახურული და ღია ტიპის დავალებებისაგან (იხ. დიაგრამა).

დახურული ტიპის დავალებები ძირითადად განკუთვნილია მასწავლებლის მათემატიკური უნარების შესამოწმებლად. ამ დავალებებს ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. პედაგოგმა სწორი პასუხი უნდა შემოხაზოს.

ღია ტიპის დავალებები წერილობით პასუხს მოითხოვს. აღნიშნული დავალებები ამოწმებს გამოსაცდელის როგორც მათემატიკური ცოდნის დონეს, ასევე მის ისეთ პედაგოგიურ უნარებს, როგორიცაა:

- სასწავლო მასალის შერჩევა და საგაკვეთილო მიზნების განსაზღვრა;
- მოსწავლეებისათვის მათემატიკური მასალის მიწოდების გეგმის შემუშავება და განხორციელება;
- კლასის ორგანიზება, საკლასო აქტივობების შერჩევა;
- მოსწავლეთა ცოდნის შეფასება.



ტესტურ დავალებათა ნიმუშები

დახურული ტიპის დავალებები:

ქვემოთ მოცემული დახურული ტიპის დავალებები ამოწმებს მასწავლებლის უნარს, შეაფასოს მოსწავლის ნაშრომი.

დავალება 1 — **1 ქულა**

მოსწავლე ორნიშნა რიცხვის ერთნიშნა რიცხვზე გადამრავლების ალგორითმში უშვებს ერთსა და იმავე შეცდომას (იხ. სურათი).



ქვემოთ ჩამოთვლილი გადამრავლებებიდან რომელი შეიძლება იყოს ამ მოსწავლის მიერ შესრულებული?



დავალება 2 — **1 ქულა**

მასწავლებლის დავალება – ვენის დიაგრამებით აღეწერათ დამოკიდებულება ოთხკუთხედის ტიპებს შორის – ლიამ, თამრიკომ, ბექამ და თამაზმა შემდეგნაირად შეასრულეს (ქვემოთ გამოსახულ დიაგრამებზე პ – პარალელოგრამთა სიმრავლეა, ტ – ტრაპეციათა სიმრავლე, რ – რომბთა სიმრავლე, მ – მართკუთხედთა სიმრავლე, ხოლო კ – კვადრატთა სიმრავლე):



ა) ბექა



ბ) თამრიკო





გ) ლია დ) თამაზი

მიუთითეთ, რომელი ნაშრომი იმსახურებს ყველაზე მაღალ შეფასებას.

ა) ბექა ბ) თამრიკო გ) ლია დ) თამაზი

ქვემოთ მოცემული დახურული ტიპის დავალებები მასწავლებლის ფაქტობრივ ცოდნას ამოწმებს.

დავალება 3 — 2 ქულა

მართკუთხა კოორდინატთა სისტემაში გამოსახულია **ABCD** პარალელოგრამი, რომლის სამი წვეროა **B(4;5), C(8;4)** და **D(5;2)** (იხ. სურათი). იპოვეთ **AB** წრფის განტოლება.



ა) $y=-\frac{x}{4}+13$;

ბ) $y=-\frac{x}{4}+6$;

გ) $-3y+2x=7$;

დ) $3y-2x=7$.

დავალება 4 — 1 ქულა

რა არის იმის ალბათობა, რომ მონეტის ოთხჯერ აგდების შემთხვევაში, ორი გერბიანი მხარე და ორი საფასურის აღმნიშვნელი მხარე ამოვიდეს?

ა) **1/4** ბ) **3/8** გ) **1/2** დ) **5/8**

დავალება 5 — 2 ქულა

მასწავლებელმა მათემატიკის საკონტროლო წერის შედეგები შეაჯამა. აღმოჩნდა, რომ საშუალო მნიშვნელობა იყო 45, მედიანის მნიშვნელობა – 40, ხოლო სტანდარტული გადახრა – 7. ამასთან, ერთ-ერთი ამოცანის ამოხსნაში ყველამ 0 ქულა მიიღო, რადგან ამოცანის პირობაში შეცდომა იყო დაშვებული. ამის გამო მასწავლებელმა თითოეული ნაშრომის შეფასებას 5 ქულა დაუმატა.

შემდეგი გამონათქვამებიდან რომელია ჭეშმარიტი?

I ახალი საშუალო მნიშვნელობა არის 50.

II ახალი მედიანა არის 45.

III ახალი სტანადარტული გადახრა არის 12.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ II

გ) მხოლოდ I და II

დ) I, II და III

ღია ტიპის დავალებები:

ქვემოთ მოცემული დავალებები, გეომეტრიულ ინტუიციასთან ერთად, ამოწმებს მასწავლებლის უნარს, გაანალიზოს მოსწავლის ნამუშევარი და მოსწავლისათვის გასაგებად გადმოსცეს საკუთარი თვალსაზრისი.

დავალება 6 — 8 ქულა

ახალი თემის, სამკუთხედის ფართობის შესწავლისას ერთ-ერთმა მოსწავლემ გამოთქვა მოსაზრება, რომ თუ ერთი სამკუთხედის **თითოეული** გვერდი მეტია მეორე სამკუთხედის **ყველა** გვერდზე, მაშინ პირველი სამკუთხედის ფართობი მეტია მეორე სამკუთხედის ფართობზე.

როგორ აუხსნიდით მოსწავლეს თქვენს თვალსაზრისს (დაამტკიცეთ დებულება ან მოიყვანეთ შესაბამისი კონტრმაგალითი)?

დავალება 7 — 8 ქულა

კლასს მისცეს დავალება: *იპოვეთ* $f(x)=\sin x+\cos x$ *ფუნქციის უმცირესი დადებითი პერიოდი.*

მიუთითეთ, რა შეცდომაა დაშვებული ერთ-ერთი მოსწავლის ამოხსნაში:

„თუ T *პერიოდია, მაშინ* $\sin(x+T)+\cos(x+T)=\sin x+\cos x$. *ეს ტოლობა უნდა შესრულდეს ყოველი* x*-თვის. ჩავსვათ მასში* $x=0$ *და* $x=-T$. *მივიღებთ:*

$\sin T+\cos T=1$, $1=-\sin T+\cos T$. *ამ ტოლობებს თუ შევკრებთ, მივიღებთ:* $2\sin T=0$. *აქედან* $T=\pi n$. *უმცირესი დადებითი* n*-ია 1. ამიტომ* $T=\pi$.*“*

ღია ტიპის დავალებების შეფასების ზოგადი პრინციპები

ღია ტიპის დავალებების წერილობითი პასუხები შეფასდება შემდეგი პარამეტრების გათვალისწინებით:

- **მიზნები**. აღნიშნული პარამეტრი აფასებს, თუ რამდენად ზუსტად და ადეკვატურად გაიგო კანდიდატმა დავალების თითოეულ კომპონენტში დასმული ამოცანა.
- **ცოდნა და მისი გამოყენება**. აღნიშნული პარამეტრი აფასებს, თუ რამდენად კარგად ავლენს კანდიდატი დავალების შესასრულებლად აუცილებელი საკითხების ცოდნას და პრაქტიკულ სიტუაციებში მათი გამოყენების უნარს.
- **სისრულე და თანმიმდევრულობა**. აღნიშნული პარამეტრი აფასებს, თუ რამდენად სრულად, არგუმენტირებულად და ლოგიკური თანმიმდევრობით არის კანდიდატის პასუხში აღწერილი კონკრეტული დავალების გადაჭრისათვის საჭირო ყველა ნაბიჯი.
- **პედაგოგიკა და მეთოდოლოგია**. აღნიშნული პარამეტრი აფასებს, თუ რამდენად გამართულია გამოსაცდელის პასუხი პედაგოგიური და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, მსჯელობა წარმართულია თუ არა მოსწავლისთვის გასაგებ ენაზე (თუ დავალებაში ეს მოთხოვნაა), არის თუ არა ადვილად აღსაქმელი და საჭიროებისამებრ ილუსტრირებული ნახაზით, ნახატით ან სხვა თვალსაჩინოებებით, რამდენად შეესაბამება საგამოცდო დავალების თემატიკას მოსწავლისთვის მიცემული დავალებები (თუ ამას საგამოცდო დავალება მოითხოვს), რამდენად თვალსაჩინოდ, გასაგებად და მკაფიოდ წარმოადგენს პედაგოგი თავის ნააზრევს.

უფრო სრული ინფორმაცია მათემატიკაში სასერტიფიკაციო გამოცდის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოშვებულ კრებულში: **როგორ მოვემზადოთ პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდისათვის. მათემატიკა. თბილისი, 2008 წ.**

კროსვორდი



კროსვორდის ავტორი: გეოგრაფიული საბჭოს წევრი ნანა კეჩხუაშვილი

თარაზულად: 5. მზის მიერ გამოსხივებული სითბო და სინათლე; 6. ქვეყანა აზიაში სადაც სარკინიგზო ტრანსპორტი არ არის განვითარებული; 10. ნავთობით მდიდარი აზიის სახელმწიფო; 11. კუნძული წყნარი ოკეანისა და ბერინგის ზღვის საზღვარზე; 12. ქალაქი კუნძულ ჰოკაიდოზე; 13. უხერხემლო ცხოველთა ტიპი, რომელთა უმრავლესობა ბინადრობს ოკეანესა და ზღვაში; 14. მდინარე თურქეთსა და ერაყში, რომელიც უერთდება მდინარე ეფრატს; 15. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 17. კუნძული ოხოტის ზღვაში; 18. შუა აზიის ყველაზე გრძელი და წყალუხვობით მეორე მდინარე; 22. მდინარის ეროზიული მოქმედების შედეგად ღრმა, ხშირად კლდოვანი ჩაღრმავება; 23. ჩინური ფულის ერთეული; 24. ფორმისა და წარმოშობის მიხედვით დედამიწის ზედაპირის უსწორმასწორობების ერთობლიობა; 25. გველი, გავრცელებული სამხრეთ აზიაში, ინდოეთის კულტი; 26. ინდონეზიის კუნძული; 27. ნახევარკუნძულოვანი ქვეყანა; 32. მოქმედი ვულკანი ინდონეზიაში; 33. ქალაქი იაპონიაში.

შვეულად: 1. დღეღამური ქარი; 2. ქვეყნის ნაწილი; 3. დიდი ზონდის კუნძული; 4. ყველაზე „ცისფერი“ მდინარე; 7. „მწეველი“ კუნძულები; 8. თანამდებობის პირი, რომელიც თავისი ქვეყნის და მოქალაქეების ინტერესებს იცავს სხვა ქვეყანაში; 9. ახალი ციმბირის კუნძული; 16. საქართველოს ისტორიული მხარე თურქეთში; 19. ჩაის სახელობის კუნძულოვანი სახელმწიფო; 20. 1988 წლის მიწისძვრის შედეგად დანგრეული ქალაქი; 21. სპილენძით მდიდარი აზიის ქვეყანა; 28. მსოფლიოს უდიდესი ქალაქი მოსახლეობით; 29. ჰაერში წყლის ორთქლის შესქელება წვეთების სახით; 30. ტბა, რომელიც აფრიკაში „გეპატიჟებათ“; 31. თურქული ფულის ერთეული; 34. დას. საქართველოში გავრცელებული სტიმულატორი მცენარე.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ:

თარაზულად: 5. მზისგამოსხივება; 6. აფრიკეთი; 10. ირანი; 11. ალეუტიანი; 12. ეიმაო; 13. ფილუკია; 14. ფრატი; 15. ომანი; 17. სეიშელი; 18. სენეგალია; 22. ხეობა; 23. იუანი; 24. რელიეფი; 25. ციმბიფი; 26. ბალი; 27. ინდოეთი; 32. ერაყი; 33 ხოსიმიზა.

შვეულად: 1. ბრიზი; 2. ზონა; 3. იავე; 4. ინდი; 7. კუნძულები; 8. ელჩი; 9. ციმბირი; 16. ტაო; 19. ცეილონი; 20. სპიფაჯეი; 21. ინდონეზია; 28. ტოკიო; 29. ნისლი; 30. ჩადი; 31. ლირა; 34. ჩინი.

ვასწავლით საქართველოსთვის

ნინო გორგილაძე აჭარელია, მაგრამ მასწავლებლად წალკის რაიონში მუშაობს. „ასწავლე საქართველოსთვის“ – ის ამ პროგრამის მონაწილეა და წალკაში, სულ ცოტა, ერთი წელი მაინც დარჩება. პროგრამამ საქართველოს მაღალმთიან, სირთულეებით გამორჩეულ რეგიონებში ორმოცდასამი პედაგოგი დაასაქმა.

თეა თოფურია

პროგრამა სკოლებში სექტემბრიდან ამოქმედდა. მისი განხორციელება კვალიფიციური მასწავლებლების დეფიციტმა განაპირობა. მაღალმთიან ან შედარებით რთულ რაიონებში შესაბამისი კვალიფიკაციის ნაკლებობაა, ბევრგან კი საგნის მასწავლებელი საერთოდ არ ჰყავთ.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში დაახლოებით ხუთასამდე განაცხადი შევიდა. სკოლები მასწავლებლებს ითხოვდნენ. პირველ ეტაპზე, პროექტის ფარგლებში, ორმოცდასამი მასწავლებლის დასაქმება მოხერხდა. საგნის სპეციალისტების შერჩევა სამ ეტაპად განხორციელდა. მათ ტესტირება და გასაუბრება ჩაუტარდათ. გარდა ამისა, შერჩეულმა მასწავლებლებმა ტრეინინგიც გაიარეს, რომლის შედეგად მიღებული ქულები გამოცდებისა და გასაუბრების ქულებს დაემატა. სწორედ ქულების რაოდენობამ გადაწყვიტა, ვინ სად უნდა მოხვედრილიყო.

„მინდოდა, ჩემს რეგიონში მოვხვედრილიყავი, მაგრამ იქ მათემატიკის მასწავლებელზე მოთხოვნა არ ყოფილა“, – ამბობს ნინო გორგილაძე.

პროექტის კოორდინატორის, თამუნა ჭინჭარაულის თქმით, ცდილობდნენ, მასწავლებლები საცხოვრებელი ადგი-

ნინო გორგილაძე

ლისგან მოშორებით გაეშვათ, რათა საკუთარ რაიონებში დასაქმებული პედაგოგების თავიდან დასაქმება არ მომხდარიყო, სკოლებში კი ნამდვილი ვაკანსიები შევსებულიყო.

მასწავლებლები მთელს საქართველოში გადანაწილდნენ: რაჭაში, სვანეთში, სამეგრელოში, სამცხე-ჯავახეთში, ლეჩხუმში, გურიაში, აჭარაში... სკოლის შერჩევა ადვილი არ ყოფილა. ბევრგან მასწავლებელი ჰყავდათ და სურდათ, რომ დამხმარედ კიდევ ერთი ჰყოლოდათ. პროექტის ფარგლებში მხოლოდ ისეთი სკოლები შეირჩა, სადაც შედარებით დიდი კონტინგენტი იყო. პედაგოგს 8-10-საათიანი დატვირთვა მაინც უნდა ჰქონოდა. ყურადღება მიექცა დირექტორის მიერ გაკეთებულ განაცხადს მასწავლებლის მოთხოვნაზე და მის მოტივაციასაც.

სოფელ ნეო ხარაბას სკოლა, სადაც ნინო გორგილაძე გაანაწილეს, საკმაოდ რთულ რაიონშია: ზამთრობით ძალიან ცივა, წყალიც ჭირს, ტრანსპორტიც. სოფელი მოსახლეობისგან იცლება, ამიტომ ადამიანური რესურსების პოვნა აქ თითქმის შეუძლებელია. პედაგოგი, რომელიც მათემატიკას ნინოს მოსვლამდე ასწავლიდა, გარდაიცვალა და მისი შემცვლელის მოძებნა იმდენად გაჭირდა, რომ ახლა მეათეკლასელები ისევ წილადების გამრავლებას იმეორებენ.

კიდევ ერთი თავსატეხი სკოლას მაშინ გაუჩნდა, როცა ინგლისურის მასწავლებელი გათხოვდა. აპირებდნენ, ახალი პედაგოგი ისევ პროექტის დახმარებით ეპოვნათ, მაგრამ განაცხადის შეტანის ვადა უკვე გასულიყო და კადრის მოძიება თავად მოუხდათ.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე დიდი მოთხოვნა ინგლისურის მასწავლებლებზე იყო, ასევე ითხოვდნენ ქართულის, მათემატიკის, ფიზიკის პედაგოგებს...

პროექტში მონაწილეობის მიღება ყველას შეეძლო, ვისაც შესაბამისი სპეციალობა და ბაკალავრის დიპლომი მაინც ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ასაკობრივი შეზღუდვა არ ყოფილა, კონკურსში მონაწილეობა ძირითადად ახალგაზრდებმა მიიღეს. მათვის ეს პროფესიული გამოცდილების მიღების საშუალება იყო.

წალკაში სწავლება ნინოსთვისაც ერთგვარი გამოწვევაა. მან ბაკალავრიატი უკვე დაამთავრა და მომავალ წელს მაგისტრატურაში ჩაბარებას აპირებს. ამასთან, ის უკვე შეძლებს მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებშიც მიიღოს მონაწილეობა.

„სკოლაში ხელფასი 373 ლარი მაქვს, პროექტიდან კიდევ 250 ლარი მერიცხება, სტიპენდიის სახით. ბავშვებმაც და პედაგოგებმაც კარგად მიმიღეს. როგორც მასწავლებელი, პირველად ვარ სკოლაში. გაკვეთილის ჩატარების, ჟურნალის შევსების გამოცდილებაც აქ მივიღე. ყველაფერში ხელს მიწყობენ და მეხმარებიან“, – ამბობს ის. ნინო 21 წლისაა. სკოლაში ძალიან უნდათ, რომ ახალი მასწავლებელი დიდხანს დარჩეს, მაგრამ მას ხელი მხოლოდ ერთწლიან კონტრაქტზე აქვს მოწერილი.

სოფლის სკოლა მცირეკონტინგენტიანია. გაკვეთილზე ბავშვებს ხანდახან ორი მერხიც ჰყოფნით. თხუთმეტ წუთში მასწავლებელი თითოეული მათგანის დაფასთან გამოძახებას ასწრებს.

პროექტის მონაწილეებს ორი ტრენინგი ჩაუტარდათ – პროფესიულ უნარ-ჩვევებსა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში. ნინომ ბავშვებს კომპიუტერის გამოყენებაც უნდა ასწავლოს. ეს შესაძლებელია, რადგან სკოლას ექვსი კომპიუტერი აქვს. გარდა ამისა, ის სხვა მასწავლებლებსაც უნდა დაეხმაროს, განათლების სფეროს სიახლეები, ახალი მიდგომები და სწავლების ახალი მეთოდები გააცნოს ...მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი პროექტის მონაწილეებს სხვადასხვა ლიტერატურითაც ეხმარება. ნინო ამბობს, რომ თვალსაჩინოებებსაც შეჰპირდნენ.

მოსწავლეთა მცირე კონტინგენტი და პროფესიული კადრების ნაკლებობა სოფლის სკოლებისთვის სერიოზული პრობლემას წარმოადგენს, კარგი სკოლა კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია იმისთვის, რომ მოსახლეობამ რაიონი არ დატოვოს.

სკოლის ფსიქოლოგი

სოფო ბარამიძე

წმიდა გიორგის სახელობის საერო სკოლის ფსიქოლოგი

პედაგოგიური მოღვაწეობის პროცესში მასწავლებელს ხშირად უხდება, მრავალ განსხვავებულ პრობლემას სწორი გამოსავალი უპოვოს. ამ დროს სკოლის ფსიქოლოგის დახმარება ძალიან მნიშვნელოვანია. მისი ძირითადი საქმიანობა სასკოლო ფსიქოდიაგნოსტიკის განხორციელება, ბავშვებთან კორექციულ-განმავითარებელი მუშაობა, მოსწავლეების, მშობლების და პედაგოგებისთვის რჩევების მიცემაა.

ფსიქოლოგი მასწავლებელს სასწავლო მეთოდების შერჩევასა და მოზარდებთან ურთიერთობის სწორად წარმართვაში ეხმარება. ამასთან, იგი პედაგოგებს გამუდმებით აცნობს ბავშვის ასაკობრივ თავისებურებებს, განსხვავებულ მიდგომებსა თუ თეორიებს. საჭიროების შემთხვევაში, ფსიქოლოგი სხვადასხვა სახის ტრენინგებსაც უნდა გეგმავდეს და ატარებდეს, მაგალითად, იმის ასახსნელად, თუ რომელ ასაკობრივ ჯგუფს რა ინტერესები აქვს და როგორ უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა ეს ყველაფერი სასწავლო მოტივაციის გაზრდისათვის; როგორ უნდა გახადოს მან სასწავლო პროცესი წარმატებაზე ორიენტირებული; როგორ უნდა ასწავლოს ბავშვებს ურთიერთობის დამყარება, კონფლიქტების გადაჭრა, ემოციების რაციონალურად მართვა და ა.შ.

ფსიქოლოგს მკაფიოდ და ნათლად უნდა ჰქონდეს გააზრებული სკოლის სტრატეგია. სააღმზრდელო პროგრამის შექმნასა და განხორციელებაში იგი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს. პედაგოგი იშვიათად თუ მიაღწევს წარმატებას სათანადო ფსიქოლოგიური საკითხების ღრმა ცოდნის გარეშე. ასევე, გამოცდილებამ აჩვენა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, სკოლის სააღმზრდელო პროგრამას მშობელიც კარგად იცნობდეს.

სასურველია, ბავშვებთან ინდივიდუალური მუშაობა პედაგოგმა ფსიქოლოგთან ერთად დაგეგმოს იმისთვის, რომ სწორად განისაზღვროს, ცალკეულ მოსწავლესთან წარმატების მიღწევის გზები. მნიშვნელოვანია სკოლაში ქცევის წესებისა და შეფასების სისტემის

შეთანხმება. შეფასება დიდ როლს თამაშობს სკოლის ცხოვრებაში, რადგან ბავშვები ყველაზე მგრძნობიარენი სწორედ მის მიმართ არიან. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქმე მოზარდის პიროვნების ფორმირებასთან გვაქვს.

სკოლაში მოსულ მოსწავლეს თავიდან ფსიქოლოგი უნდა გაესაუბროს და თავი თბილ, უსაფრთხო გარემოში აგრძნობინოს. ამასთანავე, მანვე უნდა დაადგინოს მისი ფსიქოლოგიური მზაობა სასკოლო ცხოვრებისთვის. პრობლემების აღმოჩენის შემთხვევაში, ფსიქოლოგმა მშობელს რჩევები უნდა მისცეს, შედარებით რთულ სიტუაციაში კი, ბავშვთან მუშაობის ეფექტურად დაგეგმვისათვის, შესაბამისი სპეციალისტის (უმთავრესად, ნეიროფსიქოლოგის) რეკომენდაცია მოითხოვოს. სასკოლო მზაობის ტესტის მიხედვით, გამოცდილ ფსიქოლოგსა და პედაგოგს იოლად შეუძლიათ თანაბარი შესაძლებლობის მქონე კლასების დაკომპლექტება.



სასურველია, ერთ კლასში არ მოხვდეს სკოლაში მოსული ყველა ცაცია, ან სხვა სირთულის მქონე ბავშვი. ფსიქოლოგის დახმარებით, პედაგოგი წინასწარ უნდა ფლობდეს იმ ინფორმაციას, რომლის სასწავლო პროცესში მოპოვებას თითქმის მთელი ტრიმესტრი დასჭირდება. მან სწავლის დაწყებამდე უნდა განსაზღვროს, როგორი განათება შეურჩიოს ცაციას, ან სად დასვას ზედმეტად აქტიური ბავშვი, ვის გაუჭირდება ადაპტაცია და ა.შ. პრობლემების თავიდან ასაცილებლად მასწავლებელმა გარკვეული სტრატეგიები უნდა შეიმუშავოს.

პირველი კლასი ბავშვის ცხოვრების ახალი, მეტად მნიშვნელოვანი ეტაპია. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში წასვლა ყველას უხარია, ბავშვმა უცხო გარემოსა და თანატოლებთან შეგუება, ახალი უნარ-ჩვევების გამომუშავება, დისციპლინის დაცვა უნდა შეძლოს.

ეს ყველაფერი მისთვის იოლად მისაღწევი არ არის. ამ ეტაპზე ფსიქოლოგისა და პედაგოგის დახმარება მას ყველაზე მეტად სჭირდება. სასკოლო ცხოვრების პირველ წელს ახალი, მყარი დამოკიდებულებები (საკუთარ თავთან, თანატოლებთან, უფროსებთან), ასევე, ბაზისური სასწავლო განწყობა ყალიბდება, რომელიც შემდგომი წარმატებების განმსაზღვრელი ხდება.

ფსიქოლოგი, მასწავლებელთან ერთად, დიდი სიფრთხილითა და ყურადღებით უნდა დააკვირდეს, რა მიმართულებით განვითარდება მოსწავლე სასწავლო წლის პირველ თვეებში. წარმატების მიღწევა შეუძლებელი გახდება, თუ სკოლაში მისვლისთანავე ბავშვი უცხო, გაურკვეველ, შენიშვნებით აღსავსე გარემოში მოხვდება. ეს ყველაფერი უშუალოდაა დამოკიდებული ფსიქოლოგისა და პედაგოგის სწორ მიდგომასა და გამოცდილებაზე. სკოლაში მისვლისთანავე ბავშვისგან მთელი რიგი წესებისა და ნორმების დაცვა არ უნდა მოვითხოვოთ.

სწავლისთვის აუცილებელი მთელი რიგი ახალი უნარ-ჩვევები (საკუთარი თავისა და ნივთების მოვლა, დერეფანსა და საკლასო ოთახში მოქცევა) თავისთავად არ ყალიბდება. პირველკლასელთა უმრავლესობა ახალ გარემოს ადვილად ეგუება, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც სერიოზულ სირთულეებს აწყდებიან. აღსანიშნავია, რომ სასკოლო ცხოვრებასთან შეგუებისათვის ბავშვს სერიოზული ძალისხმევა არ უნდა დასჭირდეს. ამ დროს უფროსის შეფასებასა და მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ ასაკში ბავშვს ობიექტური თვითშეფასება არ შეუძლია. ის საკუთარ თავს ისეთად ხედავს, როგორადაც სხვებმა დაინახეს. იგი ყოველთვის მოელის უფროსებისგან იმის დადასტურებას, რომ კარგი და საყვარელია, რთული ამოცანების დაძლევასაც კი ახერხებს და ა.შ. ამდენად, როდესაც ბავშვი თქვენს მოლოდინს არ ამართლებს, ნივთებს გამუდმებით კარგავს, ისვრება, დავალებებს ხარისხიანად ვერ ასრულებს, ის დრო გაიხსენეთ, როცა პატარა სიარულს სწავლობს და პირველ ნაბიჯებს დგამს. მაშინ არავის მოუვა აზრად, გააჩეროს და გაბრაზებით უთხრას: „ეს რა არის? ასე ვინ დადის? შემომხედე, როგორ უნდა გაიარო!“ ფსიქოლოგიური თვალთახედვით, იმ ბავშვისკენ მიმართული ნებისმიერი კრიტიკა, რომელმაც ახალი საქმის კეთება დაიწყო, არასერიოზულია.

დაწყებით განათლებას სკოლის ფსიქოლოგმა განსაკუთრებული

ყურადღება უნდა მიაქციოს და პედაგოგებსა და მშობლებთან თანმიმდევრულად უნდა იმუშაოს. აღმზრდელებმა უნდა გაითვალისწინონ:

- თუ დაწყებით კლასში ბავშვმა შემეცნების სიამოვნება და წარმატების სიხარული ვერ განიცადა, თანატოლებს ვერ დაუმეგობრდა, საკუთარ უნარებსა და შესაძლებლობებში ვერ დარწმუნდა, მომავალში ამის გამოსწორება ძალიან რთული იქნება.
- ნუ ჩაერევით იმ საქმიანობაში, რომლითაც ბავშვია დაკავებული (თუ იგი თავად არ გთხოვთ). მიეცით საშუალება, საკუთარი ძალები გამოსცადოს.
- თუ ბავშვს საქმისთვის თავის გართმევა უჭირს და დახმარებას გთხოვთ, აუცილებლად დაეხმარეთ – მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც ეძნელება. სჯობს, დავალება თვითონ დაასრულოს.
- ბავშვის უნარები და მთელი მისი პიროვნება მხოლოდ იმ საქმიანობისას ვითარდება, რომელსაც ის საკუთარი სურვილით ასრულებს და რომლის მიმართაც ინტერესს იჩენს.
- თავი აარიდეთ გადამეტებულ ზრუნვას. საკუთარი თავის მოვლასა თუ ქცევაზე პასუხისმგებლობა მას მიანდეთ. მიეცით საშუალება, თავად დაინახოს საკუთარი ქმედების (ან უმოქმედობის) უარყოფითი შედეგი. მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს იგი იმ გამოცდილებას, რომელსაც მსგავს სიტუაციებში გაითვალისწინებს.
- სიტუაციის ობიექტურად შეფასებაში დაეხმარეთ, გადაწყვეტილების მიღებისას კი, სჯობს, თავად იყოს აქტიური.
- თუ ბავშვი შემაწუხებლად იქცევა, მას ამის შესახებ მიუთითეთ. შეაფასეთ ქცევა და არავითარ შემთხვევაში – პიროვნება („ეს ცუდი საქციელია“ და არა „შენ ცუდი ხარ, რადგან...“).
- როდესაც რაღაცის გამოსწორებას ცდილობთ, სწრაფ ცვლილებებს ნუ ელით. ბავშვს არ შეუძლია ესა თუ ის ჩვეულება დამოუკიდებლად შეცვალოს. მას უფროსის დახმარება სჭირდება. შეგიძლიათ მის ირგვლივ გარემო შეცვალოთ. დაიხმარეთ სპეციალისტი და თავად განსაზღვრეთ, რისი შეცვლაა შესაძლებელი.
- დაეყრდენით მისი ხასიათის ძლიერ მხარეებს. დაივიწყეთ ძველი წარუმატებლობები. დაიხსომეთ მხოლოდ წარმატებები.

დაწყებითი სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამის სწორად დაგეგმვა და განხორციელება მთელი სკოლის წარმატებულ საქმიანობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ბავშვობიდან მოზარდობაში გარდამავალი ხანა, გარდატეხის ასაკი, რომელიც რამდენიმე განსხვავებულ ეტაპს მოიცავს. ამ პერიოდისთვის ბავშვის ნდობა უკვე მოპოვებული უნდა გვქონდეს, რათა ურთიერთობის სასურველი ფორმები შევინარჩუნოთ, თანამშრომლობა და დახმარება შევძლოთ. ბავშვები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში, სასწავლო პროცესის მიზნები და ამოცანები გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ, მათი ინტერესთა სფეროებიც გამოკვეთილი უნდა იყოს.

ამ ეტაპზე ფსიქოლოგებისა და პედაგოგების წინაშე განსხვავებული ამოცანები დგება. სირთულეების დაძლევა დროულად, სერიოზული პრობლემების ჩამოყალიბებამდე უნდა მოხდეს. ბავშვებს შეფასების ობიექტური კრიტერიუმების შემუშავებაში უნდა დავეხმაროთ. სწორედ ამ დროს ჩნდება პირველი სერიოზული წარმოდგენები საკუთარ შესაძლებლობებზე, რაც თვითშეფასების სისტემის ჩამოყალიბების საფუძველს ამზადებს. მხარი უნდა დავუჭიროთ მათ მცდელობებს – ეს მოზარდებს მეტ თავდაჯერებულობასა და სრულფასოვნების განცდას მისცემს. დავეხმაროთ, რომ სწორად შეაფასონ ობიექტური რეალობა, ამ რეალობაში ცხოვრება ვასწავლოთ. ასევე მხარი უნდა დავუჭიროთ დამოუკიდებლობისკენ მათ ლტოლვას. მივცეთ საშუალება, ადრინდელზე მეტი დრო გაატარონ მეგობრების გარემოცვაში, დავგეგმოთ ექსკურსიები, საბანაკო შეკრებები და სხვა მსგავსი ღონისძიებები. მოზარდების ურთიერთობის შეფასებას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. ეფექტური იქნება, თუ ფსიქოლოგი და პედაგოგი დაკვირვებებს დამოუკიდებლად აწარმოებენ და შეხედულებებს ერთმანეთს გაუზიარებენ. უნდა მოვერიდოთ გადამეტებულ კონტროლს – ამას იშვიათად მოაქვს წარმატება. უფრო სწორი იქნება, თუ მშვიდ დამოკიდებულებას შევინარჩუნებთ. ეს საშუალებას მოგვცემს, ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინებით, აღზრდის სწორი სტრატეგია შევიმუშაოთ და მოზარდებს დავეხმაროთ, რომ გარემოში თავი კომფორტულად იგრძნონ.

სკოლაში ყველასთვის ერთი განაწესი მოქმედებს და ურთიერთობის განსაზღვრული ფორმები არსებობს, მისი დამთავრების შემდეგ კი, ახალგაზრდებს მნიშვნელოვნად გართულებულ გარემოში უხდებათ თავის დამკვიდრება, ადგილის პოვნა, პოზიტიური ურთიერთობების შენარჩუნება. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალურ მიდგომას უნდა მივმართოთ, რათა მოზარდი საკუთარ შესაძლებლობებში უკეთ უნდა გაერკვეს, ასევე, საკუთარ საქციელზე პასუხისმგებლობის აღება, თავისი მოსაზრებების დაცვა ისწავლოს. ეს ყველაფერი მას გარემოსთან ადაპტაციის გზების მოძებნასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის გათავისებაში დაეხმარება.

სასკოლო ცხოვრების ამ ორი უმნიშვნელოვანესი, თვისობრივად განსხვავებული ეტაპის წარმატებით განხორციელებისათვის ფსიქოლოგების თანმიმდევრული და მიზანმიმართული მუშაობა და მათთან აქტიური თანამშრომლობაა აუცილებელი. რაც უფრო ადრე დავიწყებთ ბავშვის პიროვნულ თავისუფლებაზე ზრუნვას, მით მეტად ვიქნებით დარწმუნებული, რომ იგი ადრეული ასაკიდანვე შეძლებს ცხოვრების რთულ სიტუაციებში სწორ ორიენტირებას.



ქართული ტელესივრცე და განათლება

საგანმანათლებლო გადაცემების დეფიციტი ქართულ ტელესივრცეში

ტელევიზიას ბევრი სასარგებლო საქმის ხელშეწყობა შეუძლია. საზოგადოებრივი მაუწყებელი („პირველი არხი“) ვალდებულიც კია, საგანმანათლებლო ფუნქცია შეითავსოს და განათლება-შემეცნებაზე საზოგადოების მზარდი მოთხოვნა დააკმაყოფილოს.

ალეკო ცქიტიშვილი

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 თავის მე-16 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, „საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალ ამბებს, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის“. ზოგადად, ამ ვალდებულების შესრულებას საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია აკონტროლებს. ამავდროულად, კანონზე დაყრდნობით, საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის პრიორიტეტებს ტელევიზიის სამეურვეო საბჭო განსაზღვრავს.

კომერციული ტელევიზიები გადაცემების სპეციფიკასა და პროფილს

თავად ირჩევენ და მთლიანად მათ ნებაზეა დამოკიდებული, საგანმანათლებლო ხასიათის გადაცემებს მოამზადებენ თუ საეთერო დროს მხოლოდ ბრაზილიურ ტელესერიალებს დაუთმობენ.

ბოლო წლების საგანმანათლებლო გადაცემებიდან, პირველ რიგში, თანამედროვე მწერლის, აკა მორჩილაძის საავტორო გადაცემა – „უცნობი საქართველო“ გვახსენდება. „იმედის“ მაყურებელზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მწერლის ისტორიული ექსკურსები მე-19 საუკუნის თბილისში, უშუალო თხრობის მანერა და სხვადასხვა არქივიდან ამოკრეფილი საინტერესო ფაქტები, რომლებსაც ისტორიის ვერცერთ სახელმძღვანელოში ვერ ნახავდით. აკა მორჩილაძემ დაამტკიცა, რომ სრულიად შესაძლებელია, სალექციო ფორმატით თანამედროვე სინამდვილეშიც მომზადდეს რეიტინგული გადაცემები.

უფროს თაობას კარგად ახსოვს საბჭოთა პერიოდის „პირველ არხზე“ მიზნობრივ აუდიტორიაზე გათვლილი საკვირაო ლექციები. ეს ქართული ენისა და ლიტერატურის, ასევე – უცხო ენებისა და სხვა დისციპლინების სატელევიზიო გაკვეთილები იყო. მათ შორის ყველაზე საინტერესო და სიცოცხლისუნარიანი თამაზ კვაჭანტირაძის საავტორო გადაცემა გამოდგა, რომლის თანამედროვე ვერსია ტელეეთერში წლების შემდეგაც გამოჩნდა. ახალი ფორმატის გადაცემაში ყურადღებას იქცევდა რეალური აუდიტორია, დაფითა და მერხებით, სადაც რამდენიმე ბეჯითი მოწაფე თამაზ კვაჭანტირაძეს უსმენდა.

„წავიდა ის დრო, როცა, უბრალოდ, ლექციებს გვიკითხავდნენ ეკრანიდან“, – ამბობს ჩვენთან საუბრისას საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური პროდიუსერი, **გიორგი გაჩეჩილაძე** და ერთ-ერთ გადაცემას იშველიებს საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამიდან. უმცროსკლასელთათვის ინგლისური ენის შემსწავლელი გადაცემა – ქართულად ადაპტირებული ამერიკული პროექტი – ეთერში შაბათ-კვირას, საბავშვო პროგრამაში გადიოდა: „მართალია, ამერიკული პროექტი იყო, მაგრამ მთლიანად ჩვენ ვახმოვანებდით, ჩვენ ვადებდით გრაფიკას და ანიმაციას. დიამეტრალურად განსხვავდებოდა საბჭოური გადაცემების ფორმატისგან – ბავშვები ერთობოდნენ და ამავე დროს ინგლისურ ენასაც სწავლობდნენ. ცოტა ხანში, ეთერს მსგავსი გადაცემა დაუბრუნდება, ოღონდ უკვე მთლიანად ქართული პროექტი. მაყურებელთა დღევანდელი მოთხოვნები სრულიად სხვაა. არ შეიძლება კვირა დღეს, როცა ბავშვი ისვენებს, მასწავლებელი დაფასთან იდგეს და ცარცით რაღაცას წერდეს“.

ჩვენი მიზანი უნდა იყოს, შევქმნათ ზოგადი განწყობა, რათა მოსწავლეები ცოდნას დაეწაფონ. ეს განწყობა უნდა გავაღვიძოთ და უარი ვთქვათ მშრალად მიწოდებულ ინფორმაციაზე.

ამ საკითხზე საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ პროდიუსერს მედია-ექსპერტი **ია ანთაძეც** ეთანხმება, რომელიც ცოტა ხნის წინ საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელის პოსტზე კენჭს იყრიდა: „ძველი დროის საკვირაო გადაცემებიდან მკაფიოდ მხოლოდ თამაზ კვაჭანტირაძის გაკვეთილები მახსოვს. მას, რატომღაც, უფროსი თაობის ადამიანები უფრო მეტი ინტერესით უსმენდნენ, ვიდრე აბიტურიენტები. ბუნდოვნად მახსოვს უცხო ენის გაკვეთილები, რომლებიც, არ ვიცი, რამდენად სასარგებლო იყო ვინმესთვის. მე და ჩემს მეგობრებს ამგვარი გაკვეთილებით არაფერი გვისწავლია. დღეს მსგავსი გაკვეთილების ფორმატი უაღრესად სახალისო და მიმზიდველი უნდა იყოს, რაც ძველ გაკვეთილებს ერთმნიშვნელოვნად აკლდა“.

ქართულ ტელესივრცეში სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების პრობლემების ამსახველი გადაცემების დეფიციტიც შეინიშნება. სახელმწიფო ცდილობს, რეგულირებადი გახადოს მასწავლებლის პროფესია. მალე ყველა პედაგოგი ვალდებული იქნება, სერტიფიცირება გაიაროს და სერტიფიკატი მიიღოს. სხვადასხვა შეხვედრაზე მასწავლებლები ხშირად ითხოვენ, განათლების რეფორმაზე მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ. ისინი ტელევიზიებსაც სთხოვენ ერთ-ერთი მედიატორის ფუნქციას განათლების სამინისტროსა და პედაგოგებს შორის.

ია ანთაძე დარწმუნებულია, რომ განათლების რეფორმის არსისა და მიმდინარეობის შესახებ საინტერესოდ მომზადებული გადაცემა ან გადაცემათა ციკლი საზოგადოების დიდ ინტერესს გამოიწვევს: „ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ ამზადებს საზოგადოებრივი მაუწყებელი გადაცემებს განათლების პრობლემებზე და რატომ არ აძლევს პედაგოგებს საშუალებას, უამბონ საზოგადოებას საკუთარი პროფესიული საქმიანობის შესახებ. პირადად მე ასეთი გადაცემის მუდმივი მაყურებელი ვიქნებოდი. მართალია, მისი ფორმატის შემუშავებას პროფესიონალების სერიოზული მუშაობა დასჭირდებოდა, მაგრამ მაყურებლისთვის საინტერესო იქნებოდა ნებისმიერი ფორმატი, თუნდაც – დიალოგი ან დისკუსია სტუდიაში“.



განათლებისა და მეცნიერების ყოფილი მინისტრი, **გია ნოდია** ფიქრობს, რომ გადაცემა, რომელიც მხოლოდ განათლების რეფორმას შეეხება, ნაკლებად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდება. უკეთესი იქნება, თუ მსგავსი გადაცემები განათლების სფეროში არსებული პრობლემების ირგვლივ მომზადდება, რასაც რეფორმის თემა ბუნებრივად მიებმება.

გიორგი ჭანტურია, საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორი, მაყურებელს ჰპირდება, რომ ახალი წლიდან „1 არხზე“ განახლდება საგანმანათლებლო-შემეცნებითი და შემეცნებით-გასართობი გადაცემების ფორმატებიც. მზადდება რამდენიმე ახალი გადაცემა, მათ შორის „ბი-ბი-სის“ ლიცენზირებული და ქართულად ადაპტირებული პროექტები. **Discovery**-ის დოკუმენტურ ფილმებს კი **History Channel**-ისა და სხვა ცნობილი ევროპული ბრენდების შემეცნებითი ფილმებიც დაემატება.

საგანმანათლებლო-შემეცნებითი თოქ-შოუს კარგი მაგალითია „იტალიური ეზო“ საზოგადოებრივ მაუწყებელზე. მისი მიზანი საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ადამიანების სამოქალაქო ინტეგრირების ხელშეწყობა და სახელმწიფოებრივი ერთიანობის გრძნობის გაღრმავებაა. ყოველკვირეულ სატელევიზიო თოქ-შოუში სიუჟეტებს დიდი ადგილი ეთმობა, რაც მას კიდევ უფრო დინამიურს ხდის. სიუჟეტების თემატიკა ეთნიკურად მრავალფეროვანი რეგიონების პრობლემებს, მათი მოგვარების პერსპექტივებს, საერთო ღირებულებებსა და წარმატებული თანაცხოვრების მაგალითებს უკავშირდება. თოქ-შოუში სპეციალურ სტუმრებსაც იწვევენ – საქართველოს არაქართველ მოქალაქეებს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური პროდიუსერის თქმით, საზაფხულო ტაიმ-აუტის შემდეგ „იტალიური ეზო“ ეთერს განახლებული ფორმატით და შეცვლილი სახელწოდებით დაუბრუნდება. ასევე, სხვა სახელითა და ბევრად უფრო მიმზიდველი ფორმატით დაბრუნდება თოქ-შოუ მოზარდებისთვის „კედელი“.

თანამედროვე მოთხოვნების შესაფერისი გადაცემების მომზადებისას უცხოური არხების გამოცდილებაც გასათვალისწინებელია. განვითარებულ ქვეყნებში არა მხოლოდ საგანმანათლებლო გადაცემები, არამედ სპეციალური სასწავლო არხებიც კი არსებობს. განათლებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს უცხოურ არაკომერციულ (საზოგადოებრივ) არხებზე. ამასთანავე, არსებობს სახელგანთქმული შემეცნებითი კომერციული არხებიც – **Discovery, History, National Geographic** და ა.შ. მათი პოპულარობა და რეიტინგი ადასტურებს, რომ შემეცნებითი ხასიათის დოკუმენტურ ფილმებზე მოთხოვნა წლიდან წლამდე იზრდება.

ქართულ ტელესივრცეში საგანმანათლებლო და შემეცნებითი გადაცემების დეფიციტი მაინც საგრძნობია. ცალკეული წარმატებული პროექტები სასურველ ამინდს ვერ ქმნის. კარგია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელები არსებულ პრობლემას ხედავენ და დასახული პრიორიტეტების შესრულებაზე ფიქრობენ. ამ გზაზე მათ საზოგადოების მხარდაჭერა არ მოაკლდებათ.

როცა შენი საქმე გიყვარს

პედაგოგობა რთულიც არის და ადვილიც

მწერალი და მთარგმნელი გიორგი ლობჟანიძე „მასწავლებლის“ სტუმარია. თავის პედაგოგებს სიყვარულში ის კიდევ ერთხელ უტყდება.

ნატო ინგოროყვა

როგორ იხსენებთ სკოლას და მასწავლებლებს? როგორი იყო სკოლა, როცა თქვენ სწავლობდით? როგორ ფიქრობთ, რა შეიცვალა?

ხაშურის I საშუალო სკოლა 1991 წელს დავამთავრე. სხვათაშორის, ბევრი ჩემი თაობელისგან განსხვავებით, რომელთათვისაც სკოლა დიდ ფსიქოლოგიურ სტრესს უკავშირდებოდა, მოწაფეობის წლები, კლასელები და მასწავლებლები ძალიან ტკბილად მახსენდება. არ ვიცი, როგორ მოახერხეს ჩემმა პედაგოგებმა, რომ ჩემთვის, ადამიანისთვის, რომელიც მუდმივად წინააღმდეგობრივი სულითაა გაჟღენთილი და რომელსაც სინამდვილისადმი ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება ბავშვობიდანვე გარკვეული თვითიზოლაციისკენ უბიძგებდა, სკოლაში ნამდვილი ოაზისი, უაღრესად შემოქმედებითი გარემო შეექმნათ. ეს ალბათ სკოლის მაშინდელი დირექტორის, ლია ებანოიძის დამსახურება იყო, მაგრამ სხვა მასწავლებლებიც არანაკლებ ენერგიას ხარჯავდნენ იმისათვის, რომ თავი სრულფასოვან ადამიანებად გვეგრძნო და სწავლისთვის ყველანაირი პირობა გვქონოდა.

არაჩვეულებრივი კლასის ხელმძღვანელი მყავდა – თამარ გაგნიძე, რომელიც ისტორიას გვასწავლიდა და მისი გაკვეთილი მართლაც დღესასწაული, პატარა სპექტაკლი იყო. მასწავლებელი ახერხებდა, რომ მოსწავლეებს თავი გაკვეთილზე კი არა, იმ ისტორიულ გარემოში გვეგრძნო, რომლის შესახებაც გვესაუბრებოდა. როგორც კლასის ხელმძღვანელი, შეუდარებელი იყო: ჩვენი გუნება-განწყობილების უმნიშვნელო ცვლილებასაც კი ყურადღებით აკვირდებოდა და მიზეზებს ტაქტიანად არკვევდა.

ძალიან გამიმართლა ქართულის მასწავლებლებშიც. V-VI კლასებში ქართულს მარინა ციცქიშვილი გვასწავლიდა – უკეთილშობილესი ადამიანი და თავისი საგნის ჩინებულად მცოდნე. VII კლასიდან კი ფატი კურტანიძე გვყავდა, რომელთანაც დღემდე ვმეგობრობ. ის ჩემს უახლოეს ადამიანად მიმაჩნია.

სრულიად განსაკუთრებული თემაა ბიოლოგიის გაკვეთილი და ჩემი უსაყვარლესი მასწავლებელი – მერი ხარაბაძე. ბიოლოგიის კაბინეტში იმდენი მცენარე ყვაოდა, რომ თავი ამაზონიის ჯუნგლებში გეგონებოდა. ამ მცენარეებს ჩვენი მერი მასწავლებელი თავს ევლებოდა და მოწაფეებსაც ბუნების გაფრთხილებასა და სიყვარულს გვასწავლიდა.

ბიოლოგიის კაბინეტში ხელნაწერ ჟურნალს ვაწარმოებდით, რომლის წინა ნომრები, ჩვენი წინამორბედი თაობების შედგენილი, სათუთად

> **წიგნიერებაზე ზრუნვა სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს. მოსწავლემ უნდა დაინახოს, რომ წიგნიერება სათანადოდ ფასდება და დაფასება მატერიალური დოვლათითაც გამოიხატება.**

ინახებოდა ძველისძველ კარადაში. სკოლა, სადაც ვსწავლობდით, ასწლოვანი ტრადიციის იყო და ეს ყველაფერში იგრძნობოდა, განსაკუთრებით კი ბიოლოგიის კაბინეტში ჩანდა. მახსოვს, ერთხელ მერი მაწავლებელმა ჩემს კლასელ გიორგი ბარბაქაძეს უთხრა: შენხელა რომ იყო, მამაშენს მე ვასწავლიდი და შენს შვილსაც მე უნდა ვასწავლოო.

ჩემი მერი მასწავლებელი დღეს სკოლაში აღარ მუშაობს, მაგრამ ცხოვრების, მოწაფეებისა და საქმის სიყვარული უწინდებური შერჩა. მითხრეს, თვალთ დააკლდა და კითხვა უჭირს, მაგრამ შენი დაწერილი არაფრი გამორჩება, ყველაფერს საგანგებოდ უკითხავენო.

ჰუმანიტარული საგნების მასწავლებლები რომ მიყვარდა, ეს რა გასაკვირია. ხაშურის I სკოლაში მათემატიკის, ფიზიკისა და ქიმიის პედაგოგებიც კი ისეთები გვყავდა, რომ ჩემთვის სრულიად უინტერესო რამდენიმე საგანს (ფიზიკის გარდა, ყველა დანარჩენს) სწორედ მათი ხათრით ვსწავლობდი.

მათემატიკის მასწავლებელი გულწრფელად მიყვარდა, როგორც უარესად ლოგიკური, გაწონასწორებული და გონიერი ადამიანი.

სულ სხვა საქმე იყო ფიზიკის გაკვეთილი და ნელი ფცქიალაძე. ჩვენს სკოლას, მგონი, მთელს რაიონში საუკეთესო ფიზიკის ლაბორატორია ჰქონდა, სადაც მუდმივად დიდი ცნობისწადილით ვტრიალებდით და ნაირგვარ ცდებს ვატარებდით. ჩემი ცდები ხშირად აფეთქებებით მთავრდებოდა, მაგრამ სწორედ მათი წყალობით მივხვდი, რომ ექსპერიმენტი შეიძლება ყოველთვის წარმატებით არ დამთავრდეს. გარისკვა კი მაინც ღირს, რადგან ცოდნას მხოლოდ ასე მოიპოვებ.

თინიკო მასწავლებელმა ქიმია ისე კარგად მასწავლა, რომ სკოლის დამთავრებისას სერიოზულად ვფიქრობდი, საბუთები სწორედ ქიმიის ფაკულტეტზე შემეტანა!

სკოლის ნამდვილი კოლორიტი იყო გეოგრაფიის მასწავლებელი – ეკატერინე სვანიძე. კომუნისტურად ნაწრთობი ქალბატონი უქნარა მოწაფეთა ნამდვილ რისხვად ჩანდა, თუმცა თუ ახლოს გაიცნობდი, მიხვდებოდი, როგორ უყვარდა ყველა მოსწავლე. კატო მასწავლებლის შემწეობით, დაფასთან გასული გაწბილებილი არასდროს დარჩებოდი. ნებისმიერი გეოგრაფიული პუნქტის მოსაძებნად, რუკაზე ჯოხი ალალბედზე რომ დაგედო, კატო მასწავლებელი იმდენს გიძახებდა: „ჰოო, ჰოოო, ცოტა ზეითა, ცოტა ქვეითაო“, რომ ბოლოს და ბოლოს დასახელებულ ადგილამდე მაინც მიგიყვანდა. თანაც ამას ისეთი დიდი ტაქტით გააკეთებდა, რომ სრულიად დარწმუნებული დარჩებოდი: ეს გეოგრაფიული პუნქტი სწორედ შენ იპოვე!

როგორც ვიცი, პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევით. რთულია? როგორი სტუდენტობა გვყავს? რამდენად არიან მზად უმაღლესი განათლების მისაღებად და რა მახასიათებლებით გამოირჩევიან?

როგორ გითხრათ, პედაგოგობა რთულიც არის და ადვილიც. უბრალოდ, შენი საქმე ძალიან უნდა გიყვარდეს, რომ დღევანდელ ვითარებაში უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებლობა მოინდომო. სირთულეების მიუხედავად, ბედნიერი ვარ იმით, რომ სწორედ იქ ვარ, სადაც ჩემი თავი წარმომედგინა. სტუდენტებთან ურთიერთობა დიდ სიამოვნებას მანიჭებს და ისეთი სასიცოცხლო ენერგიით მავსებს, რომ ყველანაირი საწუხარი მავიწყდება. თუმცა წლითიწლობით ვგრძნობ, როგორ იჩინა თავი ყველა იმ პრობლემამ, რაც დროთა განმავლობაში სასკოლო განათლების სფეროში დაგვიგროვდა. დღევანდელი სტუდენტობა წიგნს ნაკლებად ეტანება და უფრო ცოდნის პრაქტიკული გამოყენებითაა დაინტერესებული. ვამჩნევ, რომ გარკვეული ნაწილი მხატვრული ლიტერატურის კითხვას დროის ფუჭ კარგვად თვლის. მათ ურჩევნიათ, იმ დროში, რასაც წიგნის წაკითხვას მოახმარდნენ, ისეთი პრაქტიკული რამ ისწავლონ, რაც ყოფაში გამოადგებათ. ეს დამოკიდებულება, როგორც ცხოვრებისადმი თავისებური მიდგომა, ალბათ პრაგმატული ფილოსოფიით იკვებება. ნამდვილი განათლება კი მხოლოდ ყოველდღიურობით არასოდეს შემოიფარგლება.

თქვენ თეირანის უნივერსიტეტში სწავლობდით. რითი განსხვავდება დასავლური განათლების სისტემა აღმოსავლურისგან?

დასავლურ და აღმოსავლურ განათლებას ერთმანეთისგან ასე მკვეთრად არ გავმიჯნავდი. განათლების შეფასების კრიტერიუმი შეიძლება იყოს: ხარისხიანი ან უხარისხო და არა ის, თუ სად გაქვს ეს განათლება მიღებული – აღმოსავლეთში თუ დასავლეთში.

ცხადია, არსებობს ბევრი ფორმალური ნიშანი, რაც დასავლურ და აღმოსავლურ საგანმანათლებლო სისტემებს ერთმანეთისაგან მკვეთრად განასხვავებს. ჩემი დაკვირვებით, აღმოსავლური საგანმანათლებლო სისტემა მოძღვარზე, სულიერ წინამძღოლზე ორიენტირებული სისტემაა.

თეირანის მაგალითზე შეიძლება ერთი რამ ითქვას: აღმოსავლეთმა მოახერხა, ისე შეენარჩუნებინა ტრადიციული საგანმანათლებლო მიდგომები და გამოცდილება, რომ ამას სასწავლო პროცესის თანამედროვე სისტემაში ინტეგრაციისთვის ხელი არ შეეშალა. კარგი იქნება, თუ უმაღლესი განათლების რეფორმირების დღევანდელ ეტაპზე ამ გამოცდილებას აქტიურად გავითვალისწინებთ. საუნივერსიტეტო განათლების მხრივ, საქართველოს ირანზე გაცილებით ძველი ტრადიცია აქვს და ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი ბევრი ნიშნით უსწრებს თეირანის უნივერსიტეტს. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ სხვათა სასიკეთო გამოცდილების შემოქმედებითად გაზიარება მაინც არ გვაწ-

ყენდა. ბევრი პროცესი, რისი მომსწრეც დღეს ვართ ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში, ირანულმა განათლებამ უფრო ადრე და წარმატებით გაიარა.

თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ საქართველოში მიღებული განათლება ხარისხიანი და „პრესტიჟული“ იყოს?

ალბათ უნდა გაგრძელდეს ყველა ის მნიშვნელოვანი რეფორმა, რაც ქართულ საგანმანათლებლო სისტემას თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიოს საგანმანათლებლო სისტემებთან აახლოებს. რეფორმის პროცესი ძალიან მტკივნეული გამოდგა ჩვენი საზოგადოებისათვის, რადგან სწორმა იდეამ „ადგილზე“, ანუ განხორციელებისას უამრავი მახინჯი ტენდენცია გამოააშკარავა.

ხარისხიან განათლებას „უხარისხო“ მასწავლებელი ვერაფრით მოგვცემს. „უხარისხოში“ მაინცდამაინც დისერტაციის დაუცველებს როდი ვგულისხმობ. „ხარისხიანში“ კი, რა თქმა უნდა, ყოველმხრივ განათლებული და თავისი საქმის ჩინებულად მცოდნე ადამიანი იგულისხმება, რომელსაც სტუდენტებთან ურთიერთობის უნარიც მოსდევს. ამიტომაც, პედაგოგთა კონკურსი კადრების მექანიკური შერჩევა კი არა, ხანგრძლივი, გააზრებული და მიზანმიმართული პროცესი უნდა იყოს.

კონკურსებსა და პედაგოგიურ პერსონალზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ფორმალური ნიშნით (სილაბუსებით, კურიკულუმებით, სალექციო-სასემინარო კრედიტებით და ა.შ.) ჩვენი უნივერსიტეტები უკვე დაუახლოვდა მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემას, ხოლო თუ მას მოკლე ხანში ხარისხობრივადაც დავუახლოვდებით, რეფორმის წარმატებაზე საუბარი მხოლოდ მაშინ შეგვეძლება.

გარდა იმისა, რომ თავად ეწევით პედაგოგიურ საქმიანობას, მშობელიც ბრძანდებით. რა პრობლემებს ხედავს დღევანდელ სკოლაში მშობელი გიორგი ლობჟანიძე?

ჩემი შვილი გამორჩეულ სკოლაში – თბილისის I საჯარო სკოლაში სწავლობს. მასწავლებელშიც ძალიან გაგვიმართლა. ქალბატონი ნანა ჭანტურია თავისი საქმისთვის დაბადებული პიროვნებაა.

ამჟამად მომავალი აკრედიტაციისათვის სკოლის მომზადება მიმდინარეობს და ამ პროცესში, როგორც მშობელი, მეც ვარ ჩართული. მასწავლებლებიც, ბავშვებიცა და მშობლებიც აქტიურად ვმუშაობთ იმაზე, თუ რა ნიშა შეიძლება დაიკავოს ჩვენმა სკოლამ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, რა შეიძლება გახდეს ის განმასხვავებელი ნიშანი, რითიც თბილისის I საჯარო სკოლა საინტერესო იქნება იმ მშობლისთვის, რომელსაც სასკოლო ასაკის შვილი ჰყავს. ვფიქრობ, ამ სკოლას უამრავი რამ აქვს შესათავაზებელი, უბრალოდ, აქცენტები სწორად უნდა გაკეთდეს და გადანაწილდეს.

მეჩვენება, რომ დღევანდელი სკოლა სიძნელეებით უფრო დახუნძლულია, ვიდრე ჩემი მოწაფეობისდროინდელი. თუმცა დღეს სწავლა იმის გამო უფრო საინტერესოა, რაც ამ პრობლემათა უმრავლესობას ქმნის: სიახლეები, რომელთა დამკვიდრებაც უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობს.

დღევანდელი სკოლის უმთავრესი პრობლემა მაინც სახელმძღვანელოები მგონია. ერთი მხრივ, სახელმძღვანელოების ბაზარზე გამძაფრებულმა კონკურენციამ მასწავლებელს, საუკეთესოს შერჩევის თვალსაზრისით, დიდი გასაქანი მისცა, მაგრამ არსებობს მეორე მხარე: რამდენად შეესაბამება ეს სახელმძღვანელოები მოსწავლის განვითარების ეტაპებს? იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა ერთი და იგივე ლექსი ბავშვმა მეორე კლასშიც ისწავლა და მესამეშიც, მხოლოდ იმიტომ, რომ სკოლა შეიცვალა და სხვადასხვა მასწავლებელმა სხვადასხვა ავტორის წიგნი შეარჩია.

ზოგადად, მოსწავლის წიგნთან მიბრუნების პრობლემა დგას. რაში ხედავთ გამოსავალს?

სამწუხაროდ, წიგნთან ადამიანი ისე ვეღარასდროს მივა, როგორც ადრე მიდიოდა. ინტერნეტ-სივრცის განვითარებამ ბევრი რამ შეცვალა და მეშინია, ჩვენც იმ ადამიანებს არ დავემსგავსოთ, ვინც თავის დროზე თიხის ფირფიტების ქაღალდით ჩანაცვლებას აპროტესტებდა, ანდა ხელნაწერი წიგნების ნაბეჭდი პროდუქციით შეცვლის დროს წიგნის მიმართ დამოკიდებულების შეცვლაზე საუბრობდა.

ეს აბსოლუტურად სხვა საკითხია. მგონი, წიგნთან მიბრუნების პრობლემა კი არა, წერა-კითხვის გავრცელების პრობლემა გვიდგას. როგორ გგონიათ, მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის რამდენი პროცენტია დღეს წიგნის მკითხველი? შესაბამისი სტატისტიკა რომ ვაწარმოოთ, მერწმუნეთ, შედეგები შემაძრწუნებელი აღმოჩნდება. ქართული საზოგადოების იდეალი, სამწუხაროდ, განათლება და წერა-კითხვა, წიგნიერება აღარ არის.

გამოსავალი კი ის არის, რომ წიგნიერებაზე ზრუნვა სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს. მოსწავლემ უნდა დაინახოს, რომ წიგნიერება სათანადოდ ფასდება და დაფასება მატერიალური დოვლათითაც გამოიხატება. სხვა შემთხვევაში, ისეთი პრაგმატული თაობა წამოვიდა, რომ წიგნის კაცების რიცხვი, სამომავლოდ, ჩვენში კიდევ უფრო შემცირდება.

წარმოიდგინეთ, რომ ამ ჟურნალს თქვენი მასწავლებლებიც წაიკითხავენ, რას ეტყოდით მათ და რას ეტყვით თანამედროვე მასწავლებლებს?

ყველანი მიყვარხართ. მაპატიეთ, თუ ოდესმე რამე გაწყენინეთ.

სკოლა და ისტორიული შენობები

როდესაც ჩვენი წინაპრები, გიმნაზიებსა და პანსიონებს აშენებდნენ, ამ საქმეს საუკეთესო არქიტექტორებს ანდობდნენ და სასწავლებლებში ამაღლებული განწყობის შექმნას ცდილობდნენ. მაღალი ჭერი, ნათელი ოთახები, გაშლილი სივრცე, ექსტერიერისა და ინტერიერის ჩუქურთმები და ბარელიეფები, მოზაიკური იატაკი, ბუხრები და კედლის ღუმელები, მარმარილოს კიბეები, აივნები, განთებული ჰოლი და დერეფნები... ასეთ შენობაში დღეს თბილისში 12 სკოლაა განთავსებული. ეს შენობები, დღეს, დედაქალაქის დაცულ ძეგლთა ნუსხაშია შეტანილი.

ბელა ჩეკურიშვილი

მოსწავლეები მუდმივად გრძნობენ, როგორ შენობაში უწევთ განათლების მიღება. ამას წერენ სასკოლო თხზულებებშიც, აღნიშნავენ პირად საუბრებშიც...

რუსთაველის გამზირზე მდებარე პირველი საჯარო სკოლა მე-19 საუკუნის 30-იან წლებში რუსული კლასიცისტური სტილით აშენდა, 1870 წელს კი შვედმა არქიტექტორმა, ოტო სიმონსონმა იგი ოთხსართულიან შენობად გადააკეთა. ისტორიულ შენობებშია განთავსებული: 23-ე სკოლა უზნაძის 59-ში, 27-ე სკოლა აღმაშენებლის 170-ში, 30-ე სკოლა კიევის 4-ში, 46-ე სკოლა ჩუბინაშვილის 49-ში, 63-ე სკოლა უზნაძის 109-ში, 202-ე სკოლა გუთნის 6-ში, 43-ე სკოლა ასათიანის 50-ში, 49-ე სკოლა ბარნოვის 10-ში, 58-ე სკოლა ასათიანის 28-ში, 50-ე

სკოლა ქიქოძის 4-ში, 68-ე სკოლა ათონელის 27-ში.

კეთილშობილ ქალთა გერმანული პანსიონი

58-ე სკოლას, მისი არქიტექტურული სტილის გამო, ჰარი პოტერის სკოლას უწოდებენ: შენობა ნეოგოთურ სტილშია აგებული და აგურით მოპირკეთებული მისი ფასადი იდუმალიცაა და აღტაცებასაც იწვევს.

სკოლა 1893 წელს აშენდა. იგი თბილისის კეთილშობილ ქალთა გერმანული პანსიონი გახლდათ. ეს პანსიონი გერმანულენოვანი სასწავლებელი იყო და მასში განთავსებული სამლოცველოც ლუთერანული ეკლესიის ტრადიციას აგრძელებდა. ის სასწავლებლის მეორე სართულზე მდებარეობდა. მასწავლებლები იხსენებენ, რომ ამ შენობაში ორღანი გასული საუკუნის 70-იან წლებშიც კი ხელუხლებლად იდგა. პირველი მსოფლიო ომის დროს ლუთერანული ტაძარი რუს ეგზარხოსს მართლმადიდებლურად გადაუკეთებია. ყოფილი სამლოცველო კი, დღეს, სკოლის საკონცერტო დარბაზის ფუნქციას ასრულებს.

სასწავლებელში ლაზარეთი რამდენჯერმე განუთავსებიათ: ჯერ პირველი მსოფლიო ომის დროს, შემდეგ მეორე მსოფლიო ომის წლებში. 2008 წლის აგვისტოში სკოლამ დევნილებიც შეიფარა: 175 დევნილიდან 2 ოჯახი დღესაც ამ შენობაში ცხოვრობს.

საბჭოთა პერიოდში იგი რუსულენოვანი იყო და 66-ე საშუალო სკოლის სახელით ფუნქციონირებდა. 2007 წელს კი, ოპტიმიზაციის შედეგად, მას 58-ე ქართული სკოლა შემოუერთდა – დღეს ის სწორედ ამ უკანასკნელის სახელით განაგრძობს არსებობას..

მოძალევსკის გიმნაზია

1873 წელს პოლონელმა პედაგოგმა, ლევ მოძალევსკიმ თბილისში ქალთა პრო-გიმნაზია გახსნა, რომლის დირექტორად 1876 წლამდე თავად მუშაობდა. უცნობია, სად მდებარეობდა თავდაპირველად ეს გიმნაზია, 1902 წელს კი მისმა ხელმძღვანელობამ ახლანდელი უზნაძის 59 ნომერში სასწავლებლისთვის ახალი შენობის აგება გადაწყვიტა. საშენი მასალა პოლონეთიდან ჩამოიტანეს.

აქ დღემდე შემორჩა საკონცერტო დარბაზი, ექვსმეტრიანი ჭერით, ბარელიეფებით მორთული კედლებით და ორი უზარმაზარი ჭაღით.

სკოლის ბიბლიოთეკაში უნიკალური წიგნების ნახვა შეგიძლიათ. აქ ინახება მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყიში გამოცემული ლექსიკონები, ენციკლოპედიები, გეოგრაფიული ლიტერატურა.

კომუნისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ ამ შენობაში რა ტიპის სასწავლებელი აღარ ყოფილა: შრომის სკოლა, საცდელ-საჩვენებელი შრომის სკოლა, მუშა-ახალგაზრდების სასწავლებლი, ტექნიკური სასწავლებელი.მოგვიანებით მას ილია ჭავჭავაძის სახელი მიენიჭა, რითიც აქ განსკუთრებით ამაყობენ...

1919-28 წლებში მისი დირექტორი დიმიტრი უზნაძე ყოფილა, შემდეგ კი – გიორგი ახვლედიანი. პედაგოგებად სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: ია კარგარეთელი, ივანე გიგინეიშვილი, ნიკო კეცხოველი, დავით ლორთქიფანიძე.

გრაფის სასახლე

ბარნოვის ქუჩის 10 ნომერში მდებარე 49-ე სკოლის შენობა, სამსართულიანი ულამაზესი სასახლე გენერალმა, გრაფმა ვლადიმერ ლევანდოვსკიმ 1903 წელს იმ გიმნაზიისთვის ააშენებინა, რომელიც პეროვსკაიას (ახლანდელი ახვლედიანის) ქუჩაზე თავად გაეხსნა.

გრაფი თვითონაც ამ სასახლეში ცხოვრობდა და რევოლუციამაც აქვე მოუსწრო. აღნიშნულ შენობაში ჯერ შრომის სკოლა, მერე კი რუსული სკოლა გაუხსნიათ, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მე-9 რუსულ ვაჟთა სკოლად გადაუკეთებიათ. 2006 წლიდან აქ 49-ე საჯარო სკოლა ფუნქციონირებს.

ძველი სასახლიდან გარე ფასადი და ინტერიერის ნაწილებია შემორჩენილი: თაღები, ბუხრები, კიბე...

გიმნაზიის ერთ-ერთი პირველი კურსდამთავრებული ცნობილი ავიაკონსტრუქტორი, იგორ სიკორსკი გახლდათ. მისი ოჯახი საქართველოში კიევიდან გადმოსახლებულა. საბურთალოს მინდვრებზე პირველი აეროპლანი სწორედ ამ კაცს გაუშვია. სიკორსკიმ 1910 წელს დაამთავრა ლევანდოვსკის გიმნაზია, სადაც მასწავლებლად მისი ბიძა მუშაობდა. ეს უკანასკნელი 37 წლის რეპრესიებს ემსხვერპლა.

იქ, სადაც ტიტანები ოხრავენ

უზნაძის 109-ში მდებარე 63-ე სკოლა 1862 წელს აშენებულა და მას საცხოვრებელი სახლის ფუნქცია ჰქონია. ამ შენობას ზუსტად ისეთივე ფასადი აქვს, როგორიც აღმაშენებლის გამზირზე მდებარე პოლიციის ცნობილ შენობას – თაღებითა და მხრებში მოხრილი ტიტანებით.

ექსტერიერიდან აღარაფერია შემორჩენილი. ერთ დროს ღია აივნები დღეს შუშაბანდებადაა ქცეული, ფლიგელი კი კომუნისტებს 1976-78 წლებში მიუშენებიათ. შენობა სამსართულიანია, 4,20 მ სიმაღლის ჭერით და 24 საკლასო ოთახით.

2002 წელს მიწისძვრამ ეს შენობა სერიოზულად დააზიანა. 2003 წელს იგი რკინის არმატურით შეიკრა და საფუძვლიანად გამაგრდა.

მანთაშოვის სავაჭრო სკოლა

ასათიანის ქუჩის 50 ნომერში, სადაც ახლა ტიციან ტაბიძის სახელობის 43-ე საჯარო სკოლაა, 1911 წელს თბილისელმა ნავთობის მაგნატმა, მეცენატმა ალექსანდრე მანთაშოვმა მე-3 გილდიის ვაჭართა სასწავლებელი გახსნა. ამბობენ, საძირკველიც თავისი ხელით გაჭრაო. მანთაშოვი 1911 წელს გარდაიცვალა და სკოლის გახსნას ვერ მოესწრო. აქ მისი ბიუსტი დაუდგამთ, რომელიც 1922 წლამდე მდგარა.

ეს სკოლა 1915 წელს თბილისში ჩამოსულ ნიკოლოზ II-საც მოუნახულებია, რაც სწორედ მის მნიშვნელობაზე მიუთითებს.

ძველი დროიდან შემორჩენილია საკონცერტო დარბაზი ხუთმეტრიანი ჭერით, რითაც სკოლა დიდად ამაყობს, ისევე როგორც თავისი კურსდამთავრებულებით. მიქაელ ტარივერდიევის სახელი ყველასთვის კარგად არის ცნობილი, ისეთი პოპულარული ფილმების წყალობით, როგორიცაა: „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“, „ბედის ირონია“. მან 132 კინოფილმისთვის აქვს მუსიკა დაწერილი, გარდა ამისა, იგი ოთხი ბალეტის, ოთხი ოპერის, საორღანო ნაწარმოებების ავტორია. ტარივერდიევმა 43-ე სკოლას ჰიმნიც დაუწერა.

დღეს მსოფლიოს მრავალ ქალაქში არსებობს კლუბი „43-ე“, რომლის წევრებიც ამ სკოლის ყოფილი მოსწავლეები არიან და თავშეყრის დღეც აქვთ დათქმული.

ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის ისტორია

სოლოლაკში, ქიქოძის ქუჩის 4 ნომერში მდებარე 50-ე საჯარო სკოლის შენობა, ხელოვნებათმცოდნეთა შეფასებით, მაღალი მხატვრული ღირებულების მქონე, მოდერნის სტილის ნაგებობას წარმოადგენს.

ეს სამსართულიანი, ულამაზესი შენობა მოქალაქე ხარაზოვის საცხოვრებელი სახლი ყოფილა. 1923 წელს აქ სათავადაზნაურო გიმნაზიის ნანგრევებზე შექმნილი მე-14 შრომის სკოლა განუთავსებიათ. ეს ის სათავადაზნაურო გიმნაზიაა, რომლის დაარსებისთვის მე-19 საუკუნის მიწურულს ილია ჭავჭავაძემ და ქართველმა მოღვაწეებმა ყველაფერი გააკეთეს. იმ დროს ხომ კლასიკურ გიმნაზიებსა და სხვა სასწავლებლებში სასწავლო პროცესი რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.

სკოლის ისტორიას მოგვითხრობს რეჟისორ **გიორგი უშანგიშვილის** ფილმი „ქართული გიმნაზიის დაკარგული ისტორია“, რომელიც მასალების მოძიებაში დიდად დაგვეხმარა.

ქართული გიმნაზიისთვის თანხა ატენის ხეობის მფლობელს, თავად გიორგი ერისთავს გაუღია და 1879 წელს კუკიის უბანში შენობაც დაუქირავებია. ამ გიმნაზიაში მოღვაწეობდნენ: კონსტანტინე მამაცაშვილი, იაკობ გოგებაშილი, ნიკო ცხვედაძე. გიმნაზიას ხშირად სტუმრობდა ილია ჭავჭავაძე. სასწავლებელს საკუთარი შენობა არ ჰქონია და წლების მანძილზე სხვადასხვა შენობაში ფუნქციონირებდა. მშენებლობა 1897 წელს დაუწყიათ ვარაზის ხევში – სწორედ იმ შენობის, რომელიც ახლა უნივერსიტეტის პირველი კორპუსია..

გიმნაზიაში ასწავლიდნენ: კოტე მაყაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, აკაკი შანიძე, ლეო ქიაჩელი, ზაქარია ფალიაშვილი. მისი კურსდამთავრებულები იყვნენ: ნიკო კეცხოველი, ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ მუხაძე, ვასო გოძიაშვილი, ევგენი ხარაძე, ირაკლი თოიძე, ვანო სარაჯიშვილი, სოლიკო ვირსალაძე. გიმნაზიას თურმე ხშირად სტუმრობდა მეფისნაცვალი, რათა ვანო სარაჯიშვილის სიმღერისთვის მოესმინა.

1918 წელს გიმნაზიის შენობა უნივერსიტეტს გადაეცა, 1923 წელს კი მისი ნაწილი ტექნიკურ სასწავლებლად ჩამოყალიბდა, ნაწილი კი მასწავლებლებით, მოსწავლეებით და ინვენტარით იმ შენობაში გადავიდა, სადაც ახლა 50-ე სკოლაა განთავსებული. მას მე-14 შრომის სკოლა დაარქვეს. იმდროინდელი პედაგოგიური საბჭოს ოქმში წერია, რომ მე-14 სკოლა ქართული გიმნაზიის ნანგრევებზე შეიქმნა.

მოგვიანებით მე-14 შრომის სკოლა ვაჟთა მეორე გიმნაზიად იქცა, მერე – 39-ე სკოლად და მე-3 ექპერიმენტალურად, დღეს კი ის 50-ე საჯარო სკოლის სახელით ფუნქციონირებს.

1989 წელს ეს შენობა მიწისძვრამ სერიოზულად დააზიანა. მის აღსადგენად საჭირო თანხა ქალაქის ავტოინსპექციის მაშინდელმა უფროსმა, ლევან კენჭაძემ გაიღო. ფუნდამენტი გამყარდა, მესამე სართული და შემოსასვლელი გარემონტდა. ამჟამად აღდგენილი და განახლებული სასახლე საგანმანათლებლო საქმეს იმ ტრადიციით აგრძელებს, რომელსაც საფუძველი პირველი ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის დამფუძნებლებმა ჩაუყარეს.

სამოქალაქო განათლება და ეკოლოგია

რა უნდა ვიცოდეთ გლობალური დათბობის შესახებ

გლობალური დათბობის ფენომენი და მისი ეფექტების თავიდან აცილების გზები დღეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხებია თანამედროვე მსოფლიოსთვის. ამ პრობლემის გადაჭრას თითეული ადამიანის ძალისხმევა სჭირდება. მომავალი თაობებისთვის პრობლემის რეალურად ჩვენება კი, პირველ რიგში, მასწავლებლების მოვალეობაა. შეგიძლიათ გლობალური დათბობის თემაზე ინტეგრირებული გაკვეთილებიც დაგეგმოთ ისეთი დისციპლინების სინთეზით, როგორიცაა: ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია, ფიზიკა, ისტორია და ასტრონომია.

ნინო ლაღიძე

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი (CENN)

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება, ადამიანი და გარემოა. ამ მიმართულების მეშვეობით მოსწავლეები სამოქალაქო განათლების უნარ-ჩვევებს იძენენ და უყალიბდებათ პასუხისმგებლობა გარემოს დაცვის საქმეში.

გლობალური დათბობა დედამიწის ზედაპირის საშუალო ტემპერატურის მატებაა, რომელიც ატმოსფეროში სითბური აირების დაგროვებით არის გამოწვეული. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან სამრეწველო ობიექტებისა და ტრანსპორტის სიმრავლის, ურბანიზაციის მზარდი ტემპის შედეგად თითქმის შეუძლებელი გახადა ატმოსფეროს ქიმიური შემადგენლობის კონტროლი. ქლოროფილშემცველი ნახშირწყლების (კარბონატები) დონის მატების შედეგად კი ოზონის შრესთან დაკავშირებული პრობლემები გაჩნდა.

მეცნიერული კვლევებით დამტკიცდა, რომ გამონაბოლქვი (ემისიები), რომელიც ინდუსტრიული საქმიანობისა და ტრანსპორტის საწვავის წვის შედეგად გამოიყოფა, ყველაზე მეტად მოქმედებს ტემპერატურის ზრდის პროცესზე. დედამიწის ზედაპირიდან არეკლილი გაზების მიერ ინფრაწითელი გამოსხივების დაჭერის შედეგად დედამიწის ზედაპირის გათბობის პროცესს „სათბურის ეფექტს“ უწოდებენ.

დედამიწა უწყვეტად იღებს ენერგიას მზის გამოსხივების სახით. ის ამ ენერგიის 30%-ს ირეკლავს, 70%-ს კი შთანთქავს, რაც ხმელეთის, ატმოსფეროს და ოკეანის გაცხელებას იწვევს. თავის მხრივ, ცხელი სხეულები თბურ ენერგიას ასხივებს. დედამიწის ტემპერატურის სტაბილურობა მის მიერ მზის გამოსხივების შთანთქმასა და თბური ენერგიის გამოსხივებას შორის დამყარებული ზუსტი ბალანსით აიხსნება. მზის ხილულ გამოსხივებას ძირითადად დედამიწის ზედაპირი შთანთქავს. ინფრაწითელ სხივებს კი კოსმოსში ატმოსფეროს ზედა ფენები ირეკლავს. ამის მიზეზი ისაა, რომ დედამიწის ზედაპირის მიერ გამოსხივებული ინფრაწითელი ფოტონების უდიდეს ნაწილს ატმოსფეროში არსებული სათბურის აირები და ღრუბლები „იჭერს“ და ისინი კოსმოსში მხოლოდ ამ უკანასკნელთა მიერ ხელახალი გამოსხივების შედეგად ხვდება. გამთბარი ატმოსფეროს გამოსხივების ნაწილი კვლავ დედამიწის ზედაპირს უბრუნდება და უფრო მეტად ათბობს მას.



ატმოსფეროს იმ კომპონენტებს (აირებს), რომლებიც თბურ (ინფრაწითელ) გამოსხივებას იჭერს, „სათბურის აირებს“ უწოდებენ. სათბურის აირები (ინგლ. Greenhouse gases,) ატმოსფეროს კომპონენტებია, რომლებიც ატმოსფეროს სათბურის ეფექტს განაპირობებს. ზოგიერთი ასეთი აირი ბუნებრივად ჩნდება, სხვები კი ადამიანის საქმიანობის შედეგია, მაგალითად, წიაღისეული საწვავის წვით (ქვანახშირი, ნავთობი, მისთ.) მიიღება. სათბურის აირები შეიცავს წყლის ორთქლს, ნახშიროჟანგს, მეთანს, აზოტის ჟანგსა და ოზონს. დედამიწის ატმოსფერო ძირითადად ჟანგბადის და აზოტის აირებისგან შედგება, რომლებიც სათბურის აირებს არ განეკუთვნება. სათბურის ეფექტს სხვა დანამატები იწვევს. თბური გამოსხივების ძირითადი შთანმთქმელები დედამიწის ატმოსფეროში არიან: წყლის ორთქლი, ნახშიროჟანგი და ოზონი. მნიშვნელოვანი შთანთქმის უნარი აქვთ აგრეთვე მეთანს, აზოტის ჟანგს და ქლორფტორ ნახშირწყალბადებს, თუმცა ატმოსფეროში მათი კონცენტრაცია ნაკლებია.

ატმოსფეროს მიერ თბური გამოსხივების შთანთქმის უნარი მასში სათბურის აირების კონცენტრაციაზეა დამოკიდებული. რაც მეტია კონცენტრაცია, მით მეტ სითბოს იჭერს იგი და მით მაღლა იწევს დედამიწის ზედაპირის და ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურა. თავის მხრივ, ატმოსფეროში სათბურის აირების კონცენტრაცია დედამიწის ზედაპირის ტემპერატურაზეა დამოკიდებული: რაც მეტია ტემპერატურა, მით მეტია კონცენტრაცია. ეს ნიშნავს, რომ ატმოსფეროში სათბურის აირების კონცენტრაციასა და ატმოსფეროს ტემპერატურას შორის დადებითი უკუკავშირი არსებობს. თუ იგი საკმარისად ძლიერი აღმოჩნდა, იქმნება ე.წ. „ზვავური ეფექტის“ საშიშროება, ანუ სათბური აირების კონცენტრაციის შედარებით მცირე ცვლილებამ შეიძლება ურთიერთგამაძლიერებელ მოვლენათა ჯაჭვი გამოიწვიოს, რომლის შეჩერება უკვე შეუძლებელი იქნება. მკვლევართა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მოვლენათა ასეთი განვითარების შედეგად ტემპერატურა დედამიწაზე მნიშვნელოვნად გაიზრდება. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ მოვლენები შესაძლოა სულ სხვაგვარად განვითარდეს და ზვავურმა ეფექტმა არა გლობალური დათბობა, არამედ გლობალური გამყინვარება გამოიწვიოს.

ბოლო საუკუნის განმავლობაში ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურა დედამიწის ზედაპირზე 0.74 +0.18°C° ით გაიზარდა. კლიმატის ცვლილების სამთავრობათშორისო ჯგუფის (IPCC) დასკვნით, „დედამიწის ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის ზრდა მე-20 საუკუნის შუა წლებიდან, სავარაუდოდ, განპირობებულია ანთროპოგენური (ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი) სათბურის აირების კონცენტრაციის ზრდით, რომლის შედეგადაც ატმოსფეროს სათბურის ეფექტი ძლიერდება, რაც დედამიწის ქერქისა და ქვემო ატმოსფეროს გახურებას იწვევს. 21-ე საუკუნეში საშუალო ტემპერატურის 1,1-6,4° ცელსიუსით ზრდაა მოსალოდნელი. სათბური აირების კონცენტრაციის მატების შეჩერების შემთხვევაშიც კი, დათბობა კიდევ ათას წელს გაგრძელდება. მხოლოდ ამის შემდეგ არის მოსალოდნელი დარღვეული წონასწორობის აღდგენა და სტაბილური საშუალო ტემპერატურის მიღწევა.

ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის ზრდა ზღვის დონის აწევას გამოიწვევს. გაიზრდება კატასტროფული მოვლენების სიხშირე და სიმძლავრე, შეიცვლება ნალექების რაოდენობა და განაწილება. შეიცვლება აგრეთვე სოფლის მეურნეობის მოსავლიანობა, გადაშენდება ცოცხალი ორგანიზმების ზოგიერთი სახეობა, გაიზრდება დაავადებათა რიცხვი.

1800 წლიდან ნახშიროჟანგის კონცენტრაციის მკვეთრი მატება აღინიშნება. თუ მოცემულ გრაფიკს დედამიწის გლობალური ტემპერატურის ზრდის გრაფიკს შევადარებთ, ზრდა ნახშიროჟანგის კონცენტრაციის მატების ანალოგიური იქნება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ნახშიროჟანგი უშუალოდ ზემოქმედებს ტემპერატურაზე და კლიმატსაც ცვლის. ბოლო 20 წლის განმავლობაში ჩვენს პლანეტაზე განსაკუთრებით ცხელი ზაფხული დაფიქსირდა.

ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სამეცნიერო კვლევად ატმოსფეროში ნახშიროჟანგის კონცენტრაციის გაზომვა ითვლება. უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც მას ჰავაის კუნძულებზე არსებული ატმოსფეროს შემადგენლობის კვლევითი საერთაშორისო ლაბორატორია ახორციელებს. კვლევის შედეგები ზედმიწევნით აღირიცხება და მუშავდება. მონაცემების მიხედვით, ნახშიროჟანგის კონცენტრაციის მკვეთრი ზრდა 1958 წლიდან აღინიშნება და უკანასკნელ ათწლეულში ის ყველაზე მაღალია.

ნახშიროჟანგის ის კონცენტრაცია, რომელიც დღეს არსებობს ატმოსფეროში, ადამიანის 100-წლიანი და უფრო მეტი წლის საქმიანობის შედეგია. მას ხელის ერთი მოსმით ვერ დავარეგულირებთ. თუმცა, თუ თითოეულმა ჩვენგანმა მიზნად დაისახა ამ პრობლემის გადაჭრაში უშუალო მონაწილეობა, მაშინ მარტივი ქმედებებით შევძლებთ, მნიშვნელოვნად შევცვალოთ ჩვენი მომავალი და იგი უფრო უსაფრთხო გავხადოთ.

საჭიროა, თითოეულმა ჩვენგანმა კარგად გაიაზროს ეს საკითხი და მისი გადაჭრის პროცესშიც მიიღოს მონაწილეობა. ასევე გასათვალისწინებელია ის, რომ აღნიშნული პრობლემა მხოლოდ ერთი მეთოდით ვერ გადაიჭრება. აუცილებელია მეთოდების კომბინირებული გამოყენება.

სურათებზე მოცემულია ის მარტივი ქმედებები, რომელთა განხორციელებაც ყოველ ჩვენგანს ყოველდღიურ ცხოვრებაში შეუძლია. აღნიშნული ქმედებებით მნიშვნელოვნად შევამცირებთ ადამიანის უარყოფით ზემოქმედებას ბუნებაზე, დავზოგავთ რესურსებს და სასიკეთოდ შევცვლით მომავალს.



განათლების მეცენატები

საქართველოში ყოველთვის არსებობდნენ მოქალაქეობრივი პოზიციით გამორჩეული მეცენატები, რომელთა საქველმოქმედო საქმეებიც ჩვენი ისტორიის განუყოფელ ნაწილად იქცა. ამის მაგალითს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ წარმოადგენს, მას დიდი წვლილი მიუძღვის განათლების სისტემის ჩამოყალიბება-განვითარებაში..

ირმა კახურაშვილი

ფასდაუდებელი გამოდგა ის წვლილი, რომელიც ქართველმა მეცენატებმა – სარაჯიშვილებმა, ზუბალაშვილებმა და სხვებმა ერის განათლებაში შეიტანეს. სტეფანე, პეტრე და იაკობ ზუბალაშვილებმა ააშენეს თბილისის ქართული თეატრი, თავადაზნაურთა გიმნაზია, კათოლიკური ტაძარი ბათუმში, ეკლესიები ქუთაისში, გორსა და ახალციხეში. ბევრ ახალგაზრდას „ზუბალაშვილების სტიპენდია“ დაენიშნა და შესაძლებლობა მიეცა, განათლება რუსეთსა და ევროპაში მიეღო.

მხოლოდ 1902-1903 წლებში, სტეფანე ზუბალაშვილის დაფინანსებით, 20-ზე მეტი ქართული წიგნი გამოიცა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებულ სათავადაზნაურო ბანკში პირველი შენატანიც მას ეკუთვნის. 5 ათასი ოქროს გაღებით მანვე იხსნა დახურვის პირას მყოფი „ივერია“. ზუბალაშვილების ხარჯით გამოდიოდა საბავშვო ჟურნალი „ჯეჯილიც“.

განათლების განვითარებას უკავშირდება დავით სარაჯიშვილის სახელიც. მას ხშირად მიმართავდნენ თეატრის, მუზეუმების, საგამომცემლო საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერისთვის, უნივერსიტეტის მშენებლობის ხელშესაწყობად თუ სტუდენტების სტიპენდიების თაობაზე. დავით სარაჯიშვილის დახმარებით რუსეთსა და უცხოეთში განათლება მიიღეს დიმიტრი არაყიშვილმა, მელიტონ ბალანჩივაძემ, ია კარგარეთელმა, გიგო გაბაშვილმა, მოსე თოიძემ, იაკობ ნიკოლაძემ და სხვებმა.

განათლების სფეროში მეცენატობის ტრადიცია არც მომდევნო საუკუნეებში გამქრალა, თუმცა განათლებაზე ორიენტირებული ბევრი მეცენატის ვინაობა ჩრდილში დარჩა. ჟურნალმა „მასწავლებელმა“ ასეთი პიროვნებების მოძიება სასწავლო დაწესებულებებში, კერძოდ კი, თბილისის საჯარო სკოლებში გადაწყვიტა.

ლელა წიქარიშვილი, *თბილისის პირველი საჯარო სკოლის დირექტორი:*

„ახალი სკოლის შენობა 1995 წელს გაიხსნა. აღდგა სკოლის ბიბლიოთეკა, მუზეუმი, ასევე სკოლის შენობაში მოქმედი ივერიის ღვთისმშობლის ტაძარი. სამწუხაროდ, თბილისის ომმა სკოლის ისტორიული ინვენტარი, უძვირფასესი თვალსაჩინოებები, ანტიკვარული ავეჯი და სხვა ნივთები ისე შეიწირა, რომ მათი აღდგენა ვეღარ მოხერხდა. მეცენატობა სკოლას ბიძინა ივანიშვილმაც გაუწია, რომელიც მისი კურსდამთავრებული არ ყოფილა. მან განათლების სფეროსადმი თავისი დამოკიდებულება

ასეთი სახით გამოავლინა. „ქართუ-ჯგუფი“ ჩვენს სკოლას მუზეუმის კეთილმოწყობაში დაეხმარა. სკოლამ მოახერხა, მოეძია და საექსპოზიციოდ მოემზადებინა უნიკალური ფოტომასალა. ახლა მუზეუმში, ისტორიულ-ქრონოლოგიური სტილით, დასაკიდი და დასადგამი თანამედროვე სტენდებია განთავსებული, რამაც იქაურობას ნამდვილი სამუზეუმო იერი მისცა. იმისათვის, რომ მომავალ თაობებს სცოდნოდათ, ვინ იზრუნა სკოლაზე, მუზეუმის კართან პატარა მემორიალური დაფა ჩამოვკიდეთ“.

საინტერესოა, რომ სკოლის ბიბლიოთეკა, რომელიც სხვა სასწავლებლებისთვისაც სამაგალითო უნდა იყოს, ყოფილმა მოსწავლემ, ამჟამად ამერიკაში მცხოვრებმა ნინო ჯაფარიძემ გაამდიდრა. ინგლისურენოვანი დარგობრივი წიგნების ნაწილი მან საჯარო ბიბლიოთეკასაც გადასცა.

მშობლიური სკოლა არც მათ დაივიწყეს, ვინც მის კედლებს არცთუ შორეულ წარსულში დაემშვიდობნენ და დღეს ხელისუფლების სათავეში არიან. მაგალითად, სკოლის კურსდამთავრებულმა, ქალაქის ამჟამინდელმა მერმა, გიგი უგულავამ, საპირველსექტემბროდ სკოლას ვიდეო-პროექტორი უსახსოვრა.

სკოლის კურსდამთავრებული, მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატი, არჩილ გეგენავა სააქტო დარბაზში სცენის დამონტაჟებაში დაეხმარათ. საქმე ისაა, რომ სწორედ აქ, გიმნაზიის კედლებში, 1850 წელს, პირველად დაიდგა ამავე სკოლის ყოფილი მოსწავლის – გიორგი ერისთავის პიესა „გაყრა“.

გიორგი კაშია, *თბილისის 53-ე საჯარო სკოლის დირექტორი:* „საზოგადოება სკოლაზე უნდა ზრუნავდეს. ამ მხრივ ჩვენს სკოლას გაუმართლა. შარშან მისი რეკონსტრუქცია მოხდა, მშობლების დახმარებით კი საკლასო ოთახების ინფრასტრუქტურა შეიცვალა – ზამთრის სამოსისთვის განკუთვნილი კარადები სწორედ მათი შემოწირულობით გაკეთდა. კედლები სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა მოგვიხატეს – ჭიშკართან, სასადილოში, სპორტულ მოედანთან. საღებავის უკმარისობის კრიტიკულ მომენტში კი, მოულოდნელად, ერთ-ერთმა მშობელმა – ანტონ საღლიანმა სკოლას 1300 ლარი შემოსწირა. ამ თანხას სკოლის სახსრებიც დაემატა და სააქტო დარბაზისთვის ხმის გამაძლიერებელი აპარატურა შევიძინეთ. ასეთივე დახმარება გაგვიწიეს მშობლებმა, გიორგი თაბაგარმა და ლერი მეტრეველმა“.

გიორგი კაშია იხსენებს, რომ ბიბლიოთეკის ინდივიდუალური პროექტის შესრულებაში სკოლას უანგაროდ დაეხმარა სამშენებლო ფირმა „ახალი მთვარე“ (ხემლძღვანელი ზაზა ნიორაძე).

მძიმე 90-იან წლებში 53-ე სკოლას საწვავით არაერთხელ დახმარებიან კერძო პირები, მათ შორის ამ სკოლის კურსდამთავრებული, ამჟამინდელი ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში გია ხუხაშვილი.

ნინო ტაბატაძე, *თბილისის 170-ე საჯარო სკოლის დირექტორი:* „საზოგადოება სკოლისგან ყოველთვის რაღაცას ელოდება, მაგრამ თვითონ ნაკლებად ითვალისწინებს მის საჭიროებებს. ჩემი აზრით, ყველაზე მეტად მშობელი უნდა იყოს დაინტერესებული იმ უსაფრთხო და კეთილსაიმედო გარემოთი, სადაც მისი შვილი სწავლობს. 2006 წელს სკოლა თურქეთის საერთაშორისო დახმარების ადმინისტრაციის ფონდმა გაგვირემონტა. ჩვენი კურსდამთავრებულების თანადგომა უფრო ყოფილი მასწავლებლების მოკითხვით, ნოსტალგიით გამოიხატება. ჩვენი კურსდამთავრებული, ჩაფიძის სახელობის კლინიკის ექიმი-კარდიოლოგი, არჩილ ჩუხრუკიძე კი ყოფილ პედაგოგებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს უანგაროდ უგვარებს“.

სხვადასხვა დროს სკოლას ერთჯერადი, მაგრამ მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს მისმა ყოფილმა მოსწავლეებმა, ამჟამად ამერიკის მოქალაქეებმა, კოტე ლომიძემ და გოგი მორალიშვილმა.

170-ე სკოლაში გაგვიმხილეს: აქაური მოსწავლეები რადიოკვანძის გაკეთებაზე ოცნებობენ და მათ იმედი აქვთ, რომ ამ საქმის ბოლომდე მიყვანაში, ჟურნალ „მასწავლებლის“ წაკითხვის შემდეგ, რომელიმე ქველმოქმედი დაეხმარებათ...

ქველმოქმედების ყველაზე თვალსაჩინო და მართლაც სამაგალითო შემთხვევა თბილისის 67-ე საჯარო სკოლაში ავღმოვაჩინეთ. გასული საუკუნის დასაწყისში ეს სკოლა ქართველი ებრაელების შემოწირულობებით აშენდა და დღემდე არაერთი თაობა გამოზარდა. სკოლის სიყვარული ბევრ კურსდამთავრებულს შემორჩა, მათ შორის გია როკეტლიშვილსაც, რომელიც ამჟამად ისრაელის მოქალექეა, მოსკოვში კი ერთ-ერთ უმსხვილეს სააუდიტო კომპანიას ფლობს. უკვე ერთი წელია, რაც ბატონი გია ბავშვებსა და პედაგოგებს სრულიად უანგაროდ ეხმარება.

გიორგი ანჯაფარიძე, *67-ე საჯარო სკოლის დირექტორი:* „გია როკეტლიშვილი საქართველოს ხშირად სტუმრობდა. როცა გაიგო, რომ სკოლაში მისი მათემატიკის მასწავლებელი, თემურ ლაბაძე დაბრუნდა, მოგვინახულა და დახმარების სურვილი გამოთქვა. ბატონი გია 7 პედაგოგს (ზოგიერთი სკოლაში აღარც მუშაობს) ყოველთვიურად პირად ანგარიშზე 200 ლარს ურიცხავს. ის და მისი და, ქალბატონი ეკა ჩვენს მოსწავლეებს ხშირად ხვდებიან. შარშან, სასწავლო წლის ბოლოს, მან ყველა კურსდამთავრებულს ალბომი და 50 ლარი უსაჩუქრა, წარჩინებულ მოსწავლეებს კი 150 ლარი გადასცა. ამ სასწავლო წლიდან ბატონი გია აპირებს, რომ ყველა წარჩინებულ მოსწავლეს სტიპენდია დაუნიშნოს – კლასების მიხედვით, 40-დან 70 ლარამდე. მივიჩნევ, რომ ეს მართლაც უპრეცენდენტო შემთხვევაა და ძალიან მნიშვნელოვანი სტიმულია არა მხოლოდ ბავშვებისთვის, არამედ მათი ოჯახებისთვისაც. ბატონი გია 500 ლარით დაასაჩუქრებს იმ პედაგოგს, რომლის მოსწავლეც სასკოლო ოლიმპიადაზე პირველ ადგილს დაიკავებს, თავად გამარჯვებულს კი 1500 ლარს გადასცემს.“

როგორც 67-ე სკოლაში გვითხრეს, გია როკეტლიშვილი 3 ათასამდე ლარს ბავშვების სასკოლო კვებისთვისაც გამოყოფს. თბილისში მან უკვე დაარეგისტრირა ფონდი „განათლება 67“. მასში სხვადასხვა ქველმოქმედის მიერ სკოლისთვის გაღებული თანხა ჩაირიცხება. მომავალში „განათლება 67“ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებსაც დაეხმარება.

რამდენი მოსწავლეცაა, იმდენი

მარგალიტი აქვს სკოლას და სოფელს“

„მასწავლებელი“ ბარალეთის სკოლას ესტუმრა

სოფელში მასწავლებელი ავტორიტეტია, მით უფრო, მთის სოფელში, საიდანაც, სხვადასხვა სირთულის გამო, დედაქალაქსა თუ რეგიონებთან კავშირის დამყარება გაძნელებულია. კიდევ უფრო დიდია მასწავლებლის ავტორიტეტი ახალქალაქის რაიონის სოფლებში, რომლებშიც შერეული მოსახლეობა ცხოვრობს და სკოლა ქართული სიტყვისა და ზოგადად, ქართული კულტურის კერადაა ქცეული.

ბელა ჩეკურიშვილი

ჟურნალი „მასწავლებელი“ ახალქალაქის რაიონის, სოფელ ბარალეთის სკოლას ეწვია. სამასწავლებლო ოთახში, მაგიდაზე ჩვენი ჟურნალებია გაშლილი. პედაგოგები სიხარულით აღნიშნავენ, რომ ამ გამოცემას მათ რაიონის რესურს-ცენტრი აწვდით. აქ ყველაფერი ახარებთ და სჭირდებათ, რაც კი განათლებას ეხება...

ბარალეთი, 300 კომლით, დიდ სოფლად ითვლება ახალქალაქის რაიონში.

ქართველები მოსახლეობის 30%-ს შეადგენენ. შესაბამისად, ქართულ სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობაც მცირეა: სასწავლო წელი 31-მა მოსწავლემ დაიწყო, მე-4, მე-8 და მე-12 კლასები კი სრულიად ცარიელია. კლასის გასახსნელად 2 მოსწავლე მაინც არის საჭირო.

მოსწავლეთა სიმცირე ამ სკოლის ტკივილია. მათი რაოდენობა ბოლო 10 წლის მანძილზე მკვეთრად შემცირდა: სოფლიდან მიგრაცია საკმაოდ დიდია. და მაინც, როგორც სკოლის დირექტორი, ნინელი ხმალაძე ამბობს, რამდენი ბავშვიცაა, იმდენი მარგალიტი აქვს სკოლას და სოფელს.

ნინელი ხმალაძე: „ცნობილია, რომ აღმზრდელი აღზრდილით ფასდება. ჩვენ ისეთები ვართ, როგორი მოსწავლეებიც გვყავს. ჩვენი მოსწავლეები ტერიტორიულ ჩარჩოში ჩაკეტილი, ამ სოფლიდან გაუსვლელი ბავშვები არიან. მასწავლებელმა მათი შესაძლებლობები და მიდრეკილებები უნდა იცოდეს: ვინ რას მიაღწევს, ვისგან რა გამოვა. თავიდანვე უნდა განსაზღვროს, რა ასწავლოს, ხელსაქმე თუ მათემატიკა“.

ბარალეთის სკოლა იმით ამაყობს, რომ წელს მე-12 კლასი ოთხმა მოსწავლემ დაამთავრა და ეროვნული გამოცდები ოთხივემ ჩააბარა. ეს ფაქტი მასწავლებლებსა და მოსწავლეებს დიდ სტიმულს აძლევს.

სკოლასა და მთლიანად, სოფელ ბარალეთში ზინა მასწავლებელი განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს. ზინა (აგრაფინა) ქოჩოიანი დაწყებითი კლასის მოსწავლეებს დედა-ენას ასწავლის და ხშირად აღნიშნავს ხოლმე, იმდენი წლის არ ხართ, რამდენიც ქართულ სკოლაში გამიტარებიაო. ზინა მასწავლებელი 46 წელია, ქართული ენის სიყვარულით თაობებს ზრდის.

კარინე ასლანიანი ქართველ ბავშვებს რუსულს ასწავლის, მის მოსწავლეებს ეს საგანი ძალიან აინტერესებთ, ტელევიზორში გაგონილ ყოველ უცხო სიტყვას მასწავლებელს ეკითხებიან და ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენად რუსულს აბარებენ. „მე-11 კლასში 5 მოსწავლეა. ამ ორ წელს კარგად გამოვიყენებთ, რომ ეროვნული გამოცდებისთვის მოვემზადოთ,“ – ამბობს კარინე მასწავლებელი.

ქართულ ენასა და ლიტერატურას მანანა ფანჯიკიძე და ეკატერინე მურჯიკნელი ასწავლიან. როგორც აღნიშნავენ, ხალისიანი და მონდომებული მოსწავლეები ჰყავთ: მათ მხატვრული ლიტერატურის კითხვაც უყვართ და ლექსების წერაც. სკოლას კარგი ბიბლიოთეკა აქვს. შარშან პრეზიდენტისგან საჩუქრად წიგნები მიიღეს, რომლებსაც ბავშვები მონდომებით კითხულობენ.

პროფესიული კადრების სიმცირის გამო ისე მოხდა, რომ ბარალეთის სკოლაში ქიმიასა და ბიოლოგიას პროფესიით ექიმი-სტომატოლოგი, თეიმურაზ გოგოლაძე ასწავლის და ფიზკულტურის გაკვეთილებსაც ითავსებს.

თეიმურაზ გოგოლაძე: „ქიმია და ბიოლოგია რთული საგნებია, მაგრამ როცა ცდას ვატარებთ, მოსწავლეებს ძალიან აინტერესებთ. საბედნიეროდ, შარშან პრეზიდენტისგან საჩუქრად ქიმიური პრეპარატები მივიღეთ: გოგირდმჟავას მარილი, აზოტმჟავა, სპილენძის ოქსიდი, გლუკოზა, სინთეტიკური ფხვნილი და შეძლებისდაგვარად, ამით ვმუშაობთ. მე-9 კლასში ლიმონათის დამზადების ტექნოლოგია შედის – მოსწავლეებმა ეს იციან და ერთი სული აქვთ, როდის გავივლით.“

სამასწავლებლოში გამორთულ კომპიუტერებს შესცქერიან: სკოლას ინფორმატიკის მასწავლებელი არ ჰყავს და მოსწავლეებს კომპიუტერის გამოყენებას ვერავინ ასწავლის. სხვათაშორის, აქ არც ინგლისურის მასწავლებელია და უცხო ენის სწავლების პრობლემის მოგვარებასაც ჩვენ გვთხოვენ. ასევე არ ჰყავთ ფიზიკის მასწავლებელი – აღნიშნული საგნის გაკვეთილებს მათემატიკის პედაგოგი ატარებს.

ბარალეთის სკოლის დირექტორი ფიქრობს, რომ მოსწავლეებმა, სასკოლო საგნების გარდა, ხელობაც უნდა ისწავლონ. ნინელი ხმალაძეს უდიდესი სურვილი აქვს, სკოლის გვერდით, პატარა შენობაში სახელოსნო გახსნას, სადაც მატყლის დამუშავებას, ფარდაგის ქსოვას და ქარგვას ყველას თვითონვე ასწავლის.

ნინელი ხმალაძე: „ერთი წლის განმავლობაში ბავშვი ფარდაგის ქსოვის ტექნოლოგიას შეისწავლის. ჯავახური ორნამენტით ქარგვასაც ისწავ-

ლის. ჩვენ ტურისტულ გზაჯვარედინზე ვართ, აქვე ტაბაწყურია და ვფიქრობთ, რომ ხელსაქმე შემოსავლის წყაროდ იქცევა. მინდა, მშობლებიც დავასაქმო. ცხვარი გვყავს და მატყლი გვაქვს. მათ მატყლის დამუშავებას, დართვას, დაჩეჩვას ვასწავლი. საჩეჩიც მაქვს და დაზგაც. ბუნებრივი საღებავებიც სოფელშია. აქ ზამთარი 9 თვეს გრძელდება და ამ დროის მანძილზე ადამიანი იმუშავებს. სხვადასხვა გამოფენა ეწყობა ხოლმე და ჩვენს ნამუშევრებს იქ წავიღებთ. ამ ზაფხულს, თბილისში, ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ღია ცის ქვეშ მოწყობილ გამოფენაზე, ჩემი მოქსოვილი ფარდაგი მქონდა გამოფენილი და გავყიდე. სახელოსნოში სომხური სკოლის ბავშვებიც ივლიან და ხელსაქმეს ისწავლიან. სომხური სკოლა გზის გადაღმაა. ბავშვებს ესეც ერთმანეთთან დააახლოვებს. სახელოსნოს მოსწავლეები სერტიფიკატსაც მიიღებენ. ეს წამოწყება ბევრგან მოიწონეს, მაგრამ კეთილი საქმისთვის სახსრები ჯერ ვერ მოვიძიეთ“.

ნინელი ხმალაძე

ბარალეთის სკოლამ 2002-03 სასწავლო წელს 1000-ლარიანი გრანტი მოიპოვა და ტელევიზორი, მუსიკალური ცენტრი, ვიდეო-კამერა, ვიდეომაგნიტოფონი და გენერატორი შეიძინა.

ბოლო წლებში ქართულმა და სომხურმა სკოლებმა თანამშრომლობა დაიწყეს და ინტეგრირებულ გაკვეთილებსაც ატარებენ. სოფელ მერენიაში, რომელიც ბარალეთიდან 5 კილომეტრითაა დაშორებული, დღეს მხოლოდ სომხური სკოლაა. იქ ქართულს თამარ მელიქიძე ასწავლის. იქაური დირექტორი ფიქრობს, რომ სომეხმა ბავშვებმა ქართული აუცილებლად უნდა იცოდნენ. საიათნოვას შესახებ მათ ერთობლივი ღონისძიებაც კი მოამზადეს. „პროგრამა სომხურ ენაზე შეედგინათ, ჩვენ ქართულად წავიკითხეთ საიათნოვას ლექსები და გვქონდა მერე დიდი სჯა-ბაასი: ვის ეკუთვნის საიათნოვა, როგორც პოეტი. ბავშვებს ეს დღე კარგად დაამახსოვრდათ“, – იხსენებენ მასწავლებლები და ფოტო-სტენდებს გვაჩვენებენ, რომლებზეც ამ ღონისძიების ამსახველი მასალაა გამოფენილი.

პედაგოგებმა ისიც, გაგვიმხილეს, რომ სოფელში ცეკვის სტუდიის აღდგენა სურდათ. „ქორეოგრაფი არ გვყავს და იქნებ ამაში ვინმე დაგვეხმაროს. ცეკვის წრე რომ გაიხსნას, ქართველებიც ივლიან და სომხებიც. ამ 6-7 წლის წინ ცეკვის მასწავლებელი, ოჯახთან ერთად, ახალციხიდან გადმოვიდა. ბავშვებმა ქართული ხალხური ცეკვები კარგად აითვისეს. სომხებიც დადიოდნენ სტუდიაში და ქართველებთან ერთად ცეკვავდნენ. სამწუხაროდ, მასწავლებელი იმის გამო წავიდა, რომ მისი შვილის სკოლაში შესვლის დროს კლასი არ შედგა. ის იძულებული გახდა, ახალციხეში დაბრუნებულიყო. თუ ვინმე ჩამოვა ჩვენს სოფელში, ყველაფრით დავეხმარებით. აქ უამრავი ბინაა დაკეტილი, საცხოვრებლისა და კვების პრობლემას ჩვენ მოვუგვარებთ,“ – ამბობენ პედაგოგები.

ბარალეთის სკოლის მასწავლებლებს დავემშვიდობეთ. გზად ერთი ფიქრი გამოგვყვა: რის გაკეთებას შევძლებთ მათთვის?

ქართული, როგორც მშობლიური

სოფელი კაჩაგანი თბილისიდან საათნახევრის სავალზეა. კაჩაგანიდან ბაქომდე რომ მიაღწიო, ერთი დღე გინდა, არც გეყოფა, მაგრამ, როცა აქაურებს რამე სჭირდებათ, თბილისის ნაცვლად, ბაქოში მიდიან. მიზეზი მარტივია: ამ სოფელში აზერბაიჯანული მოსახლეობა ცხოვრობს და ისინი მხოლოდ აზერბაიჯანულ ენაზე საუბრობენ.

თეა თოფურია

მინდა, ქართული რომ ვიცოდე – საქართველოში ვცხოვრობ. მინდა, ქართველი მეგობრები მყავდეს“, – ამბობს ნაბად გარაევა.

– როდისმე დაგჭირვებია ქართული?

– კი, ერთხელ თბილისში წიგნი ვიყიდე.

ალბათ სახემძღვანელო იყიდა. ნაბადი მეთორმეტეკლასელია, კაჩაგანის სკოლაში სწავლობს. მიუხედავად იმისა, რომ მეთორმეტე კლასშია, ქართული მხოლოდ ელემენტარულ დონეზე იცის. მის კლასში გაკეთილი ასე იწყება:

– შენ ვინ ხარ?

– მე ვარ ნაბადი.

– რამდენი წლის ხარ?

– თხუთმეტის.

– უნდა თქვა: „მე ვარ თხუთმეტი წლის“. შენ რა ეროვნების ხარ?

– მე ვარ აზერბაიჯანელი, მე საქართველოს მოქალაქე ვარ.

აქაურმა ბავშვებმა მხოლოდ ახლახანს გაიგეს, რას ნიშნავს ცნება „მოქალაქე“. აქამდე იცოდნენ, რომ მარნეულის რაიონში ცხოვრობდნენ, მარნეული სად იყო – ამაზე უკვე პასუხი აღარ ჰქონდათ. „ბავშვებმა მითხრეს, ბაქოში რომ გვეკითხებოდნენ, საიდან ხართ, ვერ ვეუბნებოდით, საიდან ვიყავითო“, – ამბობს გელა თავაძე, რომელიც კაჩაგანის ორ სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის.

სახელმწიფო პროგრამა „ასწავლე ქართული, როგორც მეორე ენა“ სექტემბერში დაიწყო. შეირჩა ორმოცდაათი პედაგოგი, რომლებსაც მაღალი ხელფასი (1000 ლარი) დაენიშნათ და ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში ქართულის სწავლება დაევალათ. მასწავლებლები 7 რაიონში გადანაწილდნენ (მარნეული, გარდაბანი, წალკა, ახალქალაქი, ბოლნისი, ნინოწმინდა, საგარეჯო).

პროექტის კოორდინატორი, მაკო ჭილაშვილი გვიხსნის, რომ ინიციატივა საქართველოს პრეზიდენტისგან წამოვიდა. შემდეგ პროექტი მომზადდა. შერჩეულ პედაგოგებს ტრენინგები ჩაუტარდათ, რათა მიღებული ცოდნა იმ ქართულის მასწავლებლებისთვის გადაეცათ, რომლებიც ადგილზე დახვდებოდნენ. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში ხშირად ქართული ენის მასწავლებლები არაქართველები არიან და ქართული ცუდად იციან ხოლმე.

მაკო ჭილაშვილი, *პროექტის კოორდინატორი:* „პროექტის მონაწილე მასწავლებელმა მხოლოდ გაკვეთილები კი არ უნდა ჩაატაროს, ცოდნა სხვა მასწავლებლებსაც უნდა გაუზიაროს. ის მათ გაკვეთილებს დაესწრება და ხარვეზებზე მიუთითებს, ან პირიქით, ადგილობრივი პედაგოგები დაესწრებიან პროექტის მონაწილის გაკვეთილებს და გამოცდილებას შეიძენენ. შევეცადეთ, ეს ორმოცდაათი მასწავლებელი მაღალკონტინგენტიან სკოლებში გაგვეშვა, სადაც ორასი და მეტი ბავშვი სწავლობს. კიდევ უამრავი სკოლაა, რომელიც კადრების დეფიციტს განიცდის. მომავალში შეიძლება პროექტი გაფართოვდეს კიდეც”.

გელა თავაძე ერთ-ერთი შერჩეულთაგანია. მანამდე ის სხვა აზერბაიჯანულ სოფლებში ასწავლიდა. ამბობს, რომ კაჩაგანში სწავლითა და განათლებით დაინტერესებული ხალხი ცხოვრობს.

გელა თავაძე: „ეს სოფელი შედარებით ღარიბია, მაგრამ აქ განათლებული და მოწადინებული ხალხი ცხოვრობს. ბავშვები სკოლაში მაინც დადიან, სხვაგან მეთორმეტეკლასელები გაკვეთილსაც არ ესწრებოდნენ. ქართულს ვინ ჩივის, ზოგმა აზერბაიჯანულადაც არ იცოდა წერა. მე ვასწავლიდი ხოლმე ასოებს“.

აქ სიღარიბესთან ერთად ორი დიდი პრობლემა აქვთ: წყლის დეფიციტი (არათუ სარწყავის, სასმელისაც კი) და მეორე – სახელმწიფო ენის არცოდნა.

– ნაბად, რატომ გინდა ქართულის სწავლა?

– მინდა, რომ თბილისში წავიდე და გამოცდები ჩავაბარო.

გამოცდების ჩაბარება ყველა სხვა მოსწავლისთვის ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ამბავია, კაჩაგანში კი ამას მხოლოდ განსაკუთრებულები თუ ახერხებენ. აზერბაიჯანელებით დასახლებული რამდენიმე სოფელი ქართული მოსახლეობისგან მთლიანად მოწყვეტილია. ბავშვები ისე იზრდებიან, რომ ქართულად ხმის გამცემი არავინ ჰყავთ. აზერბაიჯანული ენით კი შორს ვერ წახვალ, ყოველ შემთხვევაში, სადახლოს

იქით ვერა. ქართული ენა საკმაოდ რთულია და ბავშვებს მისი შესწავლა უჭირთ. ყველაზე რთული ქართული ზმნის ფორმებია, მერე სპეციფიკური ბგერები მოდის. ყ-ს და ჭ-ს ვინ ჩივის, აქაურებს ჩ-ს გამოთქმაც კი უჭირთ, თუმცა იხტიბარს არ იტეხენ.

„ქართული მაღაზიაში გამოგვადგება, ექიმთან რომ წავალთ, მაშინაც...“, – აბსანა ალავერდიევას უნდა, თვითონაც ქართულის მასწავლებელი გახდეს. ლამაზი ენაა, ძალიან მომწონსო, ამბობს. აქ ქართულ არხებსაც იშვიათად უყურებენ, ისიც მხოლოდ სერიალებს.

გელა თავაძე: „აუცილებელია, ქართველ და აზერბაიჯანელ ბავშვებს შორის კონტაქტი იყოს, დამეგობრდნენ, ერთმანეთი გაიცნონ, ილაპარაკონ. ეს შეიძლება ერთობლივი ბანაკების, პროგრამების მეშვეობით გაკეთდეს“.

ქართველ ბავშვებთან ურთიერთობა აქ ნატვრად გადაქცევიათ. თბილისის უნივერსიტეტში მათი მიღება, სხვა ყველაფერთან ერთად, იმასაც ნიშნავს, რომ აზერბაიჯანელებით დასახლებული სოფლები არ დაიცლება. კაჩაგანში მიტოვებული სახლები საკმაოდ ხშირია: ზოგი განათლების მისაღებად და ზოგიც სამუშაოდ ბაქოში წავიდა და აღარ დაბრუნებულა.

„აქ რამე რომ არ მოეწონებათ, სინანულით ამბობენ ხოლმე, აი, თბილისში ასე არ არის, ბაქოში ასე არ არისო. ძალიან უნდათ, რომ ისწავლონ, გამოცდები ჩააბარონ. მიუხედავად იმისა, რომ ქართულს პირველი კლასიდან სწავლობდნენ, ყველაფერი მაინც ნულიდან დავიწყეთ. მონდომებული ბავშვები არიან და დავეხმარები, რომ გამოცდებზე გავიდნენ. გაკვეთილების მერე წრეებზე ვტოვებ ხოლმე და ვამეცადინებ“, – ამბობს გელა თავაძე.

მისთვის აქაურ ბავშვებთან ურთიერთობა ადვილია, თუნდაც იმიტომ, რომ აზერბაიჯანული იცის. მასწავლებელს კი კაჩაგანში ძალიან აფასებენ: ბინის დაქირავება არც დასჭირვებია, ჩამოსვლისთანავე სკოლის დირექტორმა საკუთარ სახლში მიიპატიჟა და დღემდე იქ ცხოვრობს.

პროექტის მიხედვით, გელა თავაძის მოვალეობა მხოლოდ მოსწავლეებთან მუშაობა არ არის. ის ტრენინგებს მასწავლებლებსაც უტარებს, რათა მათ ახალი პროგრამები და სწავლების ახალი მეთოდები აითვისონ.

„სხვისთვის არ ვიცი და ჩემთვის არ არის ძალიან ძნელი. მინდა, ქართული რომ ვიცოდე – საქართველოში ვცხოვრობ. მინდა, ქართველი მეგობრები მყავდეს“, – ამბობს ნაბად გარაევა. სხვებიც ამავეს ამბობენ. მათ უკვე გააზრებული აქვთ, რომ მათი მომავალი ქართული ენის ცოდნაზეა დამოკიდებული.



ცოდნით დამპურებელი

ჩხოროწყუს №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, ბაბუცი კვირკველიას მთელი რაიონი იცნობს. დაუზარელი და პუნქტუალური, ბევრი კარგი საქმის ინიციატორი და შემსრულებელი, პროფესიონალი – მას ასე ახასიათებენ. ბაბუცი მასწავლებელი იმითაც არის გამორჩეული, რომ წლებს მისთვის ვერაფერი დაუკლია, საკუთარი საქმის სიყვარული და ინტერესი არ წაურთმევია...

ნელი პაპასკირი

სკოლიდან შინ დაბრუნებულს შევხვდი. დიდხანს ვისაუბრეთ. საინტერესოდ უცხოვრია და მოსაყოლიც ბევრი ჰქონდა. მხნე და ხალისიანი ქალბატონი განვლილ წლებს კმაყოფილებით იხსენებდა.

„– წლები მაინც წლებია... აგვისტოში 90-ისა გავხდი და გადავწყვიტე, სკოლაში მხოლოდ კვირაში ერთხელ ვიარო. არ დამიჯერებთ, მაგრამ, როცა სკოლაში მივდივარ, იმ დღეს ისე კარგად ვარ, ასაკი არც მახსენდება. გაკვეთილზე დაღლა არასოდეს მიგრძვნია“, – ამბობს ბაბუცი მასწავლებელი.

ვინც მის გაკვეთილს დასწრებია, დამემოწმება, რომ კლასში ის უჩვეულოდ დადებით განწყობას ქმნის. როგორ ახერხებს? „ღმერთმა ადამიანებს სიყვარულის ნიჭი იმად გვიბოძა, რომ გულის სითბო უხვად გავიღოთ – მაშინ მოსწავლეც უთუოდ შეგვიყვარებს. ეს ყველაფრის გასაღებია მასწავლებლისთვის. თუმცა ამას საგნის ცოდნა და პროფესიონალიზმიც აუცილებლად თან უნდა ახლდეს. სიყვარულს და სიხარულს

ჩემი მოსწავლეებისგან ვსწავლობ. ვგრძნობ, რომ ისინი მენდობიან და მეც თავს არ ვზოგავ“, – გვიხსნის ასაკოვანი პედაგოგი.

„მასწავლებელი, ვინც თავისი მოსწავლეებისაგან არ სწავლობს, მასწავლებლად არ გამოდგება“, – საყვარელი ლექტორის, კორნელი კეკელიძის ნათქვამს და სტუდენტობის წლებს იხსენებს...

1937 წელს 18 წლის იყო, როცა სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ლექციებს ისეთი ცნობილი მეცნიერები უკითხავდნენ, როგორებიც იყვნენ: აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, ვარლამ თოფურია, მიხეილ ზანდუკელი, არნოლდ ჩიქობავა, შალვა რადიანი... მისი თანაკურსელები იყვნენ: პოეტი იოსებ ნონეშვილი, პროფესორები: ივანე ქავთარაძე, გივი მელაძე, შოთა ვაშაყმაძე და სხვები. თავადაც ბეჯითი სტუდენტი ყოფილა. ერთი ამბავი კი, რომელიც პირველ კურსზე გადახდა, თითქმის ყველა მოსწავლისთვის აქვს მოყოლილი: ტრამვაიში ასულს კორნელი კეკელიძე დაემგზავრა და ადგილი დაუთმო. გოგონა არაფრით თანხმდებოდა, მაგრამ ლექტორს სკამზე ძალით დაუსვამს. უხერხულობისაგან მას ტირილი დაუწყია, კორნელი კეკელიძეს კი დაუმშვიდებია: აბა, როგორ, მე ხომ გასწავლეთ, კაცმა ქალს პატივი უნდა სცესო...

1941 წელს, როცა უნივერსიტეტს ამთავრებდა, ომი დაიწყო. სახელმწიფო გამოცდების წარმატებით ჩააბარების შემდეგ ის საკუთარ სოფელში, ქვედა ჩხოროწყუში დაბრუნდა, სადაც სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ, მერე კი დირექტორად დანიშნეს. „იმ პერიოდში ბევრი სიძნელე იყო, მაგრამ გულმოდგინება და წარმატების მიღწევის სურვილი იმდენად დიდი მქონდა, რომ არ შემშინებია. თავიდანვე მიზანდასახული ვიყავი და მჯეროდა: დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მიმეყვანა. მალე საზოგადოების კეთილგანწყობა და თანადგომაც ვიგრძენი... ორგანიზატორული ნიჭი და საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა კი უნებურად გამოვავლინე. 1943 წელი იყო. ახალგაზრდა ვიყავი და ახალ ამპლუაში ჩემი თავი მომეწონა კიდეც. ჯერ ერთი, საკუთარ შესაძლებლობებში დავრწმუნდი, მეორეც, საზოგადოების კეთილგანწყობა გახარებს და გავალდებულებს, პატიოსნად, ერთგულად და თავდადებით ემსახურო იმ საქმეს, რომელიც ძალიან გიყვარს“, – ამბობს ბაბუცი მასწავლებელი.

სოფელში ლეგენდად იქცა ომისდროინდელი ძნელბედობისას, დარსა თუ ავდარში, ცხენზე ამხედრებული ქალი, რომელიც აისიდან დაისამდე ჩაის პლანტაციებსა და ყანებში დადიოდა, ფრონტზე მყოფ ვაჟკაცთა ოჯახებს ეხმარებოდა...

დღეს განათლების სისტემაში უამრავი სიახლეა. გავიდა დრო და ბუნებრივია, ბევრი რამ შეიცვალა. ირღვევა ძველი სტერეოტიპები, იცვლება ღირებულებები.

„მასწავლებელი მუდამ უნდა სწავლობდეს“, – ამბობს ქალბატონი ბაბუცი და გადამზადების აუცილებლობის, სწავლების ახალი მეთოდებისა და მიდგომების შესახებ საინტერესოდ და დამაჯერებლად საუბრობს... ტრენინგებზე აქტიურობის გამო, ერთ თბილისელ ლექტორს სანამ მისი პირადობის მოწმობა არ უნახავს, არც კი დაუჯერებია, რომ ის 80 წლის იყო.

1999 წელს რაიონის საზოგადოებამ საქართველოს დამსახურებულ მასწავლებელს, ყველასთვის საყვარელ პედაგოგს, დაბადების 80 წლის იუბილე გადაუხადა. მაშინ იგი ღირსების ორდენითაც დააჯილდოვეს. უთვალავი მილოცვა და წერილი მიიღო, რომელთა დასტასა და ფოტოებსაც ცრემლნარევი ღიმილით მათვალიერებინებს.

„ძალიან, ძალიან მიყვარხართ და არა მარტო მე, უყვარხართ ყველას, ვისაც რგებია ბედნიერება, თქვენი მოსწავლე ყოფილიყო. ჩემი ოცნებაა, გავხდე ისეთი მასწავლებელი, როგორიც თქვენ ხართ, ისე ვუყვარდე ყველას, როგორც თქვენ უყვარხართ. გმადლობთ ყველაფრისთვის, ჩემო ტკბილო და ლამაზო მასწავლებელო“, – წერს თამთა ჯალაღონია, რომელიც წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

ბაბუცი კვირკველია ცოდნით კიდევ არაერთ მოსწავლეს დააპურებს და ახალგაზრდებს ცხოვრების გზაზე მიღებულ გამოცდილებას გაუზიარებს.

შეიძინეთ ჟურნალი მასწავლებელი

თბილისსა და საქართველოს რეგიონებში

მოიკითხეთ **თქვენი ჟურნალი თბილისში, „მაცნე“-ს, „პლანეტა ფორტე“-სა და „ელვა-სერვისის“ საცალო ვაჭრობის ჯიხურებში! საქართველოს რეგიონებში კი სს „საქპრესას“ ჯიხურებში!**

გამოიწერეთ **ჟურნალი „მასწავალებელი“ თბილისსა და საქართველოს რეგიონებში!**

ჟურნალ „მასწავლებელზე“ ხელმოწერის გასაფორმებლად მიმართეთ „საქპრესას“ და მიიღეთ თქვენი „მასწავლებელი“ თქვენს მიერ მითითებულ მისამართზე ყოველ ორ თვეში ერთხელ!

ანგარიშსწორება შესაძლებელია როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარისშწრებით.
ხელმოწერა ექვსი თვით – 6 ლარი.

საქართველოს რეგიონებში ჟურნალ „მასწავლებლის“
გამოწერა შეგიძლიათ სს „საქპრესას“ ფილიალებში შემდეგ მისამართებზე:

ბათუმი	მემედ აბაშიძის №33 (ფოსტის შენობა) აჭარპრესა, 7 22 42;
ახალგორი	თავისუფლების მოედანი №8, 4 26 78;
ადიგენი	თამარ მეფის ქ. №12, 51 59 05; 877 97 90 20;
აბაშა	თავისუფლების მოედანი №56, 9 12 26; 877 97 90 13;
ამბროლაური	მ. კოსტავას ქ. №2, 2 15 16; 877 97 90 37;
ასპინძა	რუსთაველის ქ. №10, 9 10 26;
ახალქალაქი	მიქოიანის ქ. №15, 51 59 05; 877 97 90 20;
ახალციხე	დედაენის ქ. №3, 2 03 13; 877 97 90 16;
ახმეტა	ლესელიძის ქ. №3, 2 14 65; 877 97 90 17;
ბოლნისი	სულხან-საბა ორბელიანის ქ. №50, 2 21 50; 877 97 90 19;
ბორჯომი	რუსთაველის ქ. №103, 2 21 15; 877 97 90 28;
ბაღდათი	ვაჟა ფშაველას ქ. №2, 21 01; 877 97 90 18;
გორი	სტალინის გამზირი №15, 2 21 41; 877 97 90 22;
გარდაბანი	დავით აღმაშენებლის ქ. №74, 877 97 90 21;
გურჯაანი	თავისუფლების ქ. №7, 2 08 57; 877 97 90 64;
დმანისი	წმინდა ნინოს ქ. №46, 2 10 61;
დედოფლისწყარო	რუსთაველის ქ. №53, 2 29 76; 877 97 90 23;
დუშეთი	სტალინის ქ. №21, 2 16 02; 877 97 90 25;
ვანი	ჭავჭავაძის ქ. №43, 2 15 72; 877 97 90 26;
ზესტაფონი	დავით აღმაშენებლის ქ. №21, 5 28 53; 877 97 90 27;
ზუგდიდი	რუსთაველის ქ. №92, 2 29 11; 2 35 95; 877 97 90 03;
თელავი	მ. კოსტავას ქ. №10, 3 12 31; 877 97 90 02;
თერჯოლა	რუსთაველის ქ. №63, 2 11 12; 877 97 90 71;
თეთრიწყარო	თამარ დედოფლის ქ. №20, 2 29 98; 877 97 90 32;
თიანეთი	ლაშარის ქ. №5, 9 18 46; 877 97 90 33;
კასპი	სააკაძის ქ. №1, 2 27 28; 877 97 90 34;
ლაგოდეხი	26 მაისის ქ. №6, 2 23 20
ლანჩხუთი	ზაალ მდინარაძის ქ. №1, 877 97 90 36;
ლენტეხი	დაბა ლენტეხი, 51 59 05; 877 97 90 20;
მარტვილი	თავისუფლების ქ. №12, 2 12 26; 877 97 90 38;
მარნეული	რუსთაველის ქ. №43, 877 97 90 62;
მესტია	რუსთაველის ქ. №1, 877 97 90 68;
მცხეთა	დავით აღმაშენებლის ქ. №64, 2 09; 877 97 90 39;
ნინოწმინდა	კ. მარქსის ქ. №22
ონი	დავით აღმაშენებლის მოედანი №1, 877 97 90 41;
ოზურგეთი	გოგებაშვილის ქ. №2, 6 59 44; 877 97 90 42;
რუსთავი	მეგობრობის გამზირი №9, 12 01 55; 877 97 90 08;
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის ქ. №15, 4 36 92; 877 97 90 43;
სამტრედია	თამარ მეფის ქ. №2, 2 20 52; 877 97 90 44.
საჩხერე	თავისუფლების ქ. №5, 2 19 65; 877 97 90 69;
სიღნაღი	ცოტნე დადიანის ქ. №2, 899 23 19 28;
სენაკი	რუსთაველის ქ. № 253, 877 97 90 46;
ტყიბული	კ. გამსახურდიას ქ. №53, 2 35 30; 877 97 90 47;
ფოთი	წმინდა გიორგის ქ. №16, 2 28 48; 877 97 90 48;
ქუთაისი	დავით აღმაშენებლის გამზხირი №24, 7 71 79; 877 97 90 06;
ქარელი	მგალობლიშვილის ქ. №5, 3 13 45; 899 76 69 81;
ყაზბეგი	დაბა ყაზბეგი, 5 20 12; 877 97 90 59;
ყვარელი	ილია ჭავჭავაძის ქ. №150, 877 97 90 51;
ჩოხატაური	მშვიდობის ქ. №5, 877 97 90 52;
ჩხოროწყუ	კოსტავას ქ. №5, 2 15 10; 877 97 90 66;
ცაგერი	რუსთაველის ქ. №12, 25 12; 877 97 90 53;
წყალტუბო	რუსთაველის ქ. №6, 2 23 45; 877 97 90 55;
წალკა	ლენინის ქ. 68
წალენჯიხა	თბილისის ქ. №2, 20 62; 877 97 90 54;
ხონი	გამარჯვების ქ. №2, 2 14 29; 877 97 90 58;
ხობი	ცოტნე დადიანის ქ. №86, 22 24; 877 97 90 11;
ხაშური	რუსთაველის ქ. №2, 4 20 98; 877 97 90 57;
ხარაგაული	სოლომონ მეფის ქ. №58, 2 12 88
ჭიათურა	ილია ჭავჭავაძის ქ. №4 5 30 41; 877 97 90 56

ხელმოწერის პირობებზე და თქვენთვის საინტერესო სხვა საკითხებზე დეტალური ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ზემოაღნიშნულ მისამართებზე, მითითებული ტელეფონების საშუალებით.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:

სს „საქპრესა“: ქ. თბილისი, დიდგორის ქ. №2›, ხელმოწერის სამსახური: 51-59-05 ან 51-60-04;
„ელვა-სერვისი“: ტელ: 38-26-73 ან 28-26-74.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

თბილისი 0102, დიმიტრი უზნაძის 52, ტელ: (+995 32) 95 13 95 ფაქსი: (+995 32) 95 58 36 ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

მილანის ქუჩებში პუჩინი შეჩერდა მეარღნესთან, რომელიც უკრავდა ნაწყვეტს მისი ოპერა „ბოჰემიდან“.
– ეს უნდა დაუკრა ცოტა სწრაფად, – უთხრა მან მეარღნეს.

მეორე დღეს მეარღნე იდგა იმავე ადგილას და უკრავდა იმავე ნაწყვეტს, მაგრამ, არღნის გვერდზე ამჯერად წარწერა ჰქონდა მიმაგრებული: „პუჩინის მოსწავლე“.